

არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მ უ შ ა თ ბ ი ს გ ე გ მ ა

7 მაისი, 10 საათი

სამეცნიერო სესიის გახსნა — სენაკის გამგებელი **თ. ადამია**
მ ი ს ა ლ მ ე ბ ე ბ ი

არნოლდ ჩიქობავას საკითხავები

XXII

ს ე ნ ა კ ი

2011 წლის 7-8 მაისი

თბილისი
2011

3. შენგელია, ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. XLV—L
- შ. აფრიდონიძე, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერული ნა-აზრების ენისა და სტილის შესახებ
8. პვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციონირების ზოგადი და კონკრეტული პრობლემები
- გ. გოგოლაშვილი, ლინგვისტური შენიშვნები. 2. ზმისწინ-თა ფუნქციების თაობაზე
- ა. არაბული, ე.წ. საზედაო ქცევის ასახვისათვის განმარტებით ლექსიკონში
- ლ. სანიკიძე, წოვა-თუშურის ლექსიკიდან
- მ. რობაჭიძე, „ცნობისა“ და „გულის-ჯმის“ მნიშვნელობისა-თვის ძველ ქართულ ენაში (ქართულ-სომხურ ენობრივ ურ-თიერთობათა შუქზე)
- თ. ღვინაძე, ისევ გულქართლის შესახებ
- ნ. მაჭავარიანი, ცხენი და ცხენთან დაკავშირებული ლექსი-კა აფხაზურში (სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი)
- თ. ვაშაკიძე, სინტაქსურ-სტილისტიკური თავისებურებანი მუხ-რან მაჭავარიანის პოეზიაში
- თ. ბურჭულაძე, რთული თანწყობილი წინადაღების სტრუქ-ტურა ძველ ქართულში (ზოგადი მიმოხილვა)

- მ. თ ე თ რ ა ძ ე, ლეზგიური ენის ერთმარცვლიან სახელურ ფუძე-
თა სტრუქტურული ანალიზი
- ნ. ბ ე ნ დ უ ქ ი ძ ე, სინტაქსური შეკავშირების სახეები ქართული,
აფხაზური და ადილეური ენების ატრიბუტულ სინტაგმაში
- ე. ნ ა პ ი რ ე ლ ი, მესამე სუბიექტური მრავლობითი რიცხვის
გამოხატვა და კოდთა ურთიერთმიმართების საკითხი ლაგო-
დების რაიონში

7 მასი, 16 საათი

- ნ. ქ უ თ ე ლ ი ა, მეგრულისა და ლაზურის ურთიერთმიმართები-
სათვის
- თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, {-ენ} და {-ა} — O^{dpl} აფიქსთა გრამატიკული
ლირებულებისათვის დიაქტონიული ასპექტით
- დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, არნოლდ ჩიქობავა მორფოლოგიური
ფაქტის კვალიფიკაციის შესახებ (ქართული ზმნის ჩვენე-
ბათა მიხედვით)
- ც. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ჩრდილოეთ კავკასიაში ენობრივი სიტუაციის
შეფასებითი მომენტი
- მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ლეზენური გელცმულის ეტიმოლოგიი-
სათვის
- თ. მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე, კონკრეტული თუ აბსტრაქტული?
- ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე, შუშუტ-სიტყვის ომონიმური ცალების ის-
ტორიისათვის ქართული ენის დიალექტებში
- ე. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, სვლა ზმნის ერთი მნიშვნელობისათვის
- ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი, უღლების ერთი კატეგორიისათვის
სვანურ ენაში

- რ. გ ე რ ს ა მ ი ა, სახელთა მრავლობითში ჩართული ლ სონორის
ფუნქციის საკითხისათვის მეგრულსა და ლაზურში
- მ. ს ა ღ ლ ი ა ნ ი, ნასესხები მყარი ფრაზეოლოგიური გამონათქვა-
მების, ქველი რელიგიური შინაარსის გამოთქმების, წყევლი-
სა და დალოცვის ფორმულების ანალიზისათვის სვანურში
- ტ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე, მრავალწევრაელემენტებიანი სიმრავლის და-
ხასიათება განსხვავებული ტიპის სემანტიკური დიფერენცი-
ალური ნიშნებით
- ნ. ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ფრონქს ხეობების ტოპონომასტიკური მა-
სალები. სოფელი ავნევი
- რ. ლ ო ლ უ ა, აბრუპტიულ თანხმოვანთა საკითხისათვის უდი-
ურ ენაში
- ხ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ფრაზეოლოგიზმი, როგორც სიტყვის განმარ-
ტების ერთ-ერთი საშუალება სულხან-საბას „სიტყვის კონაში“

8 მასი, 10 საათი

- ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, სვანური ენის დიალექტური დიფერენცირებისა-
თვის
- მ. ჩ უ ხ უ ა, ბრუნების პრაქტიკულური სისტემის ზოგი საკი-
თხისათვის
- ე. ღ ლ ო ნ ტ ი, სულის ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანი ქარ-
თულში
- რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე, ქართულიდან სიტყვათა სესხების ზოგი
თავისებურება ჭისტურში
- ნ. რ უ ხ ა ძ ე, -უნ სუფიქსის საკითხისათვის უდიურში
- ე. გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი, რთული ზმნების კვლევისათვის ებიგრაფი-
კულსა და მანიქეურ საშუალო სპარსულში

თ. გოგოლაძე, როგორ მუშაობდა კ. გამსახურდია ქართულ
სიტყვაზე

ლ. აზმაიფარაშვილი, ეთნოგრაფიული რეალიებით მო-
ტივირებულ კომპოზიტთა შესახებ ქართულში

მ. ლომია, უარყოფითი და დადასტურებითი ნაწილაკების
ფუნქციური განაწილების პრინციპები მეგრულში

ე. შენგელია, მეგრული შერტი „სული; სუნი“ სიკვდილ-სი-
ცოცხლისა და ცხონების სემანტიკის შემცველ ფრაზეოლო-
გიზმებსა და იდიომატურ გამოთქმებში

ლ. გიგლემიანი, შორისდებულთა ერთი ჭვეფის ანალიზისა-
თვის სვანურში

ნ. შავრეშიანე, გინ თავისებურო ტაქტიკური მიმღების

ლ. კელაურაძე, საერთოქართველურ ჰარმონიულ კომპლექს-
თა შესატყვისობათათვის ბურუშულ და ბასკურ ენებში. //

ნ. ფონიავა, თანხმოვანთკომპლექსები აფხაზური ენის ერთ-
მარცვლიან ზმნურ ძირებში

ი. ხარამიშვილი, ინტერიურენციული მოვლენებისათვის
მეგრულში

ლევან აზმაიფარაშვილი

ეთნოგრაფიული რეალიებით მოტივირებულ კომპოზიტთა შესახებ ქართულში

ქართულ ენაში უხვად მობოვება ორცნებიანი კომპოზიტები,
რომელთა შემადგენლობაშიც შედის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი
სხვადასხვა სახელები; ასეთებია, მაგალითად, **ხელ-ფეხი, ტან-ფეხი,**
მხარ-ბეჭი, გულ-მკერდი, ცხვირ-ბარი, წვერ-ულვაში, თვალ-წარბი,
გულ-ლვიძლი და სხვა. ამ ტიპის ზოგიერთი კომპოზიტის გამოყენება
საერთო ენაში ამავე დროს რამდენადმე შეზღუდულია, მაგ., **უელ-**
უური, გავა-წელი, კუჭ-ნაწლავი უმთავრესად მაინც სამედიცინო
დარგის კუთვნილი ტერმინებია.

მოიძებნება ანალოგიური აგებულების ისეთი კომპოზიტებიც,
რომლებიც დღეს იშვიათად თუ იხმარებიან და სალიტერატურო ქარ-
თულისათვის რამდენადმე უჩვეულონი არიან; ამგვარ სიტყვას წარმო-
ადგენს დიალექტებში **ხელ-მხარი**. ხევსურულსა და ფშაურში, მაგა-
ლითად, არსებობს მყარი შესიტყვება **ხელ-მგარის ნათვლა, გელ-**
მგარს გაინათლავს. ასე ეწოდება კულტმსახურების ერთ-ერთ წესს:
ჯვარ-ხატის მსახური სამსხვერპლო პირუტყვს დაკლავს და მის
სისხლს, განწმენდის მიზნით, ხელებზე ისხურებს — „გაინათლება“
(ალ. ოჩიაური, ს. მაკალათია, ალ. ჭინჭარაული...). საინტერესოა,
რომ მეგრულშიც დასტურდება „ხელი“ და „მხარი“ კომპონენტებისა-
გან შედგენილი სიტყვა **ხეხუნება**, ზედმიწ. „ხელ-მხრობა“. ამ სა-
ხელწოდებით ცნობილია დღეობა, რომელსაც მჭედლები საგანგებოდ
აღნიშნავდნენ ახალი წლის წინა დღეს (ი. ქობალია, ს. მაკალათია,
ნ. რეხვიაშვილი). საყურადღებოა თავად ლოცვის ტექსტი, რომელიც
ხეხუნებაზე წარმოითქმოდა: „ხეხუჭი ბეღნიერი დო მშვენიერი, ჩქი-
მი ხე დო ხუჭიში ნაქიმინათ ჩქიმი გური გაახარი, ჩქიმი ხე დო ხუჭი-
ში ჯგირობუას სი ჯგმორჩქინე. ხეში ტახუა, ხუჭიში ჭუა მა დო ჩქი-
მი ჩილ დო სქუას შორიშა ქეგმომირაცით „ხელ-მხარი ბეღნიერო და
მშვენიერო, ჩქიმი ხელისა და მხრის ნაქნარით ჩქიმი გული გაახარე, ჩქ-
მი ხელისა და მხრის ჯანმრთელობით შენ დამაბერე. ხელის ტეხვა,

მხრის ტკივილი მე და ჩემ ცოლს და შვილს შორის გაგვიქარვე“ (ს. მაკალათია).

ცნობილია, რომ ენაში ორ სიტყვას შორის შესაძლოა გაჩნდეს გარკვეული ასოციაციური მიმართება, თუ მათ ხმარებას ერთმანეთის გვერდით რეგულარული ხასიათი აქვს. ქართულში, მაგალითად, **თა** სიტყვასთან მჭიდროდაა ასოციაციურად დაკავშირებული **გარდი**, რაც სათანადო ასახულია კიდეც ენაში (განსაკუთრებით პოეტურ მეტყველებაში, ფოლკლორულ ტექსტებში...). გარკვეულ ხანაში კი, სპარსული პოეზიის გავლენით, **გარდი** ასევე უკავშირდებოდა სიტყვას **ბულბული**. ქართულისათვის ბუნებრივია აგრეთვე შეკავშირება **ბური** და **ლვინი** სიტყვებისა... იგივე მოვლენა შესამჩნევია ანთორპონიმებშიც: **ბეტრე** სახელთან, მაგალითად, მჭიდრო ასოციაციურ კავშირშია **ბავლე**...

გარკვეული დროის მანძილზე და გარკვეულ პირობებში შესაძლებელია მოხდეს სიტყვათა ამდაგვარი წყვილების გაკომპოზიტება, ანუ მათი ქცევა მყარ ლექსიკურ ერთეულებად. სიტყვათა შორის ასეთი სახის მიმართებათა გაჩენა იმთავითვე შეიძლება შეპირობებული იყოს წმინდა ლოგიკურ-აზრობრივი ფაქტორით, ანდა მხატვრულ-პოეტური აზროვნების ზემოქმედებით. ამ მხრივ მნიშვნელოვნად განმსაზღვრელია აგრეთვე სათანადო ენაზე მეტყველი ხალხის (ეთნოსის) ეთნოგრაფიულ-ყოფილი სტერეოტიპები; სწორედ ეთნოგრაფიული ყოფის წიაღშია გაჩენილი, მაგალითად, სიტყვათა წყვილები **ფიც-ვერცხლი** (შესიტყვებაში: ფიც-ვერცხლის ჭამა), **გარ-ქვაბი** (შესიტყვებაში: გარ-ქვაბით შაყრა) და სხვა; ხოლო სიტყვათა წყვილს, როგორიცაა **ქალ-ვაჟი** ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შეიძლება ისეთი კონტაცია მოქმედობდეს, რაც სალიტერატურო ენისათვის არ არის ნიშანდობლივი, მაგ., ხევსურულში კომპოზიტი **ქალ-ვაჟობა** სწორული ურთიერთობის აღმნიშვნელ ერთ-ერთ სიტყვადაც გვევლინება.

ეთნოგრაფიული ყოფისათვის, ჩვეულებრივ, ნიშანდობლივია ადამიანთა ქცევების, ურთიერთობების, ქმედებების გარკვეული სტერეოტიპულობა, რაც განმტკიცებულია ტრადიციებით. ესა თუ ის სოციალურ-ყოფილი მოვლენა ტრადიციულ საზოგადოებაში ხასიათდება შედარებით მეტი მდგრადობით და ერთი და იმავე სახით მრავალჯერ

განმეორებადობით, რაც სათანადო ასახვას პოულობს ენაშიც: რომელიმე მყარი სტერეოტიპული ქმედება თუ ეთნოგრაფიულ-ყოფილი მოვლენა ტრადიციული საზოგადოების მეტყველებაში, როგორც წესი, მყარი ენობრივი ერთეულით (კომპოზიტით, შესიტყვებით...) არის ხოლმე გამოხატული და სახელდებული.

მნიშვნელოვანია გამოვლენა და შესწავლა ისეთი სიტყვებისა თუ გამოთქმებისა, რომლებიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხოლოდ საკუთრივ ეთნოგრაფიული ყოფის რეალიებით არიან შეპირობებული და წარმოქმნილი ენაში. ამჯერად ზოგიერთ მათგანზე ვამახვილებ ყურადღებას.

სიტყვა **დისტულ-დედისმება** მოიპოვება მთის დიალექტებში. აგებულების მხრივ წარმოადგენს ისეთსავე ტიპის კომპოზიტს, როგორიცაა სალიტერატურო ქართულში **და-ძმა, დედ-მამა, ცოლ-ქმარი** და სხვა. ეს სახეობა ნათესაური ურთიერთობისა ჩვენს დღევანდელ ურბანიზებულ ყოფაში აღარ არის მკაფიოდ და საგანგებოდ გამოკვეთილი, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, მაგალითად, **დის-წულ-დედისმებობა** მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. იყო ფართო ინტერესის საგანი გახდა მსოფლიო ეთნოლოგიაში (არაერთი ეთნოსისთვისაა დამახასიათებელი ეს მოვლენა) და მისთვის შემუშავდა სპეციალური სამეცნიერო ტერმინიც – **ავუნკულატი** (ლათ. *avunculus „დედის ძმა“*).

ნათესაური ურთიერთობის სისტემათა მრავალფეროვნებასა და სიმყარეს ტრადიციულ საზოგადოებაში კარგად ასახავს ასეთი ხევსურული სიტყვებიც: **ქალ-მამისახლობა, დეიდა-მამიდაშვილობა, სიძე-ცოლისდობა, ზალ-ქმრეულობა** (ნ. ბალიაური).

სიტყვა **ქალ-ზალი** მთის კილოებში არის „კრებითი სახელწოდება სოფლის გასათხოვარი და გათხოვილი დედროვანისა“ (თ. ოჩიაური). ეთნოლოგიურ მეცნიერებას აღბათ გაუძნელდებოდა თავად შექმნა ისეთი სპეციალური ტერმინი, რომელიც უფრო ბუნებრივი და ორგანული შესატყვისი იქნებოდა მთის სოფლის შინაგანი საზოგადოებრივი ყოფისა, ვიდრე კომპოზიტი **ქალ-ზალი**. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოქმედებდა ეგზოგამის მყარი წესი, რომლის მიხედვით დაუშვებელი იყო ერთი და იმავე სოფლის ქალ-ვაჟის დაქორწინება; ამ წესმა კი სათანადო ასახვა ჰპო-

ვა ენაშიც **ქალი** და **ზალი** სიტყვების დაპირისპირებით: ხევსურეთის სოფელში, მაგალითად, **ზალი** ეწოდებოდა გათხოვილ პირს, რომელიც აუცილებლად სხვა სოფლიდან უნდა ყოფილიყო მოყვანილი; ხოლო **ქალი** ხევსურულში მნიშვნელობით არ არის იდენტური სალიტერატურო ქართულის იმავე სიტყვისა (მდედრობითი სქესის ადამიანი ზოგადად). ხევსურულ სოფელში **ქალი** ერქვა გასათხოვარ პირს, რომელიც იმავე სოფელში იყო დაბადებული და გაზრდილი; გათხოვების შემთხვევაში კი ისიც **ზალი** გახდებოდა, ოღონდ უკვე სხვა სოფელში.

ენათმეცნიერული თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტი, რომ სალიტერატურო ქართულში **ქალი** და **რძალი** არ ქმნიან საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვათა წყვილს, ხოლო მთის კილოებში იგივე სიტყვები, შეიძლება ითქვას, ანტონიმებად გვევლინებიან; ანტონიმიად კი მიიჩნევა სიტყვათა რეგულარული (და არა შემთხვევითი) დაპირისპირება, თანაც ისეთი დაპირისპირება, რომელიც ენაში უზუსით არის დამკვიდრებული და საყოველთაოდ გავრცელებული (ბ. ფოჩხუა). საყურადღებოა, რომ **ქალი** და **ზალი** სიტყვათა რეგულარული დაპირისპირება მთის კილოებში უშეალოდაა განპირობებული მეტყველი კოლექტიფის ეთნოგრაფიულ-ყოფითი სინამდვილით.

საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვებისაგან არის აგრეთვე წარმოებული ხევსურულ დიალექტში კომპოზიტი **მამკლავ-მამკვდრობა**, რომელშიც ანტონიმებად გვევლინებიან **მამკლავი** („მკვლელი“) და **მამკვდარი** („მოკლული“). ამ კომპოზიტით აღინიშნება ადამიანთა შორის ურთიერთობათა და დამოკიდებულებათა, ქცევათა და ქმედებათა მთელი სისტემა, რომელიც ტრადიციულ საზოგადოებაში უკავშირდებოდა მესისხლეობის ჩვეულებას. ფართო გაგებით, **მამკლავ-მამკვდრობა** ჰქვია დაძაბულ მდგომარეობას, რაც მკვლელობის შედეგად სუფევს ორ გვარს შორის.

ამ სახის ენობრივი მასალის მეტი რაოდენობით მოძიებამ და სისტემურმა ანალიზმა ენისა და ეთნოსის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის ურთმიერთმიმართების არაერთ მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხს შეიძლება მოპონოს ნათელი.

ავთანდილ არაბული

ე.წ. საზედაო ქცევის ასახვისათვის განმარტებით ლექსიკონში

ცნობილია, რომ ქართული ზმნის ფორმაწარმოებითი სირთულე სპეციფიკურ სიძნელეებს ქმნის შესაბამის ფორმათა და მნიშვნელობათა ასახვისათვის განმარტებით ლექსიკონში და ეს კი ნაირგვარ და წინააღმდეგობრივ მოსაზრებათა არსებობას განაპირობებს.

ერთ-ერთი ამ რიგის საკითხია ქცევის ფორმათა და, კერძოდ, ე.წ. საზედაო ქცევის ასახვა ქეგლის ზმნურ სტატიათა მნიშვნელობებსა და განმარტებებში. კერძოდ, ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია „საზედაო ქცევის“ ფორმათა ოპოზიცია ნეიტრალური (საარვისო) ქცევის ფორმებთან:

ერთი მხრივ: [გადა]-ა-წყობ-ს ა) (ის მას)

ბ) (ის მას მას)

მეორე მხრივ: [ა]-ა-შენებ-ს (ის მას) და [მი]-ა-შენებ-ს (ის მას მას)

როგორც ცნობილია, საზედაო ქცევა (ვ-ა-წერ) პირველად ჰ. შუხარდტმა გამოყო (1895). ა. შანიძემ „ქართული ზმნის საქცევში“ (1926) ამგვარი ფორმები ჩასვა ქართული ზმნის ქცევათა სისტემაში (ვ-ტეხ-ს, ა-ტყდებ-ა; მი-ა-შავებ-ს, ა-შავდებ-ა; ა-წყვეტ-ს, ა-ზი-ს...); ეს სისტემა გაზიარებულ იქნა გ. დეეტერსისა (1930) და ჰ. ფოგტის (1936) მიერ.

მაგრამ ა. შანიძემ 1930 წლის „ქართული ენის გრამატიკაში“ საზედაო (და სათანაო) ამორიცხა ქცევის კატეგორიიდან. საბოლოოდ კი „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ ამ გრამატიკული შინაარსისათვის შეიქმნა ს ი ტ უ ა ც ი ი ს კატეგორია, ანუ დასახელებული ფორმებისათვის მივიღეთ ცნება „საზედაო სიტუაცია“.

არნ. ჩიქობავა ქეგლის პირველ ტომში („ქართული ენის ზოგად დახასიათებაში“) ქცევის კატეგორიის განხილვისას ამ ფორმებსაც შეეხო:

„კუთვნილებას არ გადმოგცემს, მაგრამ სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობას (სივრცეში განლაგების მხრივ) ახასიათებს ა- თავსართია-

ნი წარმოება: ადევს ის მას (მხარზე), აწვება ის მას (გულზე), ახატავს ის მას (კედელზე), დაატეხს ის მას (თავზე) და სხვ. ეს „საზედაო“ შინაარსი ქცევისას არა ხვდება, მაგრამ იმავე რიგისაა (ტერმინები: საარვისო, სათავისო, სასუბიექტო, საობიექტო, საზედაო ა. შანი ძის შემოღებულია)“.

იმის მიუხედავად, რა გრამატიკულ კატეგორიაში იქნება ჩარიცხული ა-პრეფიქსიანი ფორმები, ისინი, როგორც პირიანობით (პირთა მიმართებით) განსხვავებული საოპოზიციო ცალებისაგან, ცალეკე განსამარტავ შინაარსებად უნდა იქნეს წარმოდგენილი შესაბამის ზმნურ სტატიებში. რაც მთავარია, განმარტებითი ლექსიკონის სარედაქციო სამუშაოების ამოცანაა თანამიმდევრულობის დაცვა (ან მიღწევა) შესაბამის ზმნურ ფორმათა სავალდებულო კვალიფიცირებისა და სალექსიკონოდ წარმოდგენის დროს.

შუქია აფრიდონიძე

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერული ნააზრევის ენისა და სტილის შესახებ

1. არნოლდ ჩიქობავას ლინგგისტური ნააზრევი ყურადღებას იქცევს არა მარტო აზრის სიღრმით, გამოხატვის სიზუსტითა და ურყევი არგუმენტაციით, არამედ უაღრესად ტევადი და დახვეწილი სტილითაც. ავტორისეულ ფრაზებში აშკარად დაჩნდება გიმნაზიური ლათინურის კვალი: აბზაცების სიუხვე, სენტენციურად მოწოდებული წანამძღვრები და დასკვნები (კლასიკური ნიმუში — თუნდაც „ენათმეცნიერების შესავალი“).

2. თავის ზოგ მონოგრაფიაში ავტორმა ქართული სინტაქსის კარდინალური საკითხები სრულიად ორიგინალურად გადაჭრა, რისთვისაც მას მოუხდა არსებული გრამატიკული ტერმინების გადასინჯვა და განსხვავებული ლინგვისტური ტერმინების დანერგვა, მათ შორის: **მიმართულებითი ბრუნვა** (შდრ. მანამდე არსებული ვითარე-

ბითი, გარდაქცევითი); **ნამყო ძირითადი // სრული, ნამყო უსრული** (შდრ. უწყვეტელი, წყვეტილი); **ნეიტრალური, სახუბიექტო, საობიექტო პირი** (შდრ. საარვისო, სათავისო, სასხვისო), რაც ერთიან სისტემას ქმნის **სახუბიექტო** და **საობიექტო** მიმღეობების გამიჯვნისას; ივივე ითქმის ზმნისა და მისი სუბიექტ-ობიექტების ადგილას ხმარებულ **კოორდინატთა** სისტემაზე (**ძირითადი, დიდი, ძირი კოორდინატები**), ზმნისების ადგილას **ზმნისართის** ხმარებაზე და სხვ. ავტორისეული გააზრება ცხადყოფს, რომ ეს ტერმინოლოგია თვითმიზნური კი არ არის, არამედ ემსახურება **სისტემის** მიგნებას ფაქტების სიმრავლეში.

3. საყურადღებოა ავტორის „პირადი“ სიტყვაწარმოება, კერძოდ, ისეთი დერივაციული ფორმების ხმარება, რომლებიც თანამედროვე ქართულში სხვა აფიქსური საშუალებებით გამოიხატება (მაგ., **მეხამოცე** წლები დღეს გამოყენებული **სამოციანი** წლების ადგილას, უარყოფით მიმღეობაზე ვითარებითის -**ად** ნიშნის ადგილას -**ივ** აფიქსის ხმარება (**შეუდარებლივ**; შდრ.: **შეუდარებლად**) და მისთ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავტორი უფრო „ჰერძავს“ ე.წ. ემფატიკურ -**ა** ხმონიან ფორმებს თანდებულთა დართვისას (ამისათვის, იმისაგან, ბრუნვაშიაც).

4. ავტორისეული ინდივიდუალიზმების ნიმუშებს წარმოადგენს გარკვეული ფონეტიკურ-მორფოლოგიური ფორმები, რომელთაგან ზოგიერთი ეტიმოლოგიური ინტერპრეტაციის საფუძველზე აიხსნება (**შეცომა, შეცოება...**); აღრინდელ ნაწერებში **ო** ხმოვნის მომდევნოდ ფუძისეული **გ** თანხმოვნის უხმარებლობა (**პოებს, მოიპოება...; სადაო, უდაოდ**. შდრ.: პოებს, მოიპოება; სადაო, უდაოდ).

5. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები თანამედროვე სალიტერატურო ქართულის სინტაქსურ სისტემას მსჭვალდას. საკითხი ეხება თანხმოვანზე ფუძეგათავებულ მსაზღვრელთა გაფორმებას შუა ბრუნვებში ადრე და მოგვიანებით: თუ ადრეულ ნაწერებში ავტორი ნათესაობით-მოქმედებითში დასმულ მსაზღვრელებს, XIX ს-ში გავრცელებული წესისამებრ, ფუძის სახით იყენებდა, მიცემით-ვითარებითში კი, პირიქით — მიცემითის -**ნ** ნიშნის დართვით (**ძელებს ქართულში, პირებლებს კუფში...**), დროთა განმავლობაში ავტორმა მსგავსი სიტყვათშეხამებები ამჟამად მოქმედი ნორმის წესის მიხედვით გამართა.

6. საგანგებოდ უნდა ითქვას თხზული სიტყვების გაფორმების თაობაზეც, რაც ძირითადად ეხება კავშირ-ნაწილაკებისგან შედგენილ შეხამებებს. აგტორის აღრინდელ ნაწერებში ორ სიტყვად იწერება: **თუ ჯო; არა თუ, არც თუ** და მსგავსი სტრუქტურის სხვა კავშირ-ნაწილაკები, რომლებიც შემდგომ შეერთდა.

7. არნ. ჩიქობავას პუნქტუაციური არსენალიდან დიდი გამომსახველობით გამოირჩევა **ტირე და ორწერტილი**, რითაც ავტორი ხშირად უფრო ლაკონიურად და, ამასთანავე, ერთგვარი აქცენტირებით აღწევს ეფექტს კავშირიანი ქვეწყობილი წინადადების ასინდეტურით შენაცვლებისას. ეს უფრო ითქმის მიზეზისგარემოებითი დამოკიდებულის შემცველი ქვეწყობილი წინადადების გადმოსაცემად.

ცირა ბარამიძე

ჩრდილოეთ კავკასიის ენობრივი სიტუაციის შეფასებითი მომენტი

მოხსენებაში განხილულია ჩრდილოეთ კავკასიის ენობრივი სიტუაციის ისტორიული და თანამედროვე ასპექტები. გამოკვეთილია კავკასიის ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნების პრობლემები, დაცვის საჭიროება. მოცემულია მცდელობა, განისაზღვროს ამ ენათა სიცოცხლისუნარიანობა და საფრთხის დონეები დღეს არსებული რეალური ენობრივი სიტუაციის მიხედვით. გამოკვეთილია ჩრდილოეთ კავკასიაში ენობრივი პოლიტიკის ძირითადი შტრიხები (რაც რუსთის ფედერაციის ერთიანი ენობრივი პოლიტიკის ნაწილად წარმოგვიდგება). ამ პოლიტიკის მიხედვით, 80-იანი წლებიდან რეგიონში მშობლიურ ენებზე სწავლება შეწყდა. ახალი ენობრივი პოლიტიკით რუსთის ფედერაციაში რუსულის, როგორც სახელმწიფო ენის, უფლებები გამყარდა. ჩამოყალიბდა ცალმხრივი ბილინგვიზმი. ნაციონალური ენების ბედი რესპუბლიკების გადასაწყვეტი გახდა. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ დესტიმაციურმა (შეფასებითმა) კომპონენტმა ენობრივი სიტუაციის რეგულირებაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს.

მოხსენებაში მოხმობილი ახალი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით გაანალიზებულია შეფასებითი კომპონენტის მნიშვნელობა მინორიტარული ენების სიცოცხლისუნარიანობის საკითხში. გამოკვეთილია შეუსაბამობა ეროვნულ ენათა ფუნქციონირების იურიდიულ და რეალურ არეალთა შორის.

მოხსენებაში მოცემულია ეროვნულ ენათა სიცოცხლისუნარიანობის წინაშე არსებული საფრთხეების დონეთა განსაზღვრის მცდელობა. თაობათაშორის ენის გადაცემის უწყვეტობის საკითხი განხილულია სტატიკური მონაცემების საფუძველზე. გამოკვეთილია აშკარა საფრთხის ქვეშ მყოფი ენები.

ჩრდილოკავკასიურ ენათა სიცოცხლისუნარიანობა და საფრთხეები განისაზღვრება კრიტერიუმებით, რომელთა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ცალ-ცალკე განსაზღვრა არ არის საკმარისი ენის მდგომარეობის შესაფასებლად. მხოლოდ ყველა კრიტერიუმის ერთად შეჯერებით შესაძლებელი ხდება ენათა სიცოცხლისუნარიანობისა და ენის ფუნქციონირების არეალის განსაზღვრა.

მოხსენებაში ნაჩვენებია ამ ენათა სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის ჩასატარებელი ღონისძიებები და გამოკვეთილია შეფასებითი მომენტის გადამწყვეტი როლი.

ნინო ბენდუ ჭიძე

სინტაქსური შეკავშირების სახეები ქართული, აფხაზური და ადილეური ენების ატრიბუტულ სინტაგმაში

ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობა, სადაც კარგად განვითარებული ბრუნება გვაქვს, აღინიშნება:

- 1) შეთანხმებით ბრუნვასა და რიცხვში. (მაღალი ხე, მაღალმა ხემ, მაღალს ხეს... ხენი მაღალნი, ხეთა მაღალთა...);
- 2) მართვით (ხის სახლი, სიტყვის ძალა...);
- 3) მართვა-შეთანხმებითა (სახლი ხისა, სახლმა ხისამ...) და
- 4) მირთვით (წინ-წყარო...).

აფხაზურში მსაზღვრელ-საზღვრულს შორის ურთიერთობა სასტიკად არის გამოხატული: ბრუნების უქონლობის გამო აქ გვაქვს ოდენ შეთანხმება კლასსა და რიცხვში და მირთვა.

შეთანხმება კლასსა და პირში: **უ-არა უ-შეყ „შენი (მამაკ.) წიგნი“, ბ-არა ბგ-შეყ „შენი (ქალ.) წიგნი“.**

რიცხვსა და კლასში: **ლაპაშ-ცა ადჰაბა-ცა „მისი (დედაკ.) დები უფროსები.“**

ვითარებითი ზედსართავი სახელი პოსტპოზიციურად მიერთვის არსებით სახელს:

აუაკვ პალალ „კაცი ქეთილი“

ათაკაუ რეცა „დედაბერი საცოდავი“.

შესიტყვებაში გრამატიკული კაშტირის შესუსტება კომპენსირებულია სიტყვათა რიგის როლის ერთგარი გაძლიერებით. კერძოდ, მართვის უქონლობა აიძულებს აფხაზური ენის მსაზღვრელსა და საზღვრულს კონტაქტურად დალაგდნენ წინადადებაში. ამიტომაა, რომ აფხაზურში არ გვხვდება დისტანციური (გათმული) მსაზღვრელები.

ქართულისაგან განსხვავებით, აფხაზურსა და ადილეურში ატრიბუტული სინტაგმა ამჟღავნებს ერთ აფხაზურ-ადილური ენათა ჯგუფისათვის სპეციფიკურ თავისებურებას: ესაა საზღვრელ-მსაზღვრელის ტენდენცია, ისწრაფონ ერთ სიტყვად გააზრებისაკენ. მაგრამ აფხაზურში ეს ტენდენცია ისეთი მკვეთრი არ არის, როგორც ადილეურში. აფხაზურში უფრო შენარჩუნდა სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის სახეები: შეთანხმება და მირთვა, ხოლო ადილეურში, როგორც ჩანს, აფხაზურისებური ვითარება უკვე განვლილი საფეხურია და ამჟამად ენა განვითარების იმ ეტაპზე გადავიდა, როდესაც საზღვრულ-მსაზღვრელი იმდენად შეერწყა ერთმანეთს, რომ ერთ ერთეულად მოიაზრება.

ატრიბუტული სინტაგმა, მსაზღვრელ-საზღვრული ადილეურში წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომლის ცალკეული ნაწილები დამოუკიდებლად არ იცვლება.

სიტყვათშეხამება საზღვრული + მსაზღვრელი ფორმდება ერთ სიტყვად. მაგ.: **უც შხიანტა დაბ'ა-რ ზედმიწ. „ბალახი მწვანე ლამაზი“. წინადადების სხვა წევრებს ამგვარი ატრიბუტული სინტაგმა**

უკავშირდება როგორც ერთი სინტაქსური ერთეული. მაგ.: **ბგრაზ ფლუშ „წითელი დროშა“ (ზედმიწ. „დროშა წითელი“) ბგრაზ ფლუშგრ მაგბათა „წითელი დროშა ფრიალებს“.**

რიცხვისა და ბრუნვის აფიქსები ამგვარ ატრიბუტულ სინტაგმაში მიერთვის მხლობ ბოლოს მდგარ სიტყვას იმის მიუხედავად, მსაზღვრელია ის თუ საზღვრული:

ჭალალ ნაფგ-რ — წგფგმ ილათხ, ზგლუი უპარგჭგ — წგფგჭმ იბჟებ. „ნათელი ახალგაზრდობა — ადამიანის გაზაფულია, ჭალარა სიბერე — შემოდგომაა ადამიანისა.“

სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიათა აღმნიშვნელი პრეფიქსები აფორმებენ არა ცალკე მსაზღვრელს ან ცალკე საზღვრულს, არამედ ორივეს ერთად:

უი-თხელ დალუგ-ხა-რ „შენი წიგნები კარგი“.

ადილეურში საზღვრულ-მსაზღვრელი იმდენად ერთ მთლიანობად, ერთ სიტყვად აღიქმება, რომ ამ ერთი მთლიანობის კომპონენტთა შორის რამე სინტაქსური ურთიერთობა არა გვაქვს.

თე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

რთული თანწყობილი წინადადების სტრუქტურა ძველ ქართულში (ზოგადი მიმოხილვა)

1. რთული წინადადება ენაში ისტორიულად გაცილებით გვიან ჩამოყალიბდა, ვიდრე მარტივი წინადადება. იგი ენის სინტაქსური წყობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მაუწყებელია. საზოგადო დამკაიდრებულია მოსაზრება, რომ თანწყობა უფრო ადრინდელია და წინადადებათა ერთმანეთთან გადაბმა-დაკავშირების უფრო პრიმიტიული საშუალებაა, ვიდრე ქვეწყობა (ა. პეშკოვსკი).

ძველ ქართულ ენაში იმთავითვე მარტივი წყობის წინადადების გვერდით ასევე ფართოდაა გავრცელებული რთული თანწყობილი წინადადებებიც.

2. პარატაქსული წყობის წინადადებების აზრობრივი მიმართება ძველ ქართულშივე სხვადასხვაგვარია. მას შეუძლია გამოხატოს: ა) მოვლენათა ერთდროულობა: „და უფროოშნი დღენი ვენაჯთა შრომა-სა შინა დაყვიან და ყოლადვე მამად მათ თანავე იყვის“ (წმ. იოვ. და ექვთ. ცხ.); „ხოლო ყოველნი იგი ერთობით კმობდეს სახელთა მათსა და არარა სარგებელი ეყო მას“ (წმ. ნინოს ცხ.); ბ) მოვლენა-თა თანამიმდევრობას: „წმინდა მამამან აზიარნა იგინი წმიდათა საი-დუმლოთა და ესრეთ მიიცვალნეს წინაშე ღმრთისა“; ამიერითგან აქა მელოდენ სიტყუად ესე და თქვენ აწცა ისმინეთ“ (წმ. ნინოს ცხ.) გ) მოვლენათა დაპირისპირებ: „მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სა-ხიდ თსა, ხოლო შენ დევნი შემოიხუნენ“ (შუშან. ცხ.); „არა თქუნ გამომირჩიეთ მე, არამედ მე გამოგირჩიენ თქუნენ“ (ბიბლ.).

3. უნდა აღინიშნოს, რომ გვხვდება ისეთი წყობის პარატაქსული წინადადებებიც, რომლებიც არ შედგება ერთიმეორის მიმართ თანას-წირი წინადადებებისაგან: „არს ქალაქსა ამას შინა სამოსელი უფლი-სა ჩუენისა იესუ ქრისტესი და მით იქმნებიან სასწაული ესე და კურნებანი“ (წმ. ნინოს ცხ.); „მოკუდა ბალაკ და მეფობდა მის წილ იობა“ (ბიბლ.). დასახელებული ტიპის წინადადებებში პირველი კომპონენტი წინადადების გარეშე ვერ გაიაზრება მომდევნო წინადა-დების შინაარსი.

4. ძველ ქართულშივე სამწერლობო ძეგლებში დადასტურებულ რთულ თანწყობილ წინადადებებში გვხვდება ისეთი წყობაც, რომე-ლშიც შედის არა ორი დამოუკიდებული წინადადებება, არამედ — მეტი: „და მას უამსა იქმნა განდგომილებად სკლიაროსისა და ჭმელით კერძო ყოველი დაიპყრნა და მეფენი და დედოფალი შეწყულეულად იყვნეს ქალაქსა შინა დიდითა ჭიროებითა“ (წმ. იოვ. და ეფთვ. ცხ.); „მუნ უამადმდე ძნიად უბნობნ ქართულად და ფრიად მწუხარე ვიყავ ამის პირისათვს, ხოლო მიერითგან დაუყენებლად აღმოდინ უწმიდეს ყოველთა ქართველთასა“ (წმ. გრ. ხანძთ. ცხ.).

რუსული გერსამია

სახელთა მრავლობითში ჩართული ლ სონორის ფუნქციის საკითხისათვის მეგრულსა და ლაზურში

სპეციალურ ლიტერატურაში მრავალობითი რიცხვის ალომორ-ფები სახელობითი ბრუნვისათვის მეგრულსა და ლაზურში შემდეგნა-ირადაა წარმოდგენილი:

მეგრული: -ეფ /-ლეფ

ლაზური: -ცე /-ეცე /-ლეცე /-ელეცე

მათი დისტრიბუცია პოზიციურადაა შეპირობებული: ლაზურში -ცე დასტურდება იმგვარი ფუქების შემდეგ, რომელთაც აუსლაუტ-ში **ა ე თ უ** ხმოვნები მოუდით; **-ეცე** - **ი** ხმოვნის შემდგომ (ამგვა-რი ფუქები წარმოშობით ბოლოთანხმოვნიანია), **ა** ხმოვნით დაბო-ლოებულ რამდენიმე ფუქეს კი მრავლობითის საწარმოებლად **-ლეცე** დაერთვის (გ. კარტოზია); ამასთან ლაზურში **-ცე** / **-ეცე** / **-ლეცე** ალომორფთა განაწილების პრინციპი მარცვალთა რაოდენობას ემყა-რება (გ. კარტოზია).

მეგრულში უგამინაკლისოდ ყველა თანხმოვანფუძიანს დაერთვის **-ეფ**, ხმოვანფუძიანებთან კი სახელთა მხოლოდ მკაცრად განსა-ზღვრულ რაოდენობაში (მეგრულში ამგვარ მაგალითთა რაოდენობა შეივსო ი. ყიფშიძის შემდგომ და ახალი მონაცემებით სულ 28-ს აღ-წევს) ჩნდება **-ლეფ** მიმდევრობა. კონკრეტული ფონოლოგიური პო-ზიციის დადგენა ვერ ხერხდება. უდავოა ინტერვოკალური პოზიცია, სადაც სტაბილურად განსაზღვრულია მხოლოდ მომდევო ხმოვანი **ე** (**-ეფ** მორფების შემადგენლი). რაც შეეხება **ლ**-ს პრეპოზიციას, იგი დასტურდება **ა**, **ე**, **უ** ვოკალთა შემდგომ: **#ა-ლ-ეფ**, **#ე-ლ-ეცე**, **#უ-ლ-ეცე** და, ლაზურისაგან განსხვავებით, მეგრულში არცერთი მაგალი-თი არა **ი** და **ო** ხმოვნებზე დამთავრებულ ფუქებზე **ლ**-ს დართვი-სა. მიუხედავად ამგვარი ანალიზისა, **ლ**-ს ფონოლოგიური პოზიციე-ბის დადგენა რაიმე კანონზომიერების სახით მაინც ვერ ხერხდება, რადგან ზოგი ფუქე მერყევება და მიღრეკილია მრავლობითის ფუქეთა პარალელური წარმოებისკენ (შდრ. ჩხოუ-ლ-ეფ-ი || ჩხოუ-ეფ-ი „ძრო-ხები“, თუ-ლ-ეფ-ი || თუ-ეფ-ი „გოჭები“), ან კიდევ იმავე პოზიციაში

ლ- საერთოდ არასავალდებულოა (კატუ-ეფ-ი „კატები“, უვაბუ-ეფ-ი „ბაყაყები“, კანცხუ-ეფ-ი „დუგმები“, კირდ[ე]-ეფ-ი „კლდეები“, მოჭირ[ე]-ეფ-ი „ნათესავები“, მაბირ[ე]-ეფ-ი „მომლერლები“ და ყველა ამგვარად წარმოქმნილი სახელი).

თუ მეგრულში **ლ-**-სონორჩართულ მაგალითთა რაოდენობა შემოფარგლულია, ლაზურში მისი არე მნიშვნელოვნად გაფართოებულია.

ლაზურისა და მეგრულის მონაცემთა დიაქრონიული ანალიზით **ლ** სონორი რამდენიმე მაგალითში თვით მხოლობითი რიცხვის ფუქტივე აღდგება ეტიმოლოგიურად (*ხელ-, *კალ-, *(թ)ჭითალ-, *(թ)ჭი-ჭელ-, *გი/უნძელ-, *თი/უთხელ-, *ჩი/უჩქულ-), ხოლო ფუქტა უმრავლესობაში იგი სხვა ფაქტორით ჩანს შეპირობებული, რაც სვამს საკითხს, შეიძლება თუ არა **ლ** სონორის განხილვა მრავლობითის მაწარმოებელ ელემენტად დანარჩენ **-ეფ** თუ **-ეფე** მიმდევრობებთან ერთად? თუ არა, მაშინ როგორი უნდა იყოს მისი კვალიფიკაცია. ანგარიშგასაწევია დებულება, რომლის მიხედვითაც, ის დიაქრონიულ დონეზე ხმოვნებს შორის ჰიატუსის დასაძლევად გაჩნდა (გამყრელიძე, მაჭავარიანი); თუმცა სინქრონიულ დონეზე ამ დებულების მორგება სხვა ფუქტებისთვის შეუძლებელია, განაიღან, როგორც ზემოთაც ვაჩვენეთ, არსებობს პარალელური წარმოებები, სადაც მეზობლად შროჩედ რაგვარობით განსხვავებული ხმოვნები უპრობლემოდ თანაარსებობს. სხვა თვალსაზრისით, აღიერტივებში გაჩენილ **ლ** სონორის აქვს „მასუბსტანტივებელი ფუნქცია“ (ლ. ეზუგბაია). საკითხი დამატებით ანალიზს საჭიროებს.

საგულისხმოა, რომ **ლ** სონორი თავს იჩენს ხმოვნით დაწყებულ სადერივაციო აფიქსთა წინაც და დაჩნდება მხოლოდ იმ ფუქტებთან, რომლებიც მრავლობითის წარმოების დროს ფუქტსა და **-ეფ** მორფე-მას შორის **ლ**-ს ჩაირთავენ, ანუ ამ შემთხვევაშიც **ლ**-ს ფონოლოგიური პოზიცია ინტერვოკალურია. მეგრული: **ქა** „რქა“ — **ქა-ლ-ამ-ი** „რქებიანი“, **თუ** „გოჭი“ — **თუ-ლ-ამ-ი** „გოჭებიანი“, **დიდა** „დედა“ — **დიდა-ლ-ობ-ა** „დედობა“... ანალოგიური წარმოება გვაქვს ლაზურშიც. აღნიშნული საკითხიც ასევე წარმოშობს **ლ**-ს სახელთა მრავლობითის მაწარმოებელ მორფემულ მიმდევრობაში განხილვის ეჭვს.

ჩვენი დასკვნით:

1. **-ლეფ** (II -ლეფე) მრავლობითის მაწარმოებელ ალომორფად წოდებული მიმდევრობა დაშლადია **-ლ+**-ეფ ელემენტებად, ეს არის **-S+CV** ტიპის მიმდევრობა, რომელშიც მრავლობითობის ფუნქცია მხოლოდ **-ეფ** (II-ეფე) მორფემას აკისრია. **ლ**-სონორი სინქრონიულ დონეზე ბრუნების მთელ პარადიგმაში უნდა გამოიყოს და მას სხვა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს.
2. მართებული იქნებოდა **ლ**-ს განხილვა ისეთ ფონეტიკურ ჩანართად, ინფიქსურ ელემენტად, რომელიც არარეგულარულად ვლინდება წარმოქმნილ სახელებში, მათ შორის მრავლობითის ფუქტებში.

ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი

შორისდებულთა ერთი ჯგუფის ანალიზისათვის სვანურში

სვანურში, ქართულის მსგავსად, შინაარსის მიხედვით შორისდებულთა სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: გ რ ძ ნ თ ბ ი ს, მ თ უ ბ რ ი ს ნ ე ბ ა ს უ რ ვ ი ლ ი ს ა დ ა ფ ი ლ - ა ლ ე რ ს ი ს გამომხატველი.

როგორც სვანურ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ზემოღასახელებული სამი ძირითადი ჯგუფიდან ყველაზე დიდ მრავალფეროვნებას ამათუ იმ გრძნობის გამომხატველი შორისდებულები წარმოადგენენ. აქ შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ქვეჯგუფი, რომლებიც აღნიშნავენ:

ა) სიხარულსა და აღტაცებას: **აჲ||ახ**, **იჲ||უჲ||გჲ!**, **უა||უჲ||გჲ!**, **ცაჲ||ცოჲ!**, **ჲა მშდილ**, **ა! ლეგეს** „რა კარგია!“...

ბ) ნატერას: **ნატიალ||ნატლატ||ნატდალ||ნატდელ!** ეჲ! აჲ! ეხ! ოხ! **ჲპხ-ჲპხ სურევ!**.. „ნეტავო!“

გ) მოწონებას: **ხიადულ!** „ყოჩაღ, ბარაქალა!“

გ) მწუხარებასა და დარღის: **აბაბშე||აბაბადა||აბაბად||აბაბშე||აბაბშე!** „ვაი, ვაიმე, აგაიმე!“ **ჲპხ დია!** „ვაი დედა!“ ა, **ჲპხ-ჲპხს**, ა!..

დ) დანანება-სიბრალული: **აუჲ**, **ლეშუედ-ლეკუანე!** — დასანანი! აჲ, გადასავარდნ-გაღასადგები, **უუხ**, **შატ მი**, ა! „ვაი, საწყალი“, **მი სა-ბრალ** „ვაიმე, მე საბრალო...“

- ე) ზიზღს: **თფუ!** „თფუ!“ **ფუ||ფუჸ!** „თფუ||თფუჸ!“
 ვ) ნიშნის მოგებას: **ამჟი, ა!** „ასე, აი!“ **ღგჩ-ღგჩ!** — საჩვენებელი
 თითის ჩვენებით გამოჯავრება... და სხვა...

მოხსენებაში ცალ-ცალკე გვექნება განხილული როგორც საკუთრივ
 სვანური, ასევე ქართულიდან შემოსული ამა თუ იმ გრძნობის გამო-
 მხატველი შორისძებულები. ცხადია, მსჯელობა გვექნება საერთო-ქარ-
 თველურ მასალაზეც.

ე ლ ე ნ ე გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი

რთული ზმნების კვლევისათვის ეპიგრაფიკულსა და მანიქეურ საშუალო სპარსულში

საშუალო სპარსული, რომელიც პართულთან ერთად განეკუთ-
 ვნება საშუალო ირანულ ენათა ჯგუფის დასავლურ შტოს, განსაკუთ-
 რებული ინტენსივობით შეისწავლება უკანსკნელი ათწლეულების
 მანძილზე. მისი ევოლუციის საკითხებს მიეძღვნა ვრცელი სამეცნიერო
 ლიტერატურა (ამ შრომათა ბიბლიოგრაფია იხ. ვ. ზუნდერმანის
 გრამატიკულ ნარკვევში — W. Sundermann, Mittelpersisch, Compendium
 Linguarum Iranicarum, 1989, Wiesbaden, pp.138-164). მაგრამ, აღსანიშნა-
 ვია, რომ ამ ენის გრამატიკული სტრუქტურისა და მორფო-სიტაქსის
 ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამო-
 კვლეული.

ყველაზე უფრო მეტად ეს ეხება ზმნის კატეგორიას. ადრესაშუა-
 ლო სპარსულში და შედარებით გვიანდელ ტექსტებში დადასტურე-
 ბული ზმნური ფორმები უმთავრესად განიხილებოდა ისტორიულ-
 ეტიმოლოგიურ ასპექტში, ანუ ძირითადი ყურადღება ეთმობოდა
 პრეზენსის (აწმყო დროის) ფუქტთა ანალიზს და მათ მიმართებებს
 ძველ ირანულ პრეზენსის კლასებთან.

დროის, ასპექტის, გალენტობისა და კილოს გრამატიკული კა-
 ტეგორიები, როგორც წესი, განიხილებოდა მოკლედ და ზოგადად.

საშუალო სპარსული წერილობითი ძეგლების ახალი კრიტიკული
 გამოცემები რეალურ საფუძველს ქმნის მისი გრამატიკული რეალიე-
 ბის ევოლუციური პროცესების ახლებური გააზრებისა და შესაბამი-
 სად, მისი ისტორიული განვითარების ახლებური ინტერპრეტაციის-
 თვის.

ანალიტიზმი, საშუალო სპარსულის გრამატიკული სტრუქტურის
 ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. ძველი ირანული დრო-ასპექტუ-
 რი სისტემის კომპლექსური მორფოლოგიური ტიპი, რომელიც შე-
 დგებოდა ზმნურ ფუქტთა და სათანადო ფლექსიურ ფორმათა ტრი-
 ქოტომიისაგან (პრეზენსი-აორისტი-პერფექტი), შეცვლილი იყო აწმყო
 და ნამყო დროის ზმნურ ფუქტები და პირიან ფორმათა ბინარული პა-
 რადიგმატული ოპოზიციით, რომლებშიც აწმყოს ფორმები ფლექსიუ-
 რია, ხოლო ნამყოსიანალიტიკური. პერიფრასტული ზმნური ფორმე-
 ბის საყოველთაო ინტეგრირება შეიძლება განიხილებოდეს საშუალო
 სპარსულის (და ზოგადად, დასავლური საშუალო ირანული ენების)
 ინოვაციად.

საშუალო სპარსული ზმნის აღწერითი გრამატიკული ფორმები-
 დან ცალკე კატეგორიად გამოყოფილია „რთული ზმნები“ (B. C.
 Rastorgueva, 1966; W. Sundermann), რომლებიც შედგება ორი კომპო-
 ნენტისგან : არსებითი, ზედსართავი ან ნაზმნარი სახელისა და დამო-
 უკიდებელი (უმთავრესად გარდამავალი ტიპის) ზმნებისაგან, როგო-
 რიცაა *kardan-* „კეთება“, *dādan* „მიცემა, ბოძება“, *burdan* „მოტანა“
 და სხვ.

უკვე ადრე საშუალო სპარსულ წერილობით ძეგლებში — მანი-
 ქურ ტექსტებში (III ს. ჩვ. წ.), ადრე სასანურ წარწერებსა (III ს. ჩვ.
 წ.) და სირიული ფსალმუნის საშუალო სპარსულ თარგმანში (IV ს.
 ჩვ.წ.) ვლინდება რთული ზმნების თვალსაჩინო მოდელები, რომლე-
 ბიც კონტექსტების შესაბამისად ან გრამატიკულ ფორმას გადმო-
 სცემს (მაგალითად, *āfrīn kardan* „ხოტების შესხმა“, რომელშიც *āfrīn*
 არის პირდაპირი დამატება), ან ზმნური ფრაზეოლოგიზმების შესაბა-
 მისია.

მოხსენებაში წარმოდგენილია რთული ზმნების სემანტიკური და
 დისტრიბუციული ანალიზი III-IV საუკუნეების საშუალო სპარსულში.

გიორგი გოგოლაშვილი

ლინგვისტური შენიშვნები 2. ზმინისწინთა ფუნქციების თაობაზე

ახლ ქართულში ზმინისწინებისათვის გამოყოფენ რამდენიმე ფუნქციას:

1. ზმინისწინი აღნიშნავს მიმართულებას,
2. აწარმოებს სრულ ასპექტს;
3. აწარმოებს მომავალ დროს (აწმყოსაგან) და
4. უცვლის ზმნას მინიშვნელობას.

ეს ძირითადი ფუნქციებია. საუბრობენ სხვა ფუნქციებზეც: მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, **ზმინისწინის ფუნქცია არის მწერივთა წარმოებაც**; იგულისხმება წერს — და-წერს ტიპის ფორმობრივი დაპირისპირება (ზ. ჭუმბურიძე, ლ. კვაჭაძე, ა. კიზირია); ზმინისწინის ფუნქციად მიიჩნევთ აგრეთვე „**ზმინის პირიანობის ცვლას**“ (თ. მახარობლიძე); იგულისხმება ამ ტიპის დაპირისპირებანი:

დაარღვია მან ის — **შემოარღვია** მან მას ის,

დავახვიე მე ის — **შემოვახვიე** მე მას ის და მისთანანი.

ამ ორ უკანასკნელ ფუნქციას ძირითადი ფუნქციების ტოლფასად თვლიან; სწორედ ეს მიგვაჩნია სადავოდ:

ზმნურ ფორმათა ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ მწერივის თეორიის თანმიმდევრული გატარება პირველ სერიაში ახალ ქართულში მყიფადის წრის გამოყოფის საშუალებას არ მოგვცემს (გ. გოგოლაშვილი, „ქართული ზმნა“, 2011); შესაბამისად არ დადგება საკითხი ზმინისწინის მწერივის მაშარმოებლად გააზრებისა...

რაც შეეხება პირთა მატებასა თუ კლებას, ეს არ არის ზმინისწინის ფუნქცია; ეს შემთხვევები უნდა გაიგივდეს ზმინისწინის მეოთხე ფუნქციასთან — ზმინის მნიშვნელობის ცვლასთან: ზმინისწინი ანიჭებს ზმნას იმ სემანტიკას, რა სემანტიკითაც ერთ შემთხვევაში ორპირიანი ფორმა იწარმოება, სხვა შემთხვევაში სხვა ზმინისწინიანი ვარიანტისაგან — სამპირიანი. რა შინაარსობრივი განსხვავებაც არის სხვადასხვა ზმინისწინით ნაშარმოებ ორპირიან და სამპირიან ზმნებს შორის, ისე-

თივე შინაარსობრივი სხვაობაა შესაბამის ზმინისწინიან სახელზმნებს შორის:

დაარღვევს

შემოარღვევს

დარღვევა

შემორღვევა

დამრღვევი

შემომრღვევი

დარღვეული

შემორღვეული

დასარღვევი

შემოსარღვევი

ასე რომ, რა მნიშვნელობასაც აძლევს ზმინისწინი პირიან ფორმას, იგივე მნიშვნელობა აქვს მას უპირო ფორმებში...

და კიდევ არსებითი: როცა საუბრობენ პირის მატება-კლებაზე, ამგვარად დაპირისპირებულ ფორმებზე მსჯელობისას, ცხადია, ყველა სამპირიანი ფორმა მოყვანილია „მყიფადის მწერივში“ ანდა წყვეტილში ზმინისწინითურთ და სამპირიანობა ზმინისწინს „ბრალდება“: ის მას მას **შემოახვევს**, **შემოარღვევს**... მან მას ის **შემოახვია**, **შემოარღვია**... მაგრამ იგივე ზმნები სამი პირის გაგებით უზმნისწინდაც შეიძლება შეგვხვდეს გარკვეულ კონტექსტში: ბალს ღობეს **არღვევს** და მაღლე **შემოარღვევს**; უკვე **ახვევს** და მაღლე **შემოახვევს**; **არღვია**, **არღვია** და ძლივს **შემოარღვია**; **ახვია**, **ახვია** და ძლივს **შემოახვია**... ფაქტია, მსგავს მაგალითებში (ზმინისწინიან და უზმნისწინი ფორმათა დაპირისპირებაში) ზმინის პირთა რაოდენობა იღენტურია, იცვლება დრო და ასპექტი; სწორედ ესაა დაკავშირებული ზმინისწინთან და არა პირთა რაოდენობა.

როცა ვსაუბრობთ ზმინისწინთა ძირითად ფუნქციებზე, ერთი რამეც უნდა გავითვალისწინოთ: თუ აწმყოს ფორმას რომელიმე ზმინისწინის დართვა მომავლის გაგებას (ან უსრულასპექტიან ფორმას სრული ასპექტის მნიშვნელობას) მიანიჭებს, ამ ფუნქციას იტვირთავს ნებისმიერი ზმინისწინი, რომელსაც ეს ზმნა იგუებს; მხოლოდ ასეთი ფუნქციები უნდა მივიჩნიოთ ზმინისწინის ძირითად ფუნქციად; ხოლო ისეთი ფუნქციები, როგორიცაა უნებურობის გამოხატვა, სიცოტავე-სიმცირის აღნიშვნა თუ თითოობის მინიშნება, ცალკეულ ზმინისწინთა ფაკულტატური ფუნქციაა, თანმდევი ძირითადი ფუნქციებისა. ეს მნიშვნელობანი ზმინისწინთა, ისევე როგორც მეოთხე ფუნქცია, სემანტიკის სფეროა და არა მორფოლოგიისა (მწერივთა წარმოება თუ პირთა რაოდენობის ცვლა კი მორფოლოგიის საგანია!).

თ ა მ ი ლ ა გ ო გ ო ლ ა ძ ე

როგორ მუშაობდა კ. გამსახურდია ქართულ სიტყვაზე

XX საუკუნის დასაწყისიდანვე ქართველი მწერლები უკვე აშკარად გამოკვეთენ საკუთარ როლს და ფუნქციას სალიტერატურო ენის განვითარების საქმეში. ამას ხელი შეუწყო 1929 წელს, საქართველოს მწერალთა ყრილობის ინიციატივით, სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეთანხმებით ქართული მართლწერის შემმუშავებელი კონფერენციის მოწყობის იდეამ. „კონფერენციის სახელმძღვანელო იდეებში“ განსაკუთრებული ყურადღება მწერალმა კ. გამსახურდიამ გაამახვილა პოლემიკაზე „ქართული ენის ამერ-იმერული ბუნების“ შესახებ: „ილიამ ქართულ ენას შესძინა ქართლური ბუნების სიდარბაისლე, ხოლო აკაკიმ იმერულის სილბო. XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშავურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული“ — წერდა კ. გამსახურდია.

ამიტომ მწერალი თეორიულ წერილებთან ერთად, ცდილობს მოიძიოს და დაამკიდროს საკუთარ შემოქმედებაში მისი აზრით, აუცილებელი ლექსიკა: „მე იძულებული გავხდი საკმაოდ ჭარბად შემომეშვა ლიტერატურულ ქართულში ჩემამდე უხმარი სიტყვიერი დოვლათი. რა თქმა უნდა, მომეტებულად ამ შემთხვევაში, როცა ლიტერატურულ ენაში მათი ბადალი არ დამხვდრიაო“ (კ. გამსახურდია).

ჭეშმარიტი ხალხურობისათვის მწერალი სწავლობდა ქართულ ზეპირისტურებას (ზღაპარი) და ისტორიულ ქრონიკებს, ძელი ქართული დიალექტურის ბაზის ემატებოდა მწერლის საკუთარი კომპოზიციებიც. თავის თეორიულ წერილებში კ. გამსახურდია არ კმაყოფილდება ზერელე მსჯელობით. იგი ცდილობს პრაქტიკული მაგალითებით აჩვენოს, რა არ იყო მშობლიურ ენაში და რა შემოიტანა, საიდან შემოიტანა და დაამკიდრა. მაგალითისათვის მას მოჰყავს რუსული „კანტის“ შესატყვისი გურულიდან ნასესხები „ძგიდე“, „კლეტჩატის“ შესატყვისად რაჭულიდან „კუბოკრული“ და სხვა: „რაჭულიდან შემოვიდე „შრამელი“, ქართლურიდან „შინაბერა“ — წერს მწერალი. ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ერთი სიტყვის სხვადასხვა სინონიმების გამოყენების მაგა-

ლითები კ. გამსახურდიას მხატვრულ შემოქმედებაში, კერძოდ რომანში „დავით აღმაშენებელი“. ეს სიტყვა „უქონელი“. ავტორმა ჯერ კიდევ თეორიულ წერილში „სალიტერატურო ქართულისათვის“, მოიძია მისი შესატყვისი მეგრულში: „განვაახლე სიტყვა „მკოდოვანი“ (რუსული „ნეიმუშჩი“). ამ სიტყვაზე ჩემი ყურადღება მიაქცია ა. ჩიქობავამ. „დავით აღმაშენებელში“ ვიხმარე პირველად“. სიტყვა „უქონელის“ უამრავი სინონიმი აქვს გამოყენებულ კ. გამსახურდიას თავის რომანში: უპოვარი, ღარიბი, არას მქონე და სხვა, მაგრამ რომანის ოცდამეთექსმეტე თავამდე აღნიშნული სიტყვები გამოიყენება მხოლოდ აღნიშნულ თავში ავტორი ცდილობს, გამოკვეთოს რა მეფის სტუმრობა ქუთაისისაკენ მიმავალ გზაზე, სოფლის მცხოვრებთა დამოკიდებულება პირველად იყენებს მეგრულში მოძიებულ სიტყვას „მკოდოვანი“ და თავსაც ასე დაასათაურებს: „მკოდოვანთა და გლახაკთა მეფე“. მცხოვრებთა უკიდურესი გაჭირვება მხატვრულადაა განსახოვნებული ტექსტის ერთ აბზაცშიც: „გულნატკენი გადასცემროდა დავით ალიზის ლაფში ამოთხვრილ, ჩიყვიან დიაცებს, დაგვალულ ლელვსავით დამზრალ ძუძუებზე მოკიდებულ ბალებს, დაბებკილ თექებში გამოვეულ ბერიკაცებს, წვერგაბურგვნილი, ღაწვებჩაცვენილი პირველ მოციქულებს მიაგადნენ ისინი...“ და აქვე პირველად, ძალიან შესატყვისად, სტილისტურად საჭიროდ შემოიტანს სიტყვას „მკოდოვანი“: „მიწისძგრებისაგან“ დარღვეულ მონასტრებიდან ცვილივით შეყვითლებულნი გამორბოდნენ ბერნი, თეშმარიზე ეცემოდნენ პირქვე, ფსალმუნებს ღილინებდნენ სხვანი, მკოდოვანი, მწირნი და გლახაკინი უდარაჯებდნენ ხიდის ყურში გზადაგზა“.

დავით აღმაშენებელი გრძნობს თავის დანიშნულებას, ამიტომ ათქმევინებს ავტორი მეფეს: „კურთხეულ იყვნენ საძირკველი იმა სახლისა, რომელნიც შენს სამყოფლოს ჭედაპაგბიან, კურთხეულ იყოს სამზერნი ციხისა, საიდანაც მზერა შენი შემომეგებება, სულო“ ამასაც იგი ამბობდა, „მკოდოვანთა და გლახაკთა მეფე“.

მწერლის მიერ აღნიშნული სიტყვის შემოტანა რომანში დატვირთვის თვალსაზრისითაც საინტერესოა და, ალბათ, იმ მიზან-სწრაფვის გამომხატველი, თუ როგორ უნდა ამდიდრებდეს შემოქმედი სალიტერატურო ენას. ამიტომ უღერს ასე ჭეშმარიტად, ღრმად მოქალაქებრივად კ. გამსახურდიას სიტყვები: „მე კიდევ ვიმეორებ: ყოველ სიტყვას ჩემთვის ოქროს წონა აქვს და მე მათ ისე ვუფ-

როგორც გონიერი მთავარსარდალი თავის ჯარისკაცს. თუ ჩვენ მართლაც გონიერი მთავარსარდლები ვიქნებით, სიტყვები ჩვენი მარჯვე სპანი გახდებიან“.

ტარიელ გურგენიძე


შრავალწევრაელემენტებიანი სიმრავლის დახასიათება განსხვავებული ტიპის სემანტიკური დიფერენციალური ნიშნებით

ჯერ განვიხილოთ ერთწევრაელემენტებიანი $Q^1 = \{a, b, c\}$ სიმრავლე, რომლის ელემენტებია ამოსავალი სიმბოლოები **a** „მე“, **b** „შე“, **c** „ის“. ამოსავალი სიმბოლოები (resp. მარტივი ელემენტები) **a**, **b** და **c**, რომლებიც აღნიშვნავენ შესაბამისად I, II, III პირს მხოლობით რიცხვში, ერთმანეთს უკავშირდებიან \wedge „და“ ოპერატორით. ვინაიდან „ნორმალურ“ სამეტყველო აქტში ერთზე მეტი მოლაპარაკე პირის მონაწილეობა დაუშვებელია, ამიტომ გამოირიცხება კომბინაცია **ალა**. ჩაწერის გამარტივების მიზნით \wedge „და“ ოპერატორი შეიძლება გამოვტოვოთ. \wedge „და“ ოპერატორის კომუტატიურობის თვისებიდან გამომდინარე **ab=ba**, **ac=ca**, **bc=cb**. ეკვივალენტური ელემენტების გამეორების თავიდან ასაკილებლად შემოვიფარგლებით ლათინური ანბანის მიხედვით მოწესრიგებული სიმბოლოების თანმიმდევრობებით. ამგვარად, მივიღებთ ორწევრაელემენტებიან Q^2 სიმრავლეს, რომლის ელემენტებია ამოსავალი სიმბოლოების ორწევრა კომბინაციები:


$$Q^2 = \{ab, ac, bb, bc, cc\}.$$

Q^2 სიმრავლე შეიძლება დაგხასიათოთ ელემენტში **a**, **b** და **c** სიმბოლოების შესვლა-არშესვლის თვისების მიხედვით:


a	
+	{ab, ac}
-	{bb, bc, cc}



b	
+	{ab, bb, bc}
-	{ac, cc}




c	
+	{ac, bc, cc}
-	{ab, bb}




შეიძლება სხვაგვარადაც დაგხასიათოთ Q^2 სიმრავლის ელემენტები, ანუ, ამოსავალ სიმბოლოთა ორწევრა კომბინაციები: **ერთგვაროვანი ~ არაერთგვაროვანი** (resp. **შერეული**). კომბინაციას, რომელშიც გაერთიანებულია მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული პირის სახელები, ვუწოდოთ **ერთგვაროვანი**: $[+x] = \{bb, cc\}$. ამის საპირისპიროდ, კომბინაციას, რომელშიც სხვადასხვა პირის სახელებია გაერთიანებული, ვუწოდოთ **არაერთგვაროვანი** (resp. **შერეული**): $[-x] = \{ab, ac, bc\}$. ამგვარად, x ნიშნის მიხედვით Q^2 სიმრავლე დაიყოფა ორ ქვესიმრავლედ:

x	
+	{bb, cc}
-	{ab, ac, bc}



შესაძლებელია Q^2 სიმრავლე ერთდროულად ორი (a და b) ნიშნით დაგხასიათოთ:

a	b
+	+
+	-
-	+
-	-



\mathbf{Q}^2 სიმრავლის ის ელემენტები, რომლებიც შეიცავენ \mathbf{a} სიმბოლოს, გაერთიანდება \mathbf{A}^2 „ჩვენ“ ქვესიმრავლები: $\mathbf{A}^2 = \{\mathbf{ab}, \mathbf{ac}\}$; \mathbf{Q}^2 სიმრავლის ის ელემენტები, რომლებიც მხოლოდ \mathbf{c} სიმბოლოს შეიცავენ, გაერთიანდება \mathbf{C}^2 „ისინი“ ქვესიმრავლები: $\mathbf{C}^2 = \{\mathbf{cc}\}$; ხოლო დანარჩენი ელემენტები \mathbf{Q}^2 სიმრავლისა, რომლებიც არ შევიდნენ არც \mathbf{A}^2 და არც \mathbf{C}^2 ქვესიმრავლები, გაერთიანდება \mathbf{B}^2 „თქვენ“ ქვესიმრავლები: $\mathbf{B}^2 = \{\mathbf{bb}, \mathbf{bc}\}$.

იმ ენებში, რომლებიც გრამატიკულ კლასს განარჩევენ სამივე პირში, შესაბამისად გაიზრდება ამოსავალი სიმბოლოების რაოდენობა. თუ მხოლოდ ორი გრამატიკული კლასი განირჩევა, გვექნება ერთ-წევრაელემენტებიანი \mathbf{Q}_2^1 სიმრავლე (ქვედა ინდექსი მიუთითებს გრამატიკულ კლასთა რაოდენობაზე):

$\mathbf{Q}_2^1 = \{\mathbf{a}_1, \mathbf{a}_2, \mathbf{b}_1, \mathbf{b}_2, \mathbf{c}_1, \mathbf{c}_2\}$. \wedge „და“ ოპერატორის კომუტატიურობის ფისებიდან გამომდინარე:

$$\begin{array}{lll} a_i b_i = b_i a_i \quad (a_1 b_1 = b_1 a_1, a_2 b_2 = b_2 a_2); & b_i b_j = b_j b_i \quad (b_1 b_2 = b_2 b_1); \\ a_i b_j = b_j a_i \quad (a_1 b_2 = b_2 a_1, a_2 b_1 = b_1 a_2); & b_i c_i = c_i b_i \quad (b_1 c_1 = c_1 b_1, b_2 c_2 = c_2 b_2); \\ a_i c_i = c_i a_i \quad (a_1 c_1 = c_1 a_1, a_2 c_2 = c_2 a_2); & b_i c_j = c_j b_i \quad (b_1 c_2 = c_2 b_1, b_2 c_1 = c_1 b_2); \\ a_i c_j = c_j a_i \quad (a_1 c_2 = c_2 a_1, a_2 c_1 = c_1 a_2); & c_i c_j = c_j c_i \quad (c_1 c_2 = c_2 c_1). \end{array}$$


ეკვივალენტური ელემენტების თავიდან აცილების მიზნით ერთგვაროვან კომბინაციებში ($\mathbf{b}_i \mathbf{b}_j$, $\mathbf{c}_i \mathbf{c}_j$) შემოვიფარგლებით ინდექსის ზრდის მიხედვით მოწესრიგებული სიმბოლოების თანმიმდევრობებით, ხოლო არაერთგვაროვან კომბინაციებში ($\mathbf{a}_i \mathbf{b}_i$, $\mathbf{a}_i \mathbf{b}_j$, $\mathbf{a}_i \mathbf{c}_i$, $\mathbf{a}_i \mathbf{c}_j$, $\mathbf{b}_i \mathbf{c}_i$, $\mathbf{b}_i \mathbf{c}_j$) — ლათინური ანბანის მიხედვით მოწესრიგებულ სიმბოლოთა თანმიმდევრობებით. ამგვარად, გვექნება:

$$\begin{array}{lll} a_i b_i = \{a_1 b_1, a_2 b_2\}; & b_i b_i = \{b_1 b_1, b_2 b_2\}; & c_i c_i = \{c_1 c_1, c_2 c_2\}; \\ a_i b_j = \{a_1 b_2, a_2 b_1\}; & b_i b_j = \{b_1 b_2\}; & c_i c_j = \{c_1 c_2\}; \\ a_i c_i = \{a_1 c_1, a_2 c_2\}; & b_i c_i = \{b_1 c_1, b_2 c_2\}; & \\ a_i c_j = \{a_1 c_2, a_2 c_1\}; & b_i c_j = \{b_1 c_2, b_2 c_1\} & \end{array}$$

ორწევრაელემენტებიან \mathbf{Q}_2^2 სიმრავლეში გამოიყო ათი ქვესიმრავლე: $\mathbf{Q}_2^2 = \{\mathbf{a}_i \mathbf{b}_i, \mathbf{a}_i \mathbf{b}_j, \mathbf{a}_i \mathbf{c}_i, \mathbf{a}_i \mathbf{c}_j, \mathbf{b}_i \mathbf{b}_i, \mathbf{b}_i \mathbf{b}_j, \mathbf{b}_i \mathbf{c}_i, \mathbf{b}_i \mathbf{c}_j, \mathbf{c}_i \mathbf{c}_i, \mathbf{c}_i \mathbf{c}_j\}$.


\mathbf{Q}_2^2 სიმრავლე, თუ მის ელემენტებს მხოლოდ \mathbf{x} (resp. ერთგვაროვნობის) ნიშნით დავახასიათებთ, ორ ქვესიმრავლედ დაიყოფა:

x	
+	{c _i c _i , c _i c _j , b _i b _i , b _i b _j };
-	{b _i c _i , b _i c _j , a _i b _i , a _i b _j , a _i c _i , a _i c _j }




კომბინაციას, რომელშიც მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული გრამატიკული კლასის სახელებია გაერთიანებული, ვუწოდოთ **ერთკლასოვანი**: $[+y] = \{\mathbf{c}_i \mathbf{c}_i, \mathbf{b}_i \mathbf{b}_i, \mathbf{b}_i \mathbf{c}_i, \mathbf{a}_i \mathbf{b}_i, \mathbf{a}_i \mathbf{c}_i\}$; ამის საბირისპიროდ, კომბინაციას, რომელშიც სხვადასხვა გრამატიკული კლასის სახელებია გაერთიანებული, ვუწოდოთ **არაერთკლასოვანი** (resp. **მრავალკლასოვანი**): $[+y] = \{\mathbf{c}_i \mathbf{c}_i, \mathbf{b}_i \mathbf{b}_j, \mathbf{b}_i \mathbf{c}_j, \mathbf{a}_i \mathbf{b}_j, \mathbf{a}_i \mathbf{c}_j\}$. ამრიგად, y ნიშნის მიხედვით \mathbf{Q}_2^2 სიმრავლე დაიყოფა ორ ქვესიმრავლედ:

y	
+	{c _i c _i , b _i b _i , b _i c _i , a _i b _i , a _i c _i };
-	{c _i c _j , b _i b _j , b _i c _j , a _i b _j , a _i c _j }




შესაძლებელია \mathbf{Q}_2^2 სიმრავლე ერთდროულად ორი (\mathbf{x} და \mathbf{y}) ნიშნით დავახასიათოთ:

x	y	
+	+	{c _i c _i , b _i b _i }
+	-	{c _i c _j , b _i b _j }
-	+	{b _i c _i , a _i b _i , a _i c _i }
-	-	{b _i c _j , a _i b _j , a _i c _j }



ამ შემთხვევაში \mathbf{Q}_2^2 სიმრავლეში გამოიყოფა ოთხი ქვესიმრავლე. იგივე \mathbf{Q}_2^2 სიმრავლე შეიძლება ერთდროულად I და II პირთა მონაწილეობის მიხედვითაც დავახასიათოთ:

a	b	
+	+	{a; b _i , a; b _j }
+	-	{a; c _i , a; c _j }
-	+	{b _i ; b _i , b _i ; b _j , b _i ; c _i , b _i ; c _j }
-	-	{c _i ; c _i , c _i ; c _j }



ამ შემთხვევაში Q_2^2 სიმრავლეში ოთხი ქვესიმრავლე გამოიყოფა, მაგრამ ისინი სრულიად განსხვავებული ელემენტებისაგან შეღვებიან, ვიდრე ეს გვჭრნდა წინა მაგალითში.

თამარ ვაშაკიძე

სინტაქსურ-სტილისტიკური თავისებურებანი მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში

მუხრან მაჭავარიანის პოეზია მისი სულის (ტკივილისა თუ აღ-მაფრენის) გამოხატულებაა. ამიტომაც არის პოეტის ყველა ქმნილება უზენაესი შთაგონებით გაჭრებული. შემოქმედს შესწევს უნარი იმისა, რომ თავისი სათქმელი ხალხის გულამდე მიიტანოს; ააღელვოს, დააფიქროს, ჰეშმარიტ პოეზიას აზიაროს მკითხველი.

გამორჩეულია მუხრან მაჭავარიანის პოეტური ენის კანონები: აზრობრივი თუ რიტმულ-რითმული სამყარო, სიტყვათა შეხამებანი თუ სალექსო ტაქტის უღერადობა. მუხრანისეულ ფრაზას მაშინვე ამოიცნობ, ათას სხვა ლექსში გამოარჩევ, შეიყვარებ და გაითავისებ.

ცალკე გამოვყოფთ მუხრან მაჭავარიანის პოეზიისთვის დამახასი-ათებელ რამდენიმე სიტაქსურ-სტილისტიკურ თავისებურებას. ეს, უბირველეს ყოვლისა, შეეხება პოეტის ფრაზას, რომლის განსაკუთრებულობა სიტყვათა რიგის არაორდინარულ განლაგებაშიც მუღავნდება. მხედველობაში გვაქვს ინვერსიული წყობა დამაკავშირებელი სიტყვებისა. ამ უკანასკნელთ პოეტი ყველაზე ხშირად ზმნა-შემასმენ-

ლისა თუ მსაზღვრელის მომდევნო პოზიციაში მოიხმობს ხოლმე, რი-თაც გამორჩეულ ეფექტს სძენს პოეტურ მეტყველებას:

„მწარე სინანულს განიცდიან ყველანი ახლა,
ვინც არ ჩააგდო თავის დროზე პოეტი ძაღლად:
ხონთქარი, — პოეტს არ უბოძა **რომელმაც** კვართი,
მებალე, — პოეტს არ მიართვა **რომელმაც** ვარდი,
ქალწული, — პოეტს არ აღირსა **რომელმაც** ხელი,
მეჭოგე, — პოეტს არ ათხოვა **რომელმაც ცხენი“.**

„შუაზე აპობს მდინარე სიცხეს,
თავგანწირული ირგვლივ არი სმა.

მოწყენილია თელავის ციხე, —
ვერ იასპინდა **რადგან** კრწანისმა“.

„ურუნა ქათმები,
აბუზული ქლიავის ძირას, —
ერიდებოდნენ

კოკისპირულს
რომელნიც წვიმას,

წვიმამ გადიღო თუ არა,
მყისვე —
პეპლებს დასდევენ,
წინ და უკან

იწვდიან კისრებს“.

მუხრან მაჭავარიანის ლექსებში არცთუ იშვიათად ვხვდებით ფრჩხილებში ჩასმულ ფრაზას, რომელიც სხვადასხვა სახის დამატებით ინფორმაციას გვაწვდის ამა თუ იმ სალექსო ეპიზოდის შესახებ. მრავალგვარია ასეთ შემთხვევებში წარმოდგენილი სათქმელის სემანტიკა: ზოგჯერ დაზუსტებულია მოქმედების დრო, ვითარება თუ მიზეზი; ხშირად წარმოჩენილია პოეტის დამოკიდებულება ნათქვამის შესახებ. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ფრჩხილებში მიეთითება ყოფითი სურათის ამსახველი დეტალები და სხვ.

„კაქლის ჩეროში —

მახლობლად ღობის —

ნაფოტები რომ დაყრილა შეშის —
დგას

ქვის მაგიდა.
მაგიდაზეა პატარა გობი.
გობზე

ფრიალა თეფუშებით ხელში

(ეს ხდება ხოლმე ივლისის თვეში) —
პარკილობიოს კეპავს მამიდა“.

„როგორც ახალი ნაჭინჭრაქალი, —
ტოკავს ასკილი,
ანდა გრაკალი:

ზუსტად იმგვარი,
ზუსტად ისეთი

(ყველა სიგლახის როა მიზეზი), —

სუყველაფერზე თავის კატუნი,
საჭციელია არაქართული“.

„თუ გაწყრა ღმერთი
და ჩვენი ყანა
მოაკალოვა მეზობლის ღორმა
(რაც არა ერთხელ ხდება),

მამიდა ვინმეს დაინდობს განა?
ფილთაქვასავით იფეთქებს ხოლმე,

„მიწას აყრის“ და

„მარხავს“ მთელ სოფელს

(განსაკუთრებით ახლო მეზობლებს),
მაგრამ არავინ კვდება“.

„არა!

იქნება არ მოგწონს!

კი ნუ გრცხვენია, —
თქვი...

(ლაპარაკია ღვინოზე,
როგორც აღვნიშნეთ —
წვიმს —
ღვინო კი,
მოგეხსენებათ,
კარგია, როცა წვიმს)“.

„თუ ვერ ჩავატან გემოს
შენს ჰაერსა და ღვინოს!
ღმერთმა შენც შეგარცხვინოს
და შენი შავი ღვინოც!
(გენუშრე, — არ გეწყინოს)“.

მშობლიური ენის წვდომის იშვიათ უნარს, სათქმელის საოცარ სილალეს, გამორჩეულ იუმორსა თუ ირონიას, ყოფითი მოვლენების ლექსობრივ რეალიზაციას და, რაც მთავარია, ვირტუოზულ პოეტურ ტექნიკას დიდი მუხრანის პოეზიაში, როგორც ჩანს, ხშირად ფრაზის სინტაქსური თუ სტილისტიკური თავისებურებაც განაპირობებს.

მ ა კ ა თ ე თ რ ა ძ ე

ლეზგიური ენის ერთმარცვლიან სახელურ ფუძეთა სტრუქტურული ანალიზი

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ენის ფონოლოგიური სისტემის შესწავლა ფონემური ერთეულების დისტრიბუციულ შესაძლებლობათა ანალიზთანაა დაკავშირებული. აუცილებელია განისაზვროს ყოველი ელემენტი პოზიციების მიხედვით და ამასთან, დადგინდეს ელემენტების სინტაგმტური და პარადიმატული მიმართება.

ჩვენს საკვლევ მასალას წარმოადგენდა, სტრუქტურული თვალსაზრისით, ლეზგიური ენის ლექსიკური ფონდი. ლეზგიური ენის ფუძეთა ყველაზე დიდი წილი მოდის ერთმარცვლიან სტრუქტურულ ტიპებზე.

ლეზგიური ენის ერთმარცვლიან სახელურ ფუქებში გამოვლინდა შემდეგი სტრუქტურული ტიპები: CVC, CVCC, CCVC, CCVCC, CV, CCV, VC, VCC. ფუქების ანალიზისას არ გამოვრიცხეთ ნასესხები ლექსიკაც, რის გამოც მივიღეთ ასეთი სტრუქტურული მრავალფეროვნება. შეუდარებლად დიდია რიცხვი CVC ტიპის სახელებისა (თავისი ნაირსახეობებით CVCC, CCVC, CCVCC) დანარჩენ სტრუქტურულ ტიპებთან მიმართებით.

თანხმოვანთა დისტრიბუცია ლეზგიურში ძირითადად თავისუფალია, თუმცა გარკვეული შეზღუდვები ეხება პრერუპტივებსა და ლაბიალიზებულ თანხმოვნებს, რომლებიც ძირითადად ანლაუტსა და ინტერვოკალურ პოზიციაში გვხვდება. გარდა ამისა, ლაბიალიზებული თანხმოვნების დისტრიბუციას ზღუდავს ხმოვანთა განაწილებაც, კერძოდ, ლაბიალიზებული თანხმოვნები ვიწრო ხმოვნებთან არ ფუნქციონირებს, განსაკუთრებით ლაბიალურ y, უს ხმოვნებთან. ძალიან დაბალია ლაბიალიზებული სისინა სპირანტების დისტრიბუციის ხარისხი: 3B მხოლოდ ანლაუტს მოიცავს, ცB კი მხოლოდ რამდენიმე ფუქები გვხვდება ანლაუტში: **свац, свар, свах (caxb/cax პარალელური ფორმებით).**

მართალია, თანხმოვანთა დისტრიბუცია თავისუფალი ჩანს, მაგრამ **C₁VC₂** ტიპის სტრუქტურაში პირველი თანხმოვანი ზღუდავს ხმოვნის მომდევნო თანხმოვნის (**C₂**) თავისუფალ დისტრიბუციას. არ შეიძლება ნებისმიერ **C₁-ს** მოსდევდეს ნებისმიერი **C₂**. მეორე თანხმოვანი განისაზღვრება პირველი თანხმოვნის რაგვარობისა და წარმოების ადგილის მიხედვით. ერთი და იმავე რიგის თანხმოვანი CVC ტიპის ფუქები არ გვხვდება, თუ ეს არაა იდენტური ფონემა. ამ წესს სრულად ემორჩილებიან სპირანტები (ყველა რიგის), ბილაბიალურები; სხვა რიგის თანხმოვნებთან მოქმედებს რიგი შეზღუდვები, რომლებიც განხილული იქნება მოხსენებაში.

ცალკე შეიძლება განვიხილოთ **C₁VC₂** ტიპის ფუქები, სადაც **C₁** არის ლაბიალიზებული თანხმოვანი. ლეზგიურში ორთოგრაფიულად ლაბიალიზებული თანხმოვანი გამოისახება ამგვარად: თანხმოვანს + B; B-ს დისტრიბუცია ლეზგიურში თავისუფალია, მაგრამ არ გვხვდება თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში, სადაც შეგვხდა, ყველა სიტყვა ახალი ნასესხობაა რუსულიდან. ლაბიალიზებულ თანხმოვანს ლეზგი-

ურში ფონეტიკური ღირებულება აქვს. ხმოვნის მომდევნო თანხმოვნის დისტრიბუცია შეზღუდულია და ესადაგება C°-ს (ლაბიალიზებული თანხმოვანი) რაგვარობის მიხედვით (თუმცა გვაქვს გამონაკლისებიც). CVC ტიპის ფუქები ხმოვნის დისტრიბუციაც შეზღუდულია. შეილება იყოს a, e, i (и -იშვიათად).

როგორც ცნობილია, თანხმოვანთკომპლექსებით დაღესტნური ენები, მათ შორის ლეზგიური, მდიდარი არ არის. ორზე მეტი თანხმოვანთმიმდევრობა ერთ ფუქები არ გვხვდება.

იმ სიტყვების უმრავლესობა, სადაც თანხმოვანთკომპლექსები ფიქსირდება, ნასესხებია. მაინც შეიძლება გამოყოთ ორი სტრუქტურული ტიპი ერთმარცვლიანი ფუქებისა, სადაც შეიძლება ვისაუბროთ თანხმოვანთკომპლექსებზე და მათ ადაპტაციაზე ლეზგიურში: CCVC, CVCC. რაც შეეხება CCVCC სტრუქტურულ ტიპს, სულ რამდენიმე სიტყვა შეგხვდა, ყველა ნასესხები. შემოსული ფუქები კლასიფიცირდება ასევე CCVC და CVCC სტრუქტურებად, თუმცა გვხვდება ძირეული ფუქებიც, სადაც დასტურდება კХъ, ქт, چк... კომპლექსები. C₁C₂VC₃ ფუქები C₃ აუცილებლად იქნება სონორი.

ლეზგიურ ერთმარცვლიან სახელებში შეგხვდა ასევე ხმოვნით დაწყებული ან დამთავრებული ფუქებიც. ამ ტიპის სახელები მცირე რაოდენობისაა, მაგრამ სრული სურათისთვის ჩვენ მათაც განვიხილავთ.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხმოვანთა დისტრიბუცია ლეზგიურში შეზღუდული არ არის, მაგრამ არა ყველა ვოკალისათვის. e, a, i, u გვხვდება ყველა პოზიციაში ინტერვოკალურის გარდა, ხმოვანთა თანმიმდევრობა ფუქები ლეზგიურში (როგორც სხვა კავკასიურ ენებში) აკრძალულია. VC ტიპის ერთმარცვლიან სახელური ფუქების V შეიძლება იყოს სწორედ ზემოთ ხსენებული დისტინბუციულად შეუზღუდავი ხმოვნები (ებ, უч...) VCC ტიპის ფუქების აბსოლუტური უმრავლესობა ნასესხებია (არქ, აქტ, ალტ, არქ...).

CV და CCV ტიპის ფუქები რამდენიმეა. CV: пи - „ქონი“, „ცხიმი“, ნИ - „სენი“, CCV: тха - „ბიძა“, ყА - „მხარე“, ყСИ - „ფისო“ (ყСИ-ყСИ - კატის დაძახება). დაფიქსირდა ასევე CCCV ტიპის ფუქედ ჩამოყალიბების დაძახება). დაფიქსირდა ასევე CCCV ტიპის ფუქედ ჩამოყალიბების დაძახება).

ლიბებული *c-txa* - „ძმა“, რომელიც ადვილად იშლება *c-txa* (შდრ. *txa*-ბიძა).

ამგვარად, ლეზგიური ენის ერთმარცვლიანი სახელური ფუქების აღწერისას გამოვლინდა რიგი ფონოტაქტიკური შეზღუდვები, რომლებიც ეხება როგორც ხმოვნების, ისე თანხმოვნების დისტრიბუციას. ყალიბდება წესები, რომლებიც შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც ენის ინდივიდუალური მახასიათებლები.

ლ ე ვ ა ნ კ ე ლ ა უ რ ა ძ ე

საერთოქართველურ ჰარმონიულ კომპლექსთა შესატყვისობათათვის ბურუშულ და ბასკურ ენებში. //

საერთოქართველურ ძირეულ მორფემათა ანლაუტში დადასტურებული იმ ჰარმონიული კომპლექსების ფარდად, რომელთა მეორე წევრიც ყრუ ფშვინვიერი ველარული სპირანტი ან პოსტველარული ხშულია (*/tʃ/, */tʂ/, */tɬ/, */tʂ/, */hɛ/,...) ბურუშულ ენაში შესაბამისი ყრუ ფშვინვიერი ხშული ბგერები (*/ph/, */th/, */ch/) ვლინდება.********

ს.-ქართვ. *თხ- > ქართ. და-თხ-ევა-, სი-თხ-ე; ზან. (ლაზ.) ო-თხორუ- „ლებინება“; სვან. ლი-თხ-უნ-ე „პირლებინება“ : ბურ. *thí-* „სხმა, დასხმა“;

ს.-ქართვ. *თხამ- > ქართ. თხემ-ი „თავი, თავის ქალას ზედა ნა-წილი; მწვერვალი; მეთაური, მთავარი“; სვან. თხტიმ, თხტმ „თავი; მე-თაური; მთავარი, ძირითადი; თხემი, კენწერო; მწვერვალი“ : ბურ. *-than* „მწვერვალი, წვერი; თხემი“; შდრ.: *tham* „თავადი; მეფე“;

ს.-ქართვ. *თჯა- > ქართ. თხა; ზან. (მეგრ.) თხა, (ლაზ.) თხა „თხა“; სვან. დაჯ-გლ „თხა“, ლა-თჯ-ირ „სათხე“ : ბურ. *thao* „მთის თხა (ვერძი)“;

ს.-ქართვ. *ფხა- > ქართ. ფხა „თევზის წვრილი ძვალი; ნემსივივთ წვრილი წანაზარდი თავთავის კილზე; ბასრი პირი მჭრელი იარაღი-

სა“; ზან. (მეგრ.) ხა, (ლაზ.) ფხა; სვან. ფხა „ფხა“ : ბურ. *-pho* (მრ. *-pha-anc*) „მამლის დეზი; კბილი; წვერი (დანის, ფანქრის, მთის)“;

ს.-ქართვ. *ფკიჭ- > ქართ. (მთიულ.) ფკიჭ-ა, ფხიჭ-ა „ყველის მატლი“, (გურ.) ფხიჭ-უა „ხარაბუზა“ : ბურ. *phiço* „მუმლი, კოღო“;

ს.-ქართვ. *შხამ-//*ჩხამ- > ქართ. შხამ-ი = (ფშ., მოხ.) ჩხამ-ი : ბურ. *čhemil-iŋ*, (ი.) *čemel* „შხამი“ (<*čham- „შხამი“ + *mele*, *mili* „წა-მალი“ კონტამინაციით?)

ს.-ქართვ. *ჩხა- > ქართ. (გურ., იმერ., ლეჩ. < ზან. (მეგრ.) ?) ჩხო-ი „გაუცეხველი თაველი ღომისა; ღომის მარცვალი“; ზან. (მეგრ.) ჩხი, ჩხგ „გაუცეხვავი ღომის მარცვლები“, ჩხიშ(ი) კაკალ-ი „ღომის მარცვალი“, ჩხერ-ი „ფეტვი“, ჩხვერ-ი/ე „ღომის (ღომისლომის) მარცვალი; ფეტვი“, ჩხვარა ჭუკი „მეფეტვიე თაგვი“, (ლაზ.) ჩხვარ-ი, მჩხვარ-ი „ღომი“ : ბურ. *čha* „ფეტვი“;

ს.-ქართვ. *ჩხამ- > ქართ. (ზ. იმერ.) ჩხამ-ა „წვრილი პატარა თევზი“; ზან. ჩხომ-ი „თევზი“ : ბურ. *čhum* “თევზი“;

ს.-ქართვ. *წყალ- > ქართ. წყალ-ი; ზან. (მეგრ.) წყუ „ჭა“, წყუ-რეილი „წყარო“ : ბურ. *chil*, (ი.) *chel*, *chal* „წყალი“.

გამონაკლისს წარმოადგენს შემდეგი შემთხვევა (სადაც ბურუშულ ფორმაში მოსალოდნელი ყრუ ფშვინვიერის ნაცვლად არაფშვინვიერი ხშული დასტურდება):

ს.-ქართვ. *თხილ- > ქართ. თხილ-ი; ზან. (მეგრ.) თხირ-ი, (ლაზ.) თხირ-/მთხირ-/ნთხირ-ი „თხილი“; სვან. შდიხ : ბურ. *tili* „კაკალი“.

ბასკურში კერ-ჯერობით არ გამოვლენილა ისეთი სიტყვები, რომელთა დაკავშირებაც ჰარმონიული კომპლექსებით დაწყებულ საერთოქართველურ ძირეულ მორფემებთან იქნებოდა შესაძლებელი.

გუჩა კვარაცხელი

ქართული ენის ფუნქციონირების ზოგადი და კონკრეტული პრობლემები

ყოველ ენას (დიდსა თუ მცირეს, ანუ მცირერიცხოვანი ხალხის ენას) აქვს მოქმედების ლინგვისტური სივრცე, რომელიც შედგება როგორც ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანების საცხოვრებელი მიწა-წყლისაგან, ისე ამ ადამიანების მენტალურ-კულტურულ-მწარმოებლური სფეროებისგან. ლინგვისტური სივრცის პირველი ნაწილი მატერიალურია და გულისხმობს ტერიტორიას, რომელზეც ესა თუ ის ეროვნული ენა ფუნქციონირებს, მეორე — არამატერიალური, უფრო ზუსტად, იმგვარი ოდენობაა, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებლობით არ არის დაკავშირებული მაინცდამაინც მიწა-წყალთან. იგი ერის წარმომადგენელთა, ასე ვთქვათ, შიდა მენტალური სივრცეა, მათში მოცემული და მათით განსაზღვრული. თუ პირველი ნაწილი ჰარიზონტალურ განფენილობას, სახელმწიფო საზღვრებში ენის გავრცელებას გულისხმობს, მეორე ვერტიკალურსა და სტრატიფიკირებულ სივრცეს ვარაუდობს, რომელიც ასახავს ენის ფუნქციონირების შედეგს ყველა საზოგადოებრივსა თუ კულტურულ სფეროში და ინახავს ხალხის კოლექტიურ ხსოვნას.

ამა თუ იმ ენის ლინგვისტური სივრცის გაზრდა-შემცირებაზეა დამოკიდებული ენის არა მარტო სრულფასოვანი ფუნქციონირება, მისი გამდიდრება-განვითარება, არამედ ყოფნა-არყოფნაც. ამიტომ ეროვნული ენა, რომელიც ამავე დროს სახელმწიფო ენაც არის და ამდენად სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორიც, სახელმწიფოს მხრივ დაცული უნდა იყოს. დაცვა გულისხმობს იმ ლინგვისტური სივრცის ხელშეუხებლობის სამართლებრივ უზრუნველყოფას, რომელსაც ქმნის ენის „ჰარიზონტალური“ და „ვერტიკალური“ ფუნქციონირება.

შემდეგი მნიშვნელოვანი პრობლემაა ენობრივი ურთიერთობის ხარისხის ანუ მეტყველების კულტურის, პრობლემა. იგი გულისხმობს არა მარტო სალიტერატურო ნორმების დადგენასა და დანერგვას, არამედ ენის გამოყენების ფუნქციურ მიზანშეწონილობასა და რაც

მნიშვნელოვანია, ენისადმი გაცნობიერებულ დამოკიდებულებას, უფრო მეტიც, დედაენის სიყვარულსა და მისი სიწმინდის დაცვაზე ზრუნვას როგორც სახელმწიფოს მხრივ, ისე ამ ენაზე მოლაპარაკე ინდივიდთა მხრივაც.

რომან ლოლუა

აბრუპტიულ თანხმოვანთა საკითხისათვის უდიურ ენაში

უდიური ენის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აბრუპტიული თანხმოვნების არსებობასთან დაკავშირებით რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება გამოითქვა:

ა. დირი უდიურ ენაში ქ, ც, ყ და ყ ბეგერებს აღნიშნავს, რომელთაც ქართულ წ, ჭ, ყ და სომხურ ბ, ძ ასო-ბეგერებს ადარებს, ხოლო უდიური ქ, ტ, კ ბეგერები რუსულ ქ, ტ, კ ასო-ბეგერებთანაა შედარებული, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ მკვლევარი უდიური ენის ფონოლოგიურ სისტემაში სამ აბრუპტივს და სამ პრერუპტივს გამოყოფს; სამ აბრუპტივს (წ, ჭ, ყ) და სამ პრერუპტივს (ქ, ც, თ), ან როგორც მკვლევარი უწოდებს — „არაფშვინვიერ ხშულ-მსკდომებს“, უდიური ენის ფონოლოგიურ სისტემაში დ. კარბელაშვილიც იმოწმებს.

ვლ. ფანჩევიძის, ევგ. ჯეირანიშვილის, ვ. გუკასიანის, ტ. სიხარულიძის და უდიური ენის ზოგიერთი სხვა მკვლევრის აზრით, ამ ენის ფონოლოგიურ სისტემაში არ დასტურდება პრერუპტივები და მასში მხოლოდ აბრუპტივებია წარმოდგენილი: ბ, ტ, კ, ყ, წ, ჭ, [ჭ]. ამის გარდა ვლ. ფანჩევიძე აღნიშნავს, რომ უდიურში დასტურდება ეწ. ნახევარ-აბრუპტივები („მეოთხე რიგის ხშულები“; „საშუალი ბეგერები“ — ქ, კ, ბ, ტ),¹ რომლებსაც, ვლ. ფანჩევიძის აზრით, „ჯერ არ მიუღიათ ფონემატური ლირებულება“. ამასთან ერთად, მკვლევრის

¹ წარმოდგენილ ბეგერათა ტრანსკრიფცია მოცემულია ვლ. ფანჩევიძის მიხედვით.

მოსაზრებით: „პ, ტ, კ, გ“ სმენითი შთაბეჭდილების მიხედვით უდიურში ნაკლებად მკვეთრებია, ვიღრე, მაგალითად, ქართულ-ქართველურში“.

სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი ბ. თალიბოვმა წარმოგვიდგინა. მკვლევრის აზრით, უდიურ ენას საერთოდ არ მოეპოვება აბრუპტივები. იმ პერიოდისათვის (70-იანი წლები), როგორც ბ. თალიბოვი მიიჩნევს, ვართაშნულ კილმში აბრუპტივთა დეგრადაციისა და პრერუპტივებში გადასვლის პროცესი უკვე დასრულებულია, ხოლო ნიჯის დიალექტში — დასრულების სტადიაში იყო.

მოგვიანებით ვ. გუკასიანმა გაიზიარა ბ. თალიბოვის მოსაზრება, თუმცა ამის შემდეგ ვ. გუკასიანი უდიური ენის ფონოლოგიურ სისტემაში ისევ ორ აბრუპტიულ თანხმოვას (წ, ჸ) იძოწმებს.

ბ. თალიბოვის მოსაზრება ნაწილობრივ არნ. ჩიქობავამაც გაიზიარა. მკვლევარმა აღნიშნა, რომ: „საყურადღებოა ბ. თალიბოვის დაკვირვება: მკვეთრებს უდიურში პრერუპტივები ცვლის, პრერუპტივებს ნებისმიერ პოზიციაში ვიპოვითო ... კახეთში — სოფ. ოქტომბერში დასახლებული უდიების მეტყველებას მკვეთრები დაუცავს, ქართული მეტყველება ამას ხელს უწყობდა“.

ჩვენი აზრით, უეჭველია, რომ სოფ. ოქტომბერის უდიურ მეტყველებას შემონახავს აბრუპტივები. ჩვენი დაკვირვებით, უფროსი თაობის წარმომადგენელთა მეტყველებაში წ და ჸ აფრიკატები მკვეთრად გამოითქმის, ხოლო კ, პ, ტ, და ჟ ბგერები ზოგიერთ პოზიციაში (ძირითად — აუსლაუტში) შესუსტებული ჩანს, მაგრამ, არა იმდენად, რომ ისინი პრერუპტივებად მივიჩნიოთ. საშუალო და უმცროს თაობათა მეტყველებაში კი — ყველა აბრუპტივი მკვეთრად გამოითქმის, დაახლოებით ისევე, როგორც ეს არის ქართულში.

საშუალება მოგვეცა დაკვირვებოდით ქ. ოღუზის (ვართაშენი) და სოფ. ნიჯის მეტყველებას.² ჩვენი აზრით, ბ. თალიბოვის მოსაზრე-

² ქ. ოღუზისა და სოფ. ნიჯის მეტყველების ნიმუშთა აუდიოჩანაწერები მოგვაწოდა რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა ი. ლანდფრემა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სოფ. ოქტომბერში ჩვენი ძირითადი ინფორმაციი იყო ქ. ოღუზში (ზაშინ — ქ. ვართაშენი) დაბადებული ქ-ნი ოღუზი ტიგიროვა-ქუმისაშვილი.

ბა უდავოდ გასაზიარებელია. უფრო მეტიც: ნიჯურში აბრუპტივების პრერუპტივებში გადასვლა დასრულებულია და, ამის გარდა, შეინიშნება ფშვინვიერია — არაფშვინვიერი დაპირისპირების ნეიტრალიზაციის ტენდენცია. თუ ერთ სიტყვაში ფშვინვიერი პრერუპტივთან გვხვდება, მაშინ ფშვინვიერი ამ უკანასკნელს ემსგავსება, თუმცა ეს მოსაზრება, რა საკვირველია, ექსპერიმენტულ დადასტურებას საჭიროებს.

საყურადღებოა, რომ უდიურ ენაში დადასტურებული პრერუპტივები ან სოფ. ოქტომბერის მეტყველებაში შემონახული აბრუპტივები, როგორც წესი, საერთო დაღესტნურისათვის და (//ან) საერთო ლეზგიურისათვის პოსტულირებულ ინტენსიურ აბრუპტივებს შეესატყვისება, ხოლო საერთო დაღესტნურის//საერთო ლეზგიურის მარტივი, არამაგარი აბრუპტივები საერთოდ დაკარგულია ან გადასულია ვ-ში თუ სხვა რომელიმე კონსონანტში.

მ ა ი დ ლ ო მ ი ა

უარყოფითი და დადასტურებითი ნაწილაკების ფუნქციური განაწილების პრინციპები შეგრულში

სტატიაში საუბარია ვა(რ)/ვე „არ“/„არა“, „ვერ“ უარყოფისა და ქო/ქე/ქგ „ქე“/„კი“ დადასტურებითი ნაწილაკების განაწილების პრინციპებზე.

მნიშვნელობათა რაობისათვის

ვა(რ) ნაწილაკი გამოხატავს ჩვეულებრივ და შესაძლებლობის უარყოფას (პოტენციალისს ფორმებთან). დადასტურებითი ნაწილაკი გამოხატავს დადასტურებას და გამოიყენება მორფოლოგიური დანიშნულებითაც: აწარმოებს სრულ ასპექტს და მომავალ დროს.

- ვამოკო „არ მინდა“; ვამაჭკომე „ვერ შევჭამ“;
- მურქო ა შო? „მოღიხარ აქეთ?“
- ვარ. „არა“.
- ქო. „კი“

თქუანს — ქოთქუანს „იტყვის“ — სიტყვასიტყვით: „ქე იტყვის“, მორფოლოგიური დახასიათებით: სრული ასპექტი, მომავალი დრო.

სტატისტიკური მიმართებისათვის

ვა(რ) და ქო ნაწილაკების სიხშირულ განაწილებაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ უპირატესობა ენიჭება სათქმელის გადმოცემას უარყოფითი ნაწილაკით. ამ მხრივ უარყოფითი ნაწილაკი ფუნქციურად მეტად დატვირთულია; კერძოდ,

- სამი შესაძლო ვარიანტიდან სიხშირით უარყოფითნაწილაკიანი ჟარბობს, დანარჩენი ორის პროცენტული მონაცემი თითქმის თანაბარია:

- დიასქანქ გამორთულ? (1) „დედაშენი არ მოვიდა?“
- დიასქანქ მორთულ (2) დიასქანქ ქომორთულ (3) „დედაშენი მოვიდა?“

- უარყოფითი ნაწილაკი საპირისპირო — დადასტურების ფუნქციითაა გამოყენებული შემდეგ კონსტრუქციებში:

- ა) მა გამირტინუაფუძუკო-და, გლახათი (რ)დუ იში საქმე. „მე რომ არ გამექცია, ცუდად იყო მისი საქმე“.

- ბ) თე ქუა გარენო მა გიშვივორაფე?! „ეს ქვა არ არის, მე რომ ამოვარჩევინე“.

- გ) თინა ამდღა დიკმურს ქართიშე, გარო? „ის დღეს ჩამოდის თბილისიდან, არა?“

- ვარენო/ვარდუო „არ არის?“, „არ იყო?“ — „წინადადებაში ჩართული წინადადებების“ (ი. ყიფშიძე) საშუალებით ხდება ფოკუსირებული წევრის ხაზგასმა:

- ა) ხენწიფექ გარენო გარია ქუშუასუნი, თელი ქალაქის მოსპენს გვერშაპი. „ხელმწიფემ (+არ არის?) უარი რომ უთხრას, მთელ ქალაქს მოსპობს გველეშაპი“.

- ბ) ათე მონადირე კოჩი გარენო რენი, თექ იფიქრო. „ეს მონადირე კაცი (+არ არის?) რომ არის, ამან იფიქრა“.

საინტერესო სურათს იძლევა მეგრულის მონაცემების შედარება ქართული დიალექტური მეტყველების ნიმუშებთან.

ნაწილაკთა თანხვედრისათვის

ვა(რ) და ქო ნაწილაკები ზმნის აუსლაუტში თანხვდებიან ერთმანეთს, როცა ზმნა ჩაკითხვას გამოხატავს. ცნობილია, რომ კითხვა მეგრულში მორფოლოგიზებულია -ო ენკლიტიკით: ვაქომორთულ? „ქე არ მოვიდა?“ უფრო ზუსტად: „არ ქე მოვიდა?“ ვაქაჩუქულ? „ქე არ აჩუქა?“ ვაქუწულ? „ქე არ უთხრა?“ ამგვარ ლექსემაში „ვა ელემენტი უნდა განვიხილოთ როგორც დამოუკიდებელი სიტყვა, უარყოფის ნაწილაკი, რომელიც არ წარმოადგენს პრეფიქსულ მორფებას და არ შედის პრეფიქსთა ჯაჭვში. ასეთი ვა არ ეჭვემდებარება რედუქციის წესებს და არც ასიმილაციას განიცდის“ (გუავა, გამყრელიძე).

თუკი ლექსემაში დაჩნდება კითხვითობის ნაწილაკი, მაშინ -ნი კავშირ-ენკლიტიკისთვის, რომელიც ინტენსიური გამოყენებისაა მეგრულში, ადგილი არ რჩება

ქეთევან მარგიანი - სუბარი

ულლების ერთი კატეგორიისათვის სვანურ ენაში

ევიდენციალობა ქართველურ ენებში რომ გრამატიკული კატეგორიაა, ეს სპეციალურ ლიტერატურაში საყოველთაოდ მიღებული მოსაზრებაა. ჩვენი გამოკვლევის მიზანია იმის ჩვენება, რომ **სვანურში ევიდენცილობა მორფების დონეზე გამოხატული ულლების კატეგორიაც არის და, სავარაუდოდ, ეს ფორმანტია უფრო არქაულ (უპრეცენტო) ფორმებში გამოვლენილი -უნ სუფიქსი:** ჩვენი აზრით, ერთი და იმავე სუფიქსის გამოვლენა სხვადასხვა მწკრივის ფორმაში უბრალოდ მატერიალური დამთხვევა როდია, არამედ საქმე გვაქვს ერთი და იმავე ფუნქციით აღჭურვილ უძველეს მორფებასთან, რაზეც ამ ზმნების სემანტიკაც მიანიშნებს — მთქმელი ზმნის **-უნ**-იანი ფორმების გამოყენებით დისტანციაში დგება საკუთარი ნათქვა-მის ჭეშმარიტების **მტკიცებასთან და ზმნურ ფორმაშივე „ათავსებს“ ინფორმაციას მის მიერ გადმოცემული ინფორმაციის ირიბი წყაროდან მოძინარეობის შესახებ;**

საანალიზო ფორმები იპოზიციას ქმნიან პირდაპირევიდენციალურ ფორმებთან:

(1) პირდაპირევიდენციალური აწმყო **პ-ირ-ი** „წერს“ — ინფერენციული აწმყო **პ-ირ-უნ-ი** „ალბათ (შესაძლოა, იქნებ...) წერს“;

(2) პირდაპირევიდენციალური ნამყოსრული: **პ-ირ-დ-ა** „წერდა“ — ინფერენციული ნამყოსრული: **პ-ირ-უნ-ტლ** „ალბათ წერდა“;

(3) საზედაო/სასხვისო ქცევის პირდაპირევიდენციალური ნამყოსრული: **ხაზირდა** „აწერდა“ — საზედაო/სახვისო ქცევის ირიბევიდენციალური იმპერატივი: **ხ-პ-ირ-უნ-ა/ ხ-პ-ირ-ინ-ა** „თურმე აწერდა“;

(4) საარვისო ქცევის პირდაპირევიდენციალური ნამყოსრული: **პ-ირ-დ-ა** „წერდა“ — საარვისო ქცევის ირიბევიდენციალური ნამყოსრული: **ლგმირ-უნ-ე ლი** „თურმე წერდა“;

ყველა საანალიზო მწკრივის სემანტიკაში მთქმელის არაპირდაპირი იღებმა გათვალისწინებული იმ მოქმედებისა თუ მოვლენისა, რომელსაც გვიჩნობს. ყველა ეს ფორმა ინფორმაციის ირიბ წყაროზე მიუთითებს;

-უნ- სუფიქსიანი ზმნური ფორმით გადმოცემულია მოქმედება, რომლის შესახებაც მთქმელმა ა) **სხვისგან შეიტყო (თურმეობითობა, გადმოცემითობა)** ან **შედეგის მიხედვით მსხელობს (ინფერენცია)**; ეს ზმნები მხოლოდ მოქმედების უნახაობის აქტს გამოხატავენ ინფორმაციის ნამდვილობის შეფასების გარეშე (3; 4); ბ) მთქმელი მოვლენას **თავად ვარაუდობს** მისთვის ცნობილი ფაქტების საფუძველზე — ასეთ შემთხვევაში მთქმელის ინფორმაციის **წყარო მხოლოდ საკუთარი ინფერენციაა**, ამიტომაც ამ უკანასკნელთა სემანტიკა **პოტენციურობასა და ალტერნატიულობას** გამოხატავს (1; 2).

ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ ფორმებში -უნ- სუფიქსი (რომლის ფუნქციაც სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე აუხსნელია), ევიდენციალობის ნიშანია, მაშასადამე ევიდენციალობა **სგანურში ულლების კატეგორიაა, მწკრივის ელემენტია, სწორედ ამ ელემენტის — ევიდენციალობის კატეგორიის მორფოლოგიის დონეზე არსებობა უნდა იყოს ერთ-ერთი საფუძველი სგანურში მწკრივთა სიჭარბისა, თანამედროვე ქართულთან შედარებით.**

ნანა მაჟავარიანი

ცხენი და ცხენთან დაკავშირებული ლექსიკა აფხაზურში (სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი)

ენის ლექსიკის ამა თუ იმ უბანში უკუფენილია ენობრივი ერთობის ყოფის სხვადასხვაობა, რადგან ყოფის სხვადასხვაობა განსაზღვრავს სწორედ იმ თავისებურებებს, რომლებიც სხვადასხვა ენის ლექსიკური ფონდის შინაგან დანაწევრებაში შეიმჩნევა.

აფხაზური ენის ძირითად ლექსიკურ ფონდიში ცხენთან დაკავშირებული ლექსიკა განსაკუთრებული სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ზოგადად კავკასიასა და კერძოდ ჩრდილო კავკასიურ კულტურაში ამ ცხოველს ოდითგანვე განსაკუთრებული როლი აკისრია, როგორც გადაადგილების ეფექტურ საშუალებას, როგორც მთის მცხოვრებთა განუყოფელ ნაწილს.

აფხაზურ ფოლკლორში, ანდაზებში, პატივისცემითა და სიყვარულით მოიხსენიება ცხენი: აჩვ აუკვ დშა ალოუპ რკომდტ „ცხენს ადამიანის სისხლი აქვსო ამბობენ“... ცნობილი აფხაზური ანდაზაა.

ცხენის უყოლობა სირცხვილად ითვლება: მამგ აღუ — ჩაგდა შაბრაჲა „არასმქონე გულდიდი უცხენოდ ფეხგაწვდილი“ (არის).

სემანტიკური თვალსაზრისით ცხენთან დაკავშირებული ლექსიკა შეიძლება დაიყოს მდეღრობითი და მამრობითი სქესის, ნაშიერთა, ცხენის ასაკისა და ფერის მიხედვით განსხვავებულ სახელწოდებებად.

სტრუქტურული თვალსაზრისით ცხენთან დაკავშირებული ლექსიკაში გამოიყოფა სხვადასხვა მოდელები: ღღენ ფუძიანი, აფიქსაციითა და კომპოზიციით ნაწარმოები სახელწოდებანი, ცალკეა გამოსაყოფა ნასესხები ლექსემები.

აჩვ „ცხენის“ ზოგადი სახელია.

აჩაბა 1., მამალი ცხენი, ახტა, ვაყა; 2., მამალი კვიცი“

-აბ ნახვარსუფიქსი მამრობითობის აღსანიშნავად გამოიყენება. ამ სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა არის „მამა“. აჩაბა სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „ცხენი მამა“.

აჩაბა „ფაშატი, ჭაკი (ცხენი, ვირი და მისთ.)

-ან ნახევარსუფიქსი მდედრობითობის გამოსახატავად გამოიყენება. მისი ამოსავალი მნიშვნელობა არის „დედა“: აჩთან სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „ცენი დედა“.

აჩწეს „კვიცი“, აჩაწეს ზედმიწევნით: „ცენი ჩიტი“, აჩვზ „ქუ-რანი, რასხი, შვინდ-წაბლისფერი ცენი“, აჩვზ „სისვი, ნისლა, ტრე-დანა, ლურჯა ცენი“, აჩვკ „დოლის ცენი“, აჩვრა „ურა ცენი“, აჩალარჯ „თეთრა ცენი“, აჩკუარ „იორდა, თოხარიკი ცენი“, აჩეიქვ „შავი ცენი, შავრა“...

ამ შემთხვევაში აფხაზურ ენაში არსებული მოდელი, საზღვრულ-მსაზღვრელის ხმარებისა, დაცულია. ვითარებითი ზედსარ-თავით გამოხატული მსაზღვარელი მოსდევს საზღვრულს.

მოხსენებაში განხილულია აგრეთვე ცენის სადგომის, აღკაზმუ-ლობის, ხმიანობისა და დაავადებათა აღმნიშვნელი ლექსიკა.

თამარ მახარობლიძე

კონკრეტული თუ აბსტრაქტული?

არსებითი სახელების ტიპოლოგია მრავალ უნივერსალურ კატე-გორიას მოიცავს, ერთ-ერთი ასეთია არსებითი სახელების კონკრე-ტულ და აბსტრაქტულ სახელებად დაყოფა-დაგჭუფება. ამ თემისდიმი მიღობა უნივერსალური უნდა იყოს, მაგალითად: თუ რომელიმე N სემანტიკის არსებითი სახელი კონკრეტულია ქართულში, ის კონკრე-ტული იქნება ინგლისურსა და ჩინურშიც.

კონკრეტულია ყველა საკუთარი არსებითის სახელი და სახე-ლი, რომელსაც თავისი ბიოქიმია გააჩნია. თავისთავად, ის რასაც ბიოქიმია აქვს, გრძნობათა ხუთი ორგანოც აღიქვამს. საკუთარი სახე-ლები თავის თავში მოიაზრებს განსაზღვრულობის (იგივე კონკრეტუ-ლობის) მაღალ ხარისხს.

გამოვყოფთ არსებით სახელთა სამი ჯგუფს:

1. კონკრეტული სახელები:

I. ნივთიერი ფორმის ხილვადი არსებითი სახელები;

- A. მყარი შეხების საგნები (მაგ., კაცი, სკამი ხე და ა. შ.),
- B. ნაკლებად ხელშესახები ან შეუხებელი საგნები (მაგ., კრებითი სახელები — ჯგუფი, ფარა, ნახირი, ცა, ჰორიზონტი და ა. შ.),
- C. საკუთარი სახელები — ადამიანის სახელი და გვარი, გეოგრა-ფიულ ადგილთა სახელები;
- E. გეომეტრიული ფიგურები (წრეწირი, ხაზი, რომბი, კვადრატი და ა. შ.)
- II. ნაკლები ან ნულოვანი ხილვადობის არსებითი სახელები.
- A. შეგრძნების სამი ფორმის დაკონკრეტებული სახელები: გემო, სუნი, ბგერა
- B. აქროლადი აირები (მაგ., ჰარი, გაზი, ქარი, ნიავი და სხვა);
- C. დასახელებები ანუ სახელწოდებების აღმნიშვნელი საკუთარი სახელები — ორგანიზაციების და ინსტიტუციების სახელწოდებები;

2. აბსტრაქტული სახელები:

- A. დერივაციული აბსტრაქტული არსებითი სახელები: -ობა, -ება, სი-ე, სი-ილ აფიქსებით ნაწარმოები სახელები;
- B. საზომი ერთეულების სახელები (წონა, ზომა, განი, მეტრი, ლიტრი, ფორმა და სხვა):
- C. შეგრძნების სამი ფორმის ზოგადი, განუსაზღვრელი სახელე-ბი: გემი /მადა, სუნი /ყნოსვა, ბგერა და მათთან სემანტიკურად და-კავშირებული ზოგადი, განუსაზღვრელი არსებითი სახელები, მაგ., მელოდია, პოეზია (ზოგადად და არა კონკრეტული რომელიმე ლექსი ან მელოდია);
- D. საწყისები (ნაზმნარი არსებითი სახელები ანუ მოქმედების სახელები, მაგ., სიარული, სირბილი, ფრენა, მოვლენა, შემთხვევა და ა. შ.);

E. სხვადასხვა ზოგადი ტერმინი და ცნება:

- I. ემოციის ამსახველი არსებითი სახელები (მაგ., სიყვარული, ზი-ზლი, სიმპთია, შიში, გრძნობა და სხვ.),
- II. კოგნიტური ცნებების ამსახველი არსებითი სახელები (მაგ., იდეა, აზრი, გონი, ჭიჭა, კონცეპტი, თემა, პრობლემა, ფიქრი და სხვ.).

III. ზოგადი ტერმინები (მაგ., ისტორია, ფიზიკა, კულტურა, ვითარება, გარემოება, სუბსტანცია და სხვა)

3 შუალედური ანუ კონტექსტური ფორმები:

- I. -ობა სუფიქსით ნაწარმოები ფორმები (სტუნდეტობა, ახალგაზრდობა);
- II. გემო, სუნი, ფერი, ადგილი, ბეგრა/ხმა, ტკივილი (რაც მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში ხდება კონკრეტული)

უნივერსალურია აბსტრაქტული სახელების სემანტიკური კლასიფიკაცია:

1. პოზიტიური მახასიათებლებით (თავდადება, ერთგულება, ნდობა, სითამამე, მამაკობა, მეგობრობა, სიხარული, სიკეთე, მადლიდა სხვ.);

2. ნეგატიური მახასიათებლებით (ღალატი, სიზარმაცე, ამპარტავნება, სიცრუვე, თავხედობა, მტრობა, შური, უმაღლერობა, პრობლემა და სხვ.);

3. ნეიტრალური მახასიათებლებით (ფიქრი, ახალგაზრდობა, მოგონება, ვითარება, ცნება და სხვა).

კუთრებით გახაზავდა, რომ „ლექსიკურ-სემანტიკურ და სტრუქტურულ-მორფოლოგიურ მონაცემთა ფარდობის უქონლობა ქმნის ძირითად სიძნელეს **ენობრივი სისტემის მეცნიერულად აღწერისათვის** ...“ და „რაც უფრო რთულია ენის მორფოლოგიური სისტემა, მით უფრო რთულ სახეს იღებს ლექსიკურ-სემანტიკური და და სტრუქტურულ-მორფოლოგიური მომენტების ურთიერთობა, ძნელდება... [მორფოლოგიური] ფაქტების **ადეკვატური კვალიფიკაცია**.“

როგორც თეზისებიდან ჩანს, იგი მოხსენებაში ეხებოდა ქართულ, მისი კვალიფიკაციით, „**უგვარო სტატიკური**“ ზმნათა ნაკვთეულების წარმოებას და, ამასთან დაკავშირებით, გარდამავლობა-გარდაუვლობის საკითხს.

ჩვენს წინამდებარე მოხსენებაში არნ. ჩიქობავას „მეთოდოლოგიური იმანენტიზმის“ მოთხოვნების შესაბამისად განვითარებულია და წარმოდგენილი ამ ტიპის (ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში „მედიოაქტივთა“ კვალიფიკაციით ცნობილ) ზმნათა დიდი ჯგუფის მორფოლოგიური დახასიათება და, შესაბამისად, მათი გრამატიკულად ადეკვატური კვალიფიკაცია. ასევე, დასმულია პოლიპერსონალური ქართული ზმნის „გარდამავლობის“ ცნებისა და მისი ტერმინული გამოხატვის საკითხი.

დამანა მელიქიშვილი

არნოლდ ჩიქობავა მორფოლოგიური ფაქტის

კვალიფიკაციის შესახებ
(ქართული ზმნის ჩვენებათა მიხედვით)

1928 წელს არნ. ჩიქობავამ თავის ცნობილ ფუქტდებლურ ნაშრომში დასვა საკითხი ქართული შესიტყვების სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის გრამატიკულ ცნება-ტერმინებით აღწერისა და ეს პრობლემა გრამატიკაში ლოგიკის ექსპანსიის საწინააღმდეგოდ გადაწყვიტა.

50 წლის შემდეგ, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთ-ერთ მორიგ სესიაზე (1978 წლის დეკემბერში) არნ. ჩიქობავამ იგივე საკითხი წამოჭრა მორფოლოგიურ ფაქტებთან დაკავშირებით. იგი განსა-

ელენე ნაპირელი

მესამე სუბიექტური მრავლობითი რიცხვის გამოხატვა და კოდთა ურთიერთშემსრულების საკითხი ლაგოდესის რაიონში

სუბიექტური მესამე პირის **-ნენ** ნიშანი სხვადასხვა ფორმით არის გამოხატული აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დიალექტებში.

თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ნორმის მიხედვით დადგენილია, რომ **დ** — ს შემდეგ (ფუძისეულია თუ დროის მაწარმოებელი), როგორც უწყვეტელში, ასევე კავშირებით პირველში, წყვეტილში, კავშირებით მეორეში, თურქებით მეორესა და კავშირე-

ბით მესამეში — ყველგან უნდა გამოიყენებოდეს **-ნენ** დაბოლოება (**აკეთებდნენ**, **მოვიდნენ**, **ხატავდნენ**...).

როგორც გ. გოგოლაშვილი აღნიშნავს, ამ რთული სუფიქსის ჩამოყალიბება ჩვენ თვალშინ მოხდა: ა) დასავლურ დიალექტებში ე.წ. პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის მოშლის შემდეგ **-ენ** (-ნ) სუფიქსი ქრება სამივე პირის ფორმიდან; ბ) აღმოსავლურ დიალექტებში იგივე სუფიქსი ქრება I-II პირის ფორმებში; ხოლო III პირის ფორმაში მიუხორცად მრავლობითობის **-ენ** სუფიქსს **ნ-ენ**“ (გოგოლაშვილი 2009).

კახურში, ისევე, როგორც სხვა აღმოსავლურ დიალექტთა დიდ ნაწილში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად გამოიყენება **-ნენ** სუფიქსი, იმერულში **-ნენ** ფორმანტის ადგილას თხრობითი კილოს ფორმებში ყოველთვის **-ენ** გვაქვს (წერდენ „წერდნენ“, დეიმალენ „დაიმალნენ“), კავშირებითში — **-ნ** (წერენ „წერდნენ“, დეიმალებოდენ „დაიმალებოდნენ“).

ლოგოდენის იმერელთა მეტყველებაში ისმის **-ენ** სუფიქსიანი ფორმები: **ჩამოდიოდენ**, **იყვენ**, **ეკუთვნიდენ**, მაგრამ როდესაც ჩვენი რესპონდენტები ცდილობდნენ სალიტერატულო ქართულის კოდზე გადასვლას, მაშინ იყენებდნენ **-ნენ** სუფიქსიან ფორმებს, მათთვის ასეთი ფორმები სალიტერატურო კოდზე გადართვის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. მაგრამ, საკმარისია, კოდური კონტროლი შესუსტდეს, რომ ისინი კვლავ მშობლიურ კოდს უბრუნდებიან და მათთვის ასე დამახასიათებელ **-ენ** სუფიქსს ხმარობენ:

„ჩამოსული იყვნენ, ჩამოსული იყვნენ, გესმის?“ — ოდნავ ქვემოთ კი ამბობს: „მამაჩემს უფრო ეკუთვნიდენ ბიძად და ბიძაშვილად“ (ვალიკო ცქიფორიშვილი, 86 წლის)...

მიუხედავად იმისა, რომ კახელებიც მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის სუფიქსად **-ნენ**-იან ფორმებს გამოიყენებენ, იმერლები ასეთ ფორმებს მიიჩნევენ არა კახური კოდის მარკერად, არა-მედ სალიტერატურო კოდის ნიშნად. ამიტომ თუ სურთ კახელებს მსგავსი ფორმებით გამოაჯავრონ იყენებენ **-ენ** სუფიქსიან ფორმებს:

წავიდენკე, მოვიდენკე... მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კახელი ასეთ ფორმებთან **-ენ** სუფიქსს არ გამოიყენებს. ესენი ე.წ. ფსევდოდიალექტიზმებია, რომელთა არსებობაც სხვა დიალექტური კოდების

ურთიერთობის დროსაც დასტურდება, ასევე საინტერესო ფსევდოდიალექტიზმის (ჰიპერდიალექტიზმის) ნიმუშია თუში მამაკაცის მიერ სალიტერატურო კოდზე გადასვლისას გამოიყენებული ფორმები: **მეეწონა, მეეტანა...** რომლებიც უცხოა თუშურისთვისაც და სალიტერატურო ქართულისთვისაც; სამაგიროდ არის თუშურის მეზობელ სამეტყველო კოდში — კახურში. (მ. ბერიძე). ფსევდოდიალექტიზმები არის სამეტყველო კოდის მატარებელთაგან ერთმანეთის მეტყველების ლინგვისტური შეფასების კარგი მაგალითი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ იმერული კოდის წარმომადგენელი იყენებს **-ენ**-იან ფორმებს მაშინ, როცა ის საკუთარ სამეტყველო კოდზე საუბრობს, სალიტერატურო კოდზე გადასვლისას კი გამოიყენებს **-ნენ** სუფიქსიან ფორმებს, ხოლო თუ სურს, კახელების კოდზე გადავიდეს, მაშინ **-ენ** სუფიქსიან ფორმებს გამოიყენებს **-ენ** ნიშნიან ფორმებთან და ასე ახდენენ ისინი კოდზე გადასვლის რეალიზაციას.

ნიკოლოზ თთინაშვილი

ფრონეს ხეობების ტოპონომასტიკური მასალები. სოფელი ავნევი

სოფელი მდებარობს აღმოსავლეთის — დვანის ფრონეს ხეობის შუა წელზე, მდინარის ორივე ნაპირზე. იგი რამდენიმე ისტორიულ წყაროშია მოხსენებული. ვახუშტი ბატონიშვილს თავის „აღწერაში“ ავნევი დასახელებული არა აქვს, მაგრამ რუკაზე აქვს დატანილი მთავრის საცხოვრებლის სასახლის ნიშნით (ვახუშტი, რუკები). იოანე ბაგრატიონი „ქართლ-კახეთის აღწერაში“ დვანის წყალზე ასახელებს სოფელ ავნევს (ბაგრატიონი ი. აღწერა, 42).

1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთრის მიხედვით ავნევი დიდი სოფელი ყოფილა, სადაც მრავალი გვარის ხალხი სახლობდა

და დღეს თითქმის ძველი გვარებიდან აღარავინ გვხვდება, რაც საველე მუშაობის შედეგად გამოირკვა.

ადრინდელი ანთროპონიმებიდან დღეს აღარ გვხვდება: ნადირაძე, ომანაძე, მედინაძე, ბრეგვაძე, სალარიძე, კოზმანიშვილი, კოხაჭელი, ჩხერელაშვილი, ბერიკაშვილი, მინდობილაშვილი, ხოსიაშვილი, ბეჟუაშვილი, ყუზაშვილი, ზუმბულიძე, ბათხაძე (თაყაიშვილი, 137).

გადაშენებული გვარებიდან დღეს დარჩა ტოპონიმები: ბეგიანთ მიწები, ბეგიაშვილის გვარის მიხედვით, სოფლის დასავლეთით, მდ. ფრონეს მარჯვნა მხარეს; სულიაშვილის ფერდა, სულიაშვილის გვარის მიხედვით მდინარის მარცხნა მხარეს; დათუაშვილის მინდორი, სოფლის აღმოსავლეთით 10 ჰა ტერიტორია.

ზემოხსენებული გვარების ამოწყვეტის მიზეზი ადგილობრივების თქმით შეიძლება ლეკიანობა იყო. ჩვენ დავუმატებდით ტყვის სყიდვას, რომელიც ასე გახშირებული იყო იმ დროისათვის და მოვიყვანთ ერთ საბუთს, რომელიც შედგენილია 1750 წელს. ნასყიდობის წიგნი მიცემული ზაალ ფალაგანდიშვილის მიერ იქსე ამილახორიშვილისადმი.

„...ოდეს დაგვეჭირა და მოყიდეთ ჩვენი სამკვიდროს ბარათის კაცი და მამული ავნევს კვახაჭელ რაზმა (დაგთარშია კოხაჭელი), თავისი შვილითა და მამულითა, კიდევ გოგია ჩხერელაშვილი თავის მამულით კიდევ ჭილიბულის (ავნევის უბანი) ომანაძის მამული, ...ავიღეთ ფასი სრული“... (დოკუმენტები, გვ. 345).

დღეისათვის სოფელი 400 ოჯახით არის წარმოდგენილი და ძირითადად რაჭიდან და იმერეთიდან არიან ჩამოსულები, ასევე ქართლის სოფლებიდან: კვინიკაძე, ჭილლაძე, ტაბატაძე, გელაშვილი, მაჭარაძე, კაპანაძე, ქიმაძე, მაისურაძე, მეტრეველი, დავითიძე, ჭავჭავაძე; გვხვდება ოსების რამდენიმე ოჯახიც.

ზემოხსენებულ დაგთარში კარგად, ჩანს თუ რომელი კუთხიდან მოვიდა ესა თუ ის გვარი. კოხაჭელი ჩამოსახლდა იმერეთის სოფელ კოხაჭიდან (ახლა ნასოფლარი), ჩხერელაშვილი საჩხერის სოფელ ჩხერიდან. ღურგლიშვილების თავდაპირველი გვარია წიკლაური და მათი შტოგვარი არის წიკლაურიანთი და აბრამანთი, ხოლო სალოცავი ლომისა, ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედზე. ლომისას ნიში სოფელ ავნევში ორჯერ ჩამოიტანეს და სალოცავიც ააგეს.

სოფელში უბანებად არიან დასახლებულნი და ასეთი უბნები და შტოგვარები -ანთ მრავლობითობით არის გაფორმებული: ღურგლია-ანთ უბანი (ღურგლიშვილი), მარანაანთ უბანი (მარანელი), კვინიკა-ანთ უბანი (კვინიკაძე), კაპანაანთ უბანი (კაპანაძე), სიქტურაანთ უბანი (სიქტურაშვილი), საძაგლიაანთ უბანი (საძაგლიშვილი). ასევე ფორმდება შტოგვარებიც.

-იანთ სუფიქსიან ფორმას შეიძლება **-ები** სუფიქსიც დაერთოს მრავლობითის აღსანიშნავად: სიკოიაანთები, ვანოაანთები, კაკიაანთები, გოლაანთები, ტროფინიანთები... (შტოგვარები).

სულ ასამდე ტოპონომასტიკური ერთეული დაგადასტურეთ სოფელში, რომელთაგან ყველა საინტერესოა ეტიმოლოგიური თვალსაზრისით.

თვით ტოპონიმ აგნევის შესახებ რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული, მათ შორის — ავენაობის შესახებ, ავნეველები ავი ენისანი ყოფილანო (ს. მაკალათია).

ილია აბულაძის განმარტებით შავანი სოფელია, რაც ადასტურებს ავანის სახელის გაჩენას სოფლური დასახლების აღსანიშნავად.

მერაბ რობაჭიძე

„ცნობისა“ და „გულის-კმის“ მნიშვნელობისათვის ძველ ქართულ ენაში (ქართულ-სომხურ ენობრივ ურთიერთობათა შუქჟე)

1. ქართული ენობრივი ნოეტური ცნობიერების უმნიშვნელოვანესი სიტყვაა „ცნობა“ (ძირი „ცნ“, რომელიც პიროვნული და სამყაროსეული (ობიექტური) შემეცნების შინაარსს უკავშირდება, ადამიანის თვითშეცნობასა და გარესინამდვილს გაცნობი ერებაზეა ორიენტირებული.

2. „ცნობა“ თავის სიტყვათველში სინონიმად წარმოაჩენს „გულის-კუმა“-ს. „კუმა“ ძველ ქართულში მრავალგანზომილებიანი შინაარსის სიტყვაა და უკავშირდება „მოკმარება“ (მო-კუმ-არ-ება), „აღ-

ბა“, „მიღება“, „სმა“ („დალევა“) მნიშვნელობებს (შდრ. “თუალკუმა“- “თუალ-ლება”).

3. „გულის-კუმა“ სულხან-საბა არბელიანის მიერ განიმარტება (ლექსიკონში შეტა ნილია „გულის-ხმა“) როგორც სააზროვნო შინაარსის სიტყვა. მისი დეფინიციით, „ესე არს გონიერით ახმა და გულთა შეღება“. ამ გაგებით „გულის-კუმა“ უკავშირ დება ადამიანის შინასამყაროს არ უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალას — „გულსა“ და „გონებას“, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ „გულ“ სიტყვა ქართულ ენა სა და ეროვნულ ცნობიერებაში ემციერდის გარდა წარმოაჩენს ნოეტურ (სააზროვნო) სემანტიკასაც.

4. ჩვენს მიერ გაანილიზებული მასალა გვიჩვენებს, რომ „ცნობისა“ და „გულის-ჭუ მის“ სიტყვათველში თავს იყრის ისეთი ცნებები, როგორიცაა „გაგება“, „მიხვედრა“, რაც მოვლენათა „გაცნობიერებას“ უკავშირდება.

5. ქველ სომხურ ენაში „ცნობისა“ და „გულის-ჭმის“ შესატყვისებად დასტურდება **ի միտ առնուլ** [იმიტ არნულ] და **խելամուտ լինել** [ხელამუტ ლინელ] კონსტრუქციები (=გონებით გაგება), რომლებიც სტრუქტურულად და სემანტიკურად შეესატყვისება ქართულ ცნებებს. სომხური ენობრივი და ეროვნული ცნობიერება ქართული-საგან განსხვავებით მოვლენათა გაცნობიერებას „გონებას“ უკავშირებს. სომხურ ენაში ამავე შინაარსით დასტურდება **ծան** [წან] resp. **ձան** [ჭან] ძირი, რაც ეტიმოლოგი ურად ქართულ „ცანს“ (<ც-ან) უკავშირდება (შდრ. ვიცი <ც-ი-ც-ი).

ნინო რუხაძე

-უნ სუფიქსის საკითხისათვის უდიურში

1. -უნ სუფიქსი უდიურ ენაში ყველაზე გავრცელებულ სუფიქსთაგანია. გამოიყენება სხვადასხვა ფუნქციით: а) ნათესაობითი ბრუნვის მაწარმოებლად (ამ ბრუნვის ერთ-ერთი ნიშანია): **ბინიკ-უნ** (თო-

გინის), **გურატ-უნ** (პერანგის), **ჰასონ-უნ** (ლრუბლების). შდრ. კავკასიის ალბანური, სადაც -უნ ნათესაობითი ბრუნვის ერთ-ერთი ფორმანტია (რ. ლოლუა); б) დერივაციულ აფიქსად: **ტოშ-უნ** (გარეთ), **ოყ-უნ** (დაბლა), **ალ-უნ** (ზემოთა). შდრ. კავკასიის ალბანური, სადაც -უნ აფიქსი დერივაციულია; г) უდიური ენის ნიჯურ კილოში აბლატივ-კომიტატივის (ზიარი აფიქსი) საწარმოებლად: **ზახ-უნ** (ჩემგან, ჩემით, ჩემთან ერთად), **ადამარახ-უნ** (ადამიანისგან, ადამიანთან ერთად); д) დროის ზმინისართთა საწარმოებლად (არსებითი სახელის ფუქეზე დართვით): **დამ-უნ** (დილას), **ბიას-უნ** (საღამოს), **ბლაზერ-უნ** (შუადღეს); ე) ბოლოკიდურ ელემენტადა შეზრდილი ზოგიერთ არსებით სახელთა ფუქეში: **ბუქ-უნ** (მუცელი), **ქაბ-უნ** (ვარსკვლავი), **ყორფ-უნ** (უფსკრული), **ქექ-უნ** (ტყლაბი)...).

2. უდიურ ენაში -უნ სუფიქსით იწარმოება მეორე ტიპის (რთულ-მაწარმოებლიანი) მასდარი: **ბიტე-უნ** (თესვა), **ფეს-უნ** (თქმა), **ციხ-უნ** (ჩასვლა). სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია (ა. შიცნერი, ა. დირი, ვ. ფაჩჩიძე), რომ ამ ტიპის ინფინიტივ-მასდარის მაწარმოებლი გენეტურად ნათესაობითი ბრუნვის -უნ ნიშანს უკავშირდება. შდრ. კავკასიის ალბანური, სადაც მასდარი || **-ეს-უნ** სუფიქსითა ნაწარმოები: **მარაკ-ეს-უნ** (ხიფათის, ჭირის ნახვა). უდიურში -უნ სუფიქსით იწარმოება აბსოლუტივი: **ბახ-უნ** (კეთებისას), **უკახ-უნ** (თქმისას), **აკახ-უნ** (ნახვისას). შდრ. კავკასიის ალბანური, სადაც დასტურდება აბსოლუტივის ორი ფორმა, ნ-უნ რთული სუფიქსით: **ბურ-ინ-უნ** (მოსაკლავად, მოუკლა რა).

რაოდენობით რიცხვით სახელს უდიურსა და კავკასიის ალბანურში -უნ სუფიქსი აწარმოებს: **სა-უნ-ჭი** (პირველი, უდ.), **სერბა-უნ** (პირველი, კავკ. ალბანური), **ხიბ-არ-უნ** (მეორე, კავკ. ალბ.). -უნ სუფიქსი კავკასიის ალბანურში მაერთებელი „და“ კავშირის ფუნქციით გვხვდება: **ბეტროსახ უნ დაკობახ უნ მოპანახ** (პეტრე და იაკობი და იოანე).

3. ნათესაობითი ბრუნვის -უნ სუფიქსი ვლ. ფანჩიძეს შედარებით უფრო ახალ, თურქულ-აზერბაიჯანულიდან ნასესხებ, იმავე აზერბაიჯანულის გავლენით ნათესაობითი ბრუნვის -ონ დაბოლოების-გან განვითარებულ სუფიქსად მიაჩნდა. აღნიშვნულ მოსაზრებას უდიური და კავკასიის ალბანური ენების მონაცემები საეჭვოს ხდიან.

4. ჩვენი აზრით, ნათესაობითი ბრუნვის -უნ დაბოლოება ძველისძველი უდიური მაწარმოებელია, მეტადრე იგი გვხვდება ალბანურ მორფებათა სისტემაშიც (ა.შანიძე, ვ. შულცე, რ. ლოლუა), რასაც თვალსაჩინოს ხდის ზემოთ წარმოდგენილი პარადიგმები.

ლ ა ტ ა ვ რ ა ს ა ნ ი კ ი ძ ე

წოვა-თუშურის ლექსიკიდან

მოხსენებაში წარმოდგენილია ერთი ლექსიმა — **ბზუილეშ** იმ სიტყვებიდან, რომლებიც არ არის შეტანილი ცალკე წიგნად გამოქვეყნებულ თუ ამ ენის გრამატიკებზე დართულ წოვა-თუშურის თარგმნით ლექსიკონებში. **ბზუილეშ** სიტყვის მნიშვნელობაა „არაწოვა-თუშურად“, „ქართულად“.

ბზუილეშ ლექსების გვერდით წოვა-თუშურში გვაქვს **ვაღლეშ** || **ვეღეშ** „ჩვენებურად, წოვა-თუშურად“. **ვაღლეშ**, -ეშ-სუფიქსიანი ზმნისართის ფორმა, კანონზომიერად ნაწარმოებია ზედსართავი სახელისაგან **ვაღლენ** (> || **ვეღე**) (მოტა) „ჩვენებური, წოვა-თუშური“ (ენა). **ვაღლენ**-ში გამოიყოფა **ვაღ** („ჩვენ“) ნაცალსახელის მრ. რიცხვის (ინკლ.) | პირის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა **ვაღ** < ***ვაღნ** და ზედსართავის მაწარმოებელი -ღე⁶ სუფიქსი.

ვაღლეშ სიტყვის ანალოგიური წარმოება ჩანს **ბზუილეშ**: აქც ზმნისართის მაწარმოებელი -ეშ სუფიქსი იჩენს თავს და, უნდა ვივარაუდოთ, იგი (-ეშ სუფიქსი) ***ბზუილეშ** („არაწოვა-თუშური“, „ქართული“) ზედსართავი სახელისაგან აწარმოებს ზმნისართის — **ბზუილეშ**. ***ბზუილეშ** წოვა-თუშურში ვერ დავადასტურეთ.

***ბზუილეშ**-შიც უნდა გამოიყოფოდეს **ბზუდ** („ქარი“) ფუძე და ზედსართავის მაწარმოებელი სუფიქსი -ღე⁶ (შდრ. ხუნდ. **ბოლ მაწა**, „თემის ენა“, „ქარის ენა“ — საერთო ენა (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე)).

ბზუდ წოვა-თუშური **ბზე** („ქარი“) სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას წარმოადგენს. **ბზე**-სთვის ამოსავალ ფორმად აღდგება ***ბზავ** („ქარის“ მნიშვნელობით ეს ფუძე, არ არის გამორიცხული, შემონახული გვერდეს ჩეჩინ. **ბზოვ**, ინგ. **ვზოვ** („საომარი, სამხედრო

კოშკი“) სიტყვებშიც, მათთვის ამოსავალია ***ბზავ** (ა. ქურქიევი).

ბზე-სთვის ამოსავალ ფორმად შეიძლება აღვადგინოთ ***ბზავ**: **ბზე** < ***ბზავ** < ***ბზაუ** < ***ბზავ**. **ბზე**-ს ნათ. ბრუნვის ფორმა **ბზუდ ბზუილეშ**-ში მიღებული ჩანს ასე: ***ბზუდ** < ***ბზოუი** < ***ბზაუ** < ***ბზავი**.

***ბზუილეშ** („არაწოვა-თუშური“, „ქართული“) სიტყვასიტყვით უნდა ნიშავდეს ..ჯარის (ენის)ებურინ, **ბზუილეშ** („არაწოვა-თუშურად“, „ქართულად“) — „არაჯარის (ენის)ებურად“.

მ ე დ ე ა ს ა ღ ლ ი ა ნ ი

ნასესხები მყარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამების, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმების, წევვლისა და დალოცვის ფორმულების ანალიზისათვის სვანურში

სვანური ენის ფრაზეოლოგიური გამონათქვამები (იდიომები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი), ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები, წევვლისა და დალოცვის ფორმულები დიალექტ-კილკავთა მასალაზე დაყრდნობით დღემდე გამოწვლილვით არავის შეუსწავლია.

ხალხის კულტურა, ზნე-ჩვეულებანი, ყოფითი რეალიები თუ ისტორიული ამბები ამგვარ გამოთქმებშია ყველაზე კარგად დაცული, სწორედ ამიტომ ამ თვალსაზრისით ენის შესწავლა ხელს უწყობს ამ ენაზე მეტყველი ხალხის გონებრივი თუ სულიერი ცხოვრების თავისებურებათა შეცნობას.

სვანურ პროზაულ ტექსტებსა და ლექსიკონებზე, აგრეთვე, ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებულ მრავალფეროვან მასალაზე დაკვირვებაზე გვაჩვენა, რომ სვანური ფრაზეოლოგიზმების ერთი ნაწილი წარმოქმნილა სხვა ენებიდან სესხებს საფუძველზე.

1. ნასესხები ფრაზეოლოგიური გამონათქვამები (იდიომები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი)

თხევზ ფაყუისა სულტა (ლშხ., ჩოლ.) „1. საიმედო მდგომარეობაშია, საშიშროება არ მოელის, არხეინადა, 2. თავი ქუდში აქვს“.

უშკუთხ ბჭლოთი ლიუშბე (ბზ.). „1. გაჩუმება, ხმის ჩაწყვეტინება, რისამე თქმის საშუალების მოსაბობა, 2. პირში ბურთის ჩაჩრა [„ჩატენვა“], შდრ. საკუთრივ სკან. ბილაშრისგა ლიფხები“ 1. გაჩუმება, ხმის ჩაწყვეტინება („ბირ-ში ხელის ჩავლება“)]“.

მაყაულის ლაპლემ (ბქ.), **მაყალის ლალემ** (ლშხ., ჩოლ.) „1. შეეშინდა, 2. შიში ჭამა (შდრ. საკუთრივ სვან. **სისგის ლახშგდ**, **სისგიშ ლიყერ**, **სისლდა ლიშდე** (ჩოლ.) — 1. შეეშინდა, შეძრწუნდა, შეშინება, შეძრწუნება, 2. შიში შეეყარა, შიშის „დარტყმა“.

პასუხის ლახტის (ბქ.) „1. შეეპასუხა, 2. სიტყვა შეუბრუნა („პასუხის დაუბრუნა“)“.

გუდაგშიდ რიჩე პაკიდ (ბგ.) „1. შეკრთა, შეცბა, გული შეუტოვდა, 2. გულმა რეჩი უყო („გაილო“); **შიშდ რიჩე მაკიდ გუს** (ლშხ.) — მაშინვე შევკრთი, შევცბი, 2. ხელად რეჩი მიყო გულმა („რეჩე-ი დამარტყა გულ-ს“).

ლაჩქი ლიფრენი (ლშხ.) „1. სასირცხვილო საქმის ჩაღენა, 2. ლეჩქის დახურვა („და-ფარ-ებ-ა“)“ და ა. შ.

გაძორიცხული არაა, რომ ზემო დასახელებული ზოგიერთი ფრაზეოლოგიური გამონათქვამი დამოუკიდებელი წარმოშობის იყოს ორივე ენაში ერთნაირი საზოგადოებრივ-ისტორიული პირობების გამო.

2. **ქველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები**
... ბოფშერ ... ბაჩსრს ხორხენე უშესებრ ი ამჟი ტულის მაგ: „ორიახო-კურიახო, შენი სუი და შენი ჭამე, ჩურნესას ჯუარი დაგუშიწერე!“ (ლნტ., სვ. პრ. ტექსტ., 1967:66:10) „ბავშვები ქვებს ურახუნებენ ერთმანეთს და ყველაზი ასე ამბობენ: „ორიახო-კვირიახო, შენი სვი და შენი ჭამე, ჩვენესას ჯვარი დაგვიწერე!“ და სხვ.

3. **წყევლის ფორმულები**
ბახსოლიანა გუარიშ ლგმბრ ჭიმებდ მერმი მუტორბელ ი ამჟი ლოქ ითქვათონა: „ახსოლ ბახსოლიანო, არც აშენდი და არც გადაშენდიო!“ (ლშხ., სვ. პრ. ტექსტ., 1979, 249:9) „ბახსოლიანის გვარის ყოფილა ჭინკას დამჭერი ორბელელი და ასე დაუწყევლია: „ახსოლ ბახსოლიანო, არც აშენდი და არც გადაშენდიო!“

ვერშოკვერშოკდოლუ ლოგენები! (ბქ.) „ნაკუწებად ქცეულიყავი („გოჭ-გოჭადმტკა და-მ-დგ-არ-ხარ“, შდრ. რუს. **Вершок „გოჭი“**)!“ და ა. შ.

4. **დალოცვის ფორმულები**
... კინტო ქესრი და ანბზრე: „მაღო, ათხე ლგზგრეუ ლი, სული სულთან იყოს, უყვარდეს და აქ არ იყოს“ (ბგ., სვ. პრ. ტექსტ., 1939, 116:12-14) „კინტო კეისარმა სადღეგრძელონ თქვა („დალოცა“, შდრ. ძვ. ქართ. „ზორ-ვ-ა“): „აბა, ახლა დალოცვილი („დალოცვილმტკა“) იყოს („არის“) გის, გისის“ სულიც სულთან იყოს, უყვარდეს და აქ არ იყოს“.

შონდორ ლპტუისები ისმი ალ ამბრარ: „შეიწყადალოს სული მისი შონდორ!“ (ლშხ., სვ. პრ. ტექსტ., 1979, 10:11) „შესანდობარის თქმის დროს ისმის ასეთი („ეს“) სიტყვები („ამბ-ებ-ი“): „შეიწყალოს სული მისი, შენდობა!“

ათხე ი ეჩქადო ხოფვანას ... უიტუადს ეშხუ ფაგან ლიცს ი ლაფვანუე ხოშენფობდას ამჟი, ერე „უიტუადს და მის უიტუას შონდო!“ (იქვე, 252:17) „ახლაც და მანამდეც ერთ ჯამ წყალს წაუდგამდნენ ხოლმე უივუივას და საკურთხის წადგმისას ასე უგზავნიან შენდობას, რომ „უივუივას და მის ვაუზუნას შენდობა ჰქონდეთ!“ და სხვ.

საინტერესოა სვანურის ზღაპრის ბოლოს წარმოდგენილი ფინალური ფორმულები, რომლებიც ძირითადად დალოცვითა. საკუთრივ სვანური უნივერსალური მასალის გვერდით ტექსტებში ფიქსირდება ქართულის გზით შემოსული მასალაც. მაგ.:

ბზ. ჭირ ეჩქეუ Ⴣგუცუისრა, ხინ ამეჩუნ, შაქარი ამეჩუ! ნამ ხოჩა ლიორდეუ Ⴣგუციდა ი ლგმზგრეუ ლიშდ მაგ საერთოდ (ბზ., სვ. პრ. ტექსტ., 1939, 162:27-28) „ჭირი იქ („იქმცა“) დაგვეტოვებინოს („დაგვიტოვებია“), ლხინი — აქ, შაქარიც — აქ! ჩვენ კარგი დრო („ყოფამცა“) გვეტარებინოს („მოგვიტანია“) და საერთოდ ყველანი („ყველა“) დალოცვილები („დალოცვილმტკა“, შდრ. ძვ. ქართ. „ზორ-ვ-ა“) ვიყოთ („გართ“)!“

ბზ. ჭირ ეჩქე Ⴣგუცუისრა, ხინ ამეჩუ Ⴣგუცგრეუ ლიშდ! (იქვე, 113:5) „ჭირი იქ დაგვეტოვოს („დაგვიტოვებია“), ლხინი აქ მოგვეხმაროს („გვ-ი-ხმარ-ია“)! დალოცვილი („დალოცვილმტკა“, შდრ. ძვ. ქართ. „ზორ-ვ-ა“) ვიყოთ („გართ“)!“

ბზ. ჭირ ეჩქე ი ხინ ამე; ხოლა მაგ ეჩქე, ხოჩა ამჩუ; ხოლემი მუჩუმა ჩიგარ ხოლა, ხოჩემიშ — ხოჩა (იქვე, 421:16-17) „ჭირი იქა და ლხინი აქა; ცუდი ყველაფერი იქ, კარგი აქ. ცუდის მომქმედნი („მ-ქ-ნ-ელ-ნ-ი“) ყოველთვის ცუდი („ცუდი“), კარგის — კარგები („კარგი“).“

უნდა ითქვას, რომ ნასესხებ ფრაზეოლოგიურ გამონათქვათა, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმათა, წყევლისა და დალოცვის ფორმულათა ხვედრითი წონა, როგორც წესი, გაცილებით ნაკლებია საკუთრივ სვანურ მასალასთან შედარებით.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება საანალიზო ლექსიკურ ერთეულთა თუ შესიტყვებათა სტრუქტურულ-სემანტიკური ახალიზი ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის გათვალისწინებით.

მურმან სუხიშვილი

ლეჩესუმური გელც მულის ეტიმოლოგიისათვის

ლეჩესუმური დიალექტის მიხედვით **გელცმული**-ი „პირუტყვის ჭირია“ (ალავიძე 1998, 143). ეს სიტყვა განიმარტება სხვა ლექსიკონშიც: **გელცმული** მგელც ც მული. პირუტყვის ავადმყოფობაა, ჭირი (ლონტი, 1984) და ამ განმარტებაში წარმოდგენილია სიტყვის ეტიმოლოგიაც: ლეჩ. გელცმული < მგელც ც მული.

ლეჩხუმურის **გელცმულს** უკავშირდება სვანურის **გელცემ** (ჩოლური კილოკავი) „ოთხფეხის ავადმყოფობაა, ცხოველთა ავი ზე, „ურჩხი“, უეცარი ციება პირუტყვისა. გადარჩენა შეიძლება ყურის გაჭრით და სისხლის გამოშვებით“ (ლიპარტელიანი 1994, 8); ის დასტურდება ლენტეხურსა (გელცემ/გელცმუ) და ლაშეურშიც (გელცემ/გელცემურ) (გაზდელიანი 2005, 99-100). გამოთქმულია მოსაზრება, რომ სვანურში **გელცემ** ლეჩხუმურიდანაა გადასული და ამ ნასესხები კომპოზიტის პირველადი მნიშვნელობა სვანურშია შემონახული: „უეცარი მოწამვლა, მოშხამვა“, რაც გველის ცემასთან, გველის კბენასთანაა დაკავშირებული; სესხების სქემა ასეთია:

ქართ. გველცემულ-ი > ლეჩხ. გელცმულ-ი > სვან. (ლშხ.) გელცემურ > (ლნტ.) გელცემუ > (ლშხ., ლნტ., ჩოლ.) გელცემ (გაზდელიანი, იქვე).

აქ ერთი რამ შეიძლება ითქვას: ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში ანლაუტის **ვა** კომპლექსის (გველ-ი და მისთ.) და, საერთოდ, უკანაენისმიერთა და ბაგისმიერი **ვ** თანხმოვნით შექმნილი კომპლექსები არ მარტივდება და, ამდენად, ლეჩხ. გელცმულ-ის ქართ. გველცემულიდან მომდინარეობა სათუო ჩანს.

სვანური **გელცემ** სიტყვის ქართულიდან ნასესხობის თვალსაზრისით საყურადღებოდ გვეჩვენება სვანურში ქართულიდან ნასესხები გველეშაპ-ფუძის ნაირგარი კილოური ფონეტიკური ვარიანტებიდან ბალსქემოურის გელპრშპ (II გურელეშაპ, გოლერშპ) ფორმა, სადაც **უ-ს** დაკარგვა დათვიქსირებული. ჩვეულებრივ, სვანურში თავდაპირველი **ვა** კომპლექსი არ მარტივდება (კვლევის ამ მიმართულებით წარმართვისათვის დამატებითი მასალა მოსაძიებელი).

თუ სვან. გელცემ < გელცემუ > გელცემურ ფონეტიკურად შეცვლილი ქართ. გველცემულია, ანლაუტში გუ კომპლექსის გამარტივებით (გუ>გ) ფუქეში მომხდარი პროგრესული დისიმლაციით (ლ-ლ > ლ - რ) და შემდგომში ბოლოკილური მარცვლის ჩამოცილებით მიღებული, მაშინ ლეჩხ. გელცმულ-ი სვან. (ლნტ.) გელცემურ ფორმის უკუნასესხობა იქნება — ფუქისეული ე-ს რედუქციით და უკვე პროგრესული ასიმილაციის შედეგად წარმოქმნილი: სვან. (ლნტ.) გელცემურ > ლეჩხ. გელცმულ. ეს საკმაოდ რთული გზაა და ასეთ მტკიცებას სათანადო არგუმენტები სჭირდება. ჩვენი აზრით, რო-

გორც ლეჩხ. გელცმულის, ასევე სვან. გელცემის მგელცემულიდან მომდინარეობის მტკიცება უფრო მართებულია როგორც ფონეტიკური, ასევე სემანტიკური თვალსაზრისით.

ფონეტიკურად სიტყვის ანლაუტში **ვ-ს** დაკარგვა ქართულის დიალექტებში ჩვეულებრივი მოვლენაა, ასეა მგელ- სიტყვაშიც: მგელი > გელი.

სემანტიკური თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ლეჩხუმურის გელცმულ-ი კონკრეტულად ნაკბენზე (მგელის, თუნდაც გველის) არ მიუთითებს და ზოგადად „პირუტყვის უეცარ ავადმყოფობას“ აღნიშნავს. ასეა სვანურშიც: გელცემ „ოთხფეხის ავადმყოფობაა, ცხოველთა ავი ზე“ (ლიპარტელიანი 1997). ა. ლიპარტელიანი გელცემს „ურჩხთანაც“ აკავშირებს (იგივე „ხმელი სისხლი“, „სისხლის გავლა“), რაც მოულოდნებელი და, ძირითადად, მაკვდინებელი დაავადება: „საქონლის მამსპობი ჭირია, მერე სისხლი თავში ოუგარდება, ურჩხიც ჭვია, ძაან მამნებელია, თუ არ უწამლე, მოგკლავს“ (ქართული დიალექტოლოგია I).

ავადმყოფობის გარეგნული ნიშნების მიხედვით, ლეჩხ. გელცმულ, სვან. გელცემთან (ასევე იმერ. ურჩხთან და ა.შ.) შინაარსობრივად იდენტური ჩანს დაავადება **მიწის მგელი:** საქონლის სენია: ერთბაშად დაეცემა საქონელს და მოკვდება. თუ მიუსწრებენ წყალს დაასხურებენ ბლომად, შეიძლება გადარჩეს (ს. მენთეშაშვილი).

რეალურად ასეთი მტაცებლის არსებობის საკითხი შეიძლება სათუო იყოს. თ. სახოკია წერს: „არსებობს **მიწის მგელი** (მითიური თუ რეალური), რომელიც მოულოდნელად ესხმის საქონელს (და ადამიანს) და ფათერაკს ატეხს თავს. ამიტომ ყოველ მოულოდნელ და უმიზეზო ფათერაკს, ჭირს მიაწერენ — რა მიწის მგელი გამოუტაო?“ ამავე მნიშვნელობით დასტურდება სხვა გამოთქმაც: რა მიწის მგელი ეცა?“ („რა უბედურება შეემთხვა?“), რაც ქართულში კომპოზიტის მგელცემულ-ი რეალურობას ამოწმებს.

დაავადება **მგელცემული**, **მიწის მგელი** ჩვენს ყოფაში დამკვიდრებული მგლის მიერ მიყენებული ზარალის შედეგად გაჩენილი შიშის ჰიპერბოლიზებული სახეა.

ლეჩხ. **გელცეულის** იდენტური საქონლის სენი მეგრულშიც აღი-
ნიშნება გერცემულ > გერცემ > გერცე ფონეტიკურად სახეცვლილი
ვარიანტებით.

მეგრულში გვერცემულიც არის დამოწმებული (ა. ქობა-
ლია), რაც ნამდვილად ქართული გველცემულის ნასესხობას წარმო-
ადგენს; ამგვარად:

მეგრ. გვერცემულ-ი < ქართ. გველცემულ-ი

მეგრ. გერცემულ-ი (გერცემ, გერცე) < ქართ. მგელცემულ-ი,
შდრ., ლეჩხ. გელცემულ.

ამ ნასესხობას ადასტურებს სესხებისას ფუქუში მომხდარი ფონე-
ტიკური პროცესი: ქართ. ლც > მეგრ. რც (გუდავა, გამყრელიძე
1981).

ვფიქრობთ, რომ ლეჩხ. **გელცემულ-ი** ეტიმოლოგიურად მგელ-
ცემულია; მეგრ. **გერცემულ** || **გერცემ** || **გერცე** და სვან. **გელცემ**
|| **გელცემუ** || **გელცემურ** ქართული მგელცემულის ნასესხობე-
ბია.

თ ე დ ო უ თ უ რ გ ა ი ძ ე

{-ენ} და {-ა} — O^{dp} აფიქსთა გრამატიკული ლირებულებისათვის დიაქტონიული ასპექტით

ქველი ქართულის პირდაპირი ობიექტი ზმნას ორი მოდელით
უკავშირდებოდა იმის მიხედვით, ობიექტი -ებ სუფიქსიან მარვლო-
ბითში იდგა თუ -ნ სუფიქსიანში. პირველ შემთხვევაში ხორციელდე-
ბოდა სიმრავლის ცალმხრივი მარკირება: ზმნის ფორმით გამოი-
ხატებოდა მხოლოდ პირი, ამ პირის სიმრავლე კი — თვით ობიექტის
მრავლობითი რიცხვის პარალიგმატული ფორმით. საერთოდ, როცა
პირდაპირი ობიექტი მიცემით ბრუნვაში იდგა, მიუხედავად ბრუნვისა
და რიცხვის ნიშნებისა (-ებ-ნ ან -თ), ქველ ქართულში იგი ყოველ-
თვის ცალმხრივ იყო მარკირებული (გხატავს მეომრებს / მეომართა,

დაგხატა მეომრები, დაგეხატა მეომრებს/მეომართა). III სერიის და-
გეხატნეს (II თურმ.) ფორმაში -ნ-ებ სუფიქსიები პრეფიქტული
ფორმის სუბიექტს გამოხატავდნენ.

მეორე მოდელი პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს ზმნის ფორმი-
თაც გამოხატავდა, თუ პირდაპირი ობიექტი -ნ სუფიქსიან მრავლო-
ბითში იდგა. ეს მოდელი მოქმედებდა მხოლოდ III სერიის მწკრივებ-
ში (დაპხატნ მეომარნი, დახატნა მეომარნი). უფრო ძველია პირვე-
ლი მოდელი.

ახალ ქართულ სამწერლობო ენაში სუბიექტის {-თ} სუფიქსი
განზოგადდა და პირდაპირი ობიექტის სიმრავლეც ყველგან ამ სუ-
ფიქსით გამოიხატება ზმნაში (გხატავთ თქვენ, დაგხატათ თქვენ, და-
გხატათ თქვენ, დაგეხატათ თქვენ). მოისპონ {-ენ} O^{dp} მოდელი და
სრულად გაფართოვდა სუბიექტის სიმრავლის {-თ} სუფიქსი ძველ
როგორც ცალმხრივ; ისე ორმხრივ მარკირებულ ურთიერთობებში,
ამას შედეგად მოჰკვა {-თ} -ს ნულოვანი ალომორფი (გხატავთ ჩვენ
თქვენ; შდრ. მე გხატავ-თ ჩვენ).

მოხსენებაში წარმოდგენილია ძველი და ახალი ქართული სათა-
ნალო პარადიგმები {-ენ} და {-თ} აფიქსთა ლირებულების დავიწ-
როება-გაფართოების ცვლილებათა ფონზე.

რ ო ს ტ ო მ ფ ო რ ე უ ლ ი ძ ე

ქართულიდან სიტყვათა სესხების ზოგი თავისებურება ქისტურში

1. ქართულიდან ნასესხები სიტყვების რაოდენობით ქისტური
გამოირჩევა ჩეჩნური ენის ყველა დიალექტისაგან. რა თქმა უნდა, ნა-
თქვამი არ ეხება ქართულიდან ძველ ნასესხობებს ჩეჩნურში. სი-
ტყვათა სესხების კანონზომიერებათა დადგენა, როგორც ცნობილია,
მსესხებელი ენის თავისებურებათა გარკვევაში გვეხმარება.

ქისტურ დიალექტში ქართულიდან სიტყვათა სესხების საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა ნახური ენების ცნობილმა მკვლევარმა დ. იმნაი-შვილმა. ამ ნაშრომით საფუძველი ჩაეყარა აღნიშნული დიალექტის მეცნიერულ შესწავლას (იხ.: იკე, ტ. XI, თბილისი, 1959). შემდგომში აღნიშნულ საკითხს იკვლევდნენ სხვა მკვლევრებიც (ი. ალიროვი, ი. არსახანოვი, ს. გუმაშვილი...). მიუხედავად ამისა, კვლევის მიღმა რჩება არაერთი საკითხი, რომელიც ქართულიდან ქისტურში სიტყვათა სესხების კანონზომიერებებს ეხება.

2. ნასესხები ლექსიკიდან ნაშრომში განხილულია -**ნ-ზე** დაბოლოებული სახელური ფუძეები (სესხებისას ქისტურში სახ. ბრუნვის ნიშანი და ბოლოკიდური ხმოვანი იკვეცება).

როგორც ირკვევა, -**ნ-ზე** დაბოლოებული ნასესხები ფუძეები ქისტურში იყოფა ორ ჯგუფად:

ქველ ნასესხობებს მოკვეცილი აქვთ აღნიშნული თანხმოვანი, რის შედეგადაც ქართული თანხმოვანფუძიანი სახელი ქისტურში ხმოვანფუძიანი ხდება. უფრო გვიანდელი ნასესხობები ამგვარ ცვლილებებს არ განიცდიან. შდრ.:

ქართული	ქისტური
ფონ-ი	ფო
გონ-ი	გო
ქონ-ი	ქო
წუნ-ი	წუ
გლან-ი	გლა...

სახელებში **უბან-ი** — უბ, **გუთან-ი** — გუოთ, **აკვან-ი** — ჲგ, **ქალამან-ი** — ქალბ (< *ქალბ < *ქალამ < *ქალამან < ქალამან-ი) და-კარგულია ხმოვანიც, რომელიც -**ნ-**ს ჩავრდნის შედეგად ქისტურში ბოლოკიდურ პოზიციაში აღმოჩნდა, ე. ი. ასეთ შემთხვევებში სესხებისას მოკვეცილია მარცვალი.

მაშასადმე, საანალიზო სიტყვებში ქისტურში მარცვალი იხსნება ერთმარცვლიანებში, ორ და მეტმარცვლიანებში **ნ-ს** ჩავარდნის შედეგად გახსნილი მარცვალი ამ ხმოვნის მოკვეცის შედეგად ისევ იხურება. ეს მოვლენა არ მოქმედებს სალ. ჩეჩნურში, სადაც ხმოვანი შენარჩუნებულია როგორც ქართულიდან, ისე სხვა ენებილან ნასესხებ

-**ნ** მოკვეცილ ფუძეებში (შდრ.: **აკვან-ი** — ჲგა, **საპონ-ი** — სპბა, **დუ-ქან-ი** — თუქა...)).

როგორც ითქვა, ახალი ნასესხობები ქისტურში მსგავს ცვლილებებს არ განიცდიან (შდრ.: **ანბან-ი** — ანბან, **მდიგან-ი** — მდიგან, **ბირსაბან-ი** — ბირსაბან...), რაც, ალბათ, განპირობებულია ქისტურზე ქართული ენის გავლენის უფრო მაღალი დონით.

3. მარცვლის გახსნის თავისებურ მოვლენასთან გვაქვს საქმე ქართულიდან ქისტურში ისეთი სახელების სესხებისას, როგორიცაა:

ქართული

იხვ-ი

ლელვ-ი

ციყვ-ი

ქისტური

იხო

ლელო

ციყო

მაგრამ უცვლელია: **ჩიყვ** (**ჩიყვი**), **ვერხვ** (**ვერხვი**), **ბრიყვ** (**ბრიყვი**), **ძარღვ** || **ფხა** (**ძარღვი**)... საინტერესოა, რომ სავარაუდო ქართულიდან ნასესხებმა **ხაზვ**- ფორმამ ჩეჩნურში მოგვცა **ხუხ**.

აღნიშნულ ფონეტიკურ მოვლენას, როგორც ჩანს, უფრო მეტი კანონზომიერი ხასიათი აქვს წიგვა-თუშურში. შდრ.:

ქართული

ცესვ-ი

ძარღვ-ი

ნესვ-ი

წოვა-თუშური

ფხსო

ძარღო

ნესხ

მაშასადამე, აუსლაუტში **ნ** ბგერის პოზიცია ჩეჩნურში სუსტია, რასაც ადასტურებს ქართულიდან ნასესხები სიტყვები ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტშიც. **ნ-ს** მოკვეცით მარცვალი იხსნება. მარცვლის გახსნის ტენდენცია ჩეჩნურში სხვა შემთხვევებშიც ვლინდება (-ავ > ჭო: წოვა-თუშ. ლავ „თოვლი“ — ჩეჩ. ლაჭო... წოვა-თუშ. **საგ** „ირე-მი“ — ჩეჩ. **სავ**).

ნათია ფონიავა

თანხმოვანთკომპლექსები აფხაზური ენის ერთმარცვლიან ზმნურ ძირებში

აფხაზური ენის ერთმარცვლიან ზმნურ ძირებში თანხმოვანთკომპლექსები რეალიზდება შემდეგ მოდელებად: **CCV, VCC, CCCVC, CVCCC, CCVC, CVCC, CCVCC, CCCV.** ამათვან ყველაზე გავრცელებულია **CCV**, ყველაზე იშვიათად რეალიზდება სამთანხმოვნიანი მიმდევრობის შემცველი ძირები.

თავკიდურ პოზიციაში წარმოდგენილი იდენტური თანხმოვანთმიმდევრობები, კერძოდ, **CCV** მოდელში რეალიზებული, მეორეული ჩანს. ისინი მიღებული უნდა იყოს **CVCV** სტრუქტურისაგან მახვილის მოქმედების შედეგად. ერთგვართონებებიანი მიმდევრობების მეორეულობაზე მიუთითებდა იყად. ქ. ლომთათიძე. აღსანიშნავია, რომ მსგავს კომპლექსებში მონაწილეობს ყველა რიგის თანხმოვანი, გარდა სონორებისა და სონანტებისა.

ლაბიალიზებული თანხმოვნები ძირითადად იდენტურ ლაბიალიზებულ ფონებთან ქმნიან კომპლექსებს (**ა-ბიშია-რა „დაბანა, რეცხვა“**). ისინი ბერათმიმდევრობებში მონაწილეობენ სხვა რიგის თანხმოვნებთანაც, მაგრამ ასეთი კომპლექსების შემცველი ძირები ან ნასესხებია (**ა-ტყია-რა „ტყვეობა“** (შდრ. ქართ. **ტყვე, ტყვეობა**), ან სახელური წარმოშობისაა (**ა-ცოგა-ხა-რა „გაცუდება, უვარგისობა“**).

ლაბიალიზებული ფონებისაგან განსხვავებით, პალატალიზებული თანხმოვნები კომპლექსთა შექმნის მეტ შესაძლებლობას ავლენენ. ისინი იდენტურ ფონებთან ქმნიან კომპლექსს (**ა-ჟი-ლ-ლ-ა-რა „მოფეხვა“**), ასევე მონაწილეობენ კომპლექსებში სხვა რიგის თანხმოვნებთანაც ნასესხებ (**ა-ცქა-რა „სისუფთავე, სიწმინდე“** (შდრ. ქართ. **ცქრიალა**) და საკუთრივ აფხაზურ ძირებშიც. ზოგი მათგანი სახელურია. პალატალიზებული ფონები რეალიზდებიან კომპლექსის პირველ და მეორე წევრადაც.

ინტენსიური თანხმოვნები იდენტურ ფონებთანაც ქმნიან კომპლექსებს და არაიდენტურთანაც. უფრო გავრცელებული არიან კომპლექსის მეორე წევრად. ისინი პირველ კომპონენტად გვხვდებიან მხოლოდ ნასესხებ ძირებში (**ა-რ-ჟაპ-რა „მოწამლვა“**).

აფხაზურში საკმაოდ პროდუქტიული ჩანს ხშულთა მომდევნოდ სისინა და შიშინა სპირანტები (**ბზ, ბჟ, ფს, ფშ, ფშა, ფხ, ფხა, ბღ**...). მათ აყად. ქ. ლომთათიძე პირვანდელ კომპლექსებს უწოდებს. ისინი ქმნიან აღმავალი ღიაობის კომპლექსებს.

ერთმარცვლიან ძირებში შეიმჩნევა დამავალი ღიაობის კომპლექსებიც (**სკა, სყა**), მაგრამ უფრო ბუნებრივი აფხაზურისთვის აღმავალი ღიაობი ჩანს.

ბოლოკიდურ პოზიციაში დასტურდება ნ, ლ, მ სონორებით დაწყებული ბერათმიმდევრობები: **ნტ (ა-ბუნტ-რა „აჯანყება, აბუნტება“** ← რუს. **бунт**), **მპ (ა-ჟატებ-რა „შტამპის დასმა“** ← რუს. **штампი**), **ლტ (ა-ჩალტ-რა „ფარცხვა“** ← ქართ. **ჩელტ-ი**), **ნდ (ა-ხანდ-ჟ-რა „შრომა, გარჯა“** ← მეგრ. **ხანდა**), ამ კომპლექსების შემცველი ყველა ძირი ნასესხებია.

აფხაზურში ქართულისთვის დამახასიათებელი რამდენიმე ჰარმონიული კომპლექსიც დასტურდება: **ჭყა (ა-ჭყა-რა „დაჩემება, დაუინება, შფოთვა, ბორგვა“** (შდრ. მეგრ. ჭყიალჭყიათი „ჭყივილი“), **წყ (ა-წყ-ა-რა „მუცლის მოშლა, გადაღლა“** (შდრ. მეგრ. რწყიალალ რწყია „რწყევა, გულის რევა“), **ტყი (ა-ტყია-რა „ტყვეობა“**). ეს კომპლექსები მხოლოდ ქართველური წარმოშობის ძირებში რეალიზდება, გარდა **ბყ-სი (ა-ბყა-რა „ცცმა“)**. ამ უკანასკნელის ამოსავლად ქ. ლომთათიძეს მიაჩნია **ბყ (ბყა-რა)**, რომელიც აბაზურმა შეინახა.

ქართულისთვის დამახასიათებელი აქცესიური კომპლექსებიდან აფხაზურში გამოვლინდა: **ბგ, ცქ, წკი, ჩახი.**

ხშულთა და სპირანტთა მომდევნოდ წარმოდგენილია **ლ** სონორიც (**ა-კტ-დ-შეხლ-აა-რა „გათხუბვნა“**), მაგრამ ამ ძირთა წარმომავლობაზე დაბეჭითებით რამის თქმა რთულია. ასეთი კომპლექსების პირვანდელობას ეჭვევეშ აყენებს აკად. ქ. ლომთათიძე.

ერთმარცვლიან ძირებში რეალიზებულია სამწევრა თანხმოვან-თმიმდევრობებიც, მაგრამ ისინი ნასახელარია («**ბზა-ხა-რა „გაკარგება“**»). სონორის შემცველი სამწევრა კომპლექსები კი ნასესხებია («**ჯერ-ხა-რა „ინჟინრად გახდომა“** ← რუს. ინჟინერი»).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, აფხაზურს ისტორიულად არ ახასიათებდა თანხმოვანთა მიჯრა, მაგრამ ზმნურ ძირებშიც კი, სადაც ყველაზე მეტადაა შენახული ამოსავალი ვითარება, საქამაო მრავალფეროვანი კომპლექსია რეალიზებული. ამის მიზეზი უნდა იყოს ენაში დამკაიდრებული ნასესხები და დროთა განმავლობაში საკუთრივ აფხაზურ ძირებში მომხდარი ცვლილებები.

ნათელი ქუთელი

მეგრულისა და ლაზურის ურთიერთმიმართებისათვის

საენათმეცნიერო სივრცეში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ყოველგარი მეცნიერული და ლოგიკური დასაბუთების გარეშე მეგრული და ლაზური დამოუკიდებელ ენებად გამოცხადდა.

დღეს მე არაფერს ახალს არ ვიტყვი, უბრალოდ ერთხელ კიდევ მინდა შევახსენო საზოგადეობას და, კერძოდ, საენათმეცნიერო საზოგადოებასაც იმ ლინგვისტური კვლევის შედეგების შესახებ, რომლებსაც აწარმოებდნენ ბოლო წლების განმავლობაში, ერთი მხრივ, პროფ. ტ. გუდავა და აკად. თ. გამყრელიძე მეგრულის მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, თქვენი მონა-მორჩილი ლაზური ფონოლოგიური სტრუქტურის დადგენის თვალსაზრისით.

ჯერ კიდევ 1936 წელს აკად. არნ. ჩიქობავაშ თავის შრომაში „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“ მკაფიოდ ჩიმოაყალიბა თავისი კონცეფცია ლაზურ-მეგრული ენობრივი ერთიანობის შესახებ: „ჭანურის ფონეტიკური სისტემის მიმოხილვა, ბრუნებისა და უღვლილების ანალიზი, წინადადების სინტაქტური კონსტრუქციის გათვალისწინება — მეგრულთან შედარებით — ცხადჰყოფს, რომ არ არც ერთი

ფონეტიკური დებულება, მორფოლოგიური თუ სინტაქსური კატეგორია, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდეს ჭანური დავუპირისპიროთ მეგრულს, როგორც ორი თავისთავადი ენა.

შემდგომი განვითარება ამ იდეამ ჰპოვა აკად. თ. გამყრელიძის და პროფ. გ. მაჭავარიანის შრომაში „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში (1965 წ.). წარმოადგენენ რა საერთო ქართველური ენის დიფერენციაციასა და ქართველურ დიალექტთა ურთიერთმიმართების დიაგრამას, მიზანშეწონილად მიიჩნევენ **კომპარატივისტული თვალსაზრისით ირელევანტურად ჩავთვალოთ მათ შორის არსებული სხვაობები, განაიდან „მეგრული და ჭანური (resp. ლაზური) მათი დამოუკიდებელი ეკოლუციის პერიოდშიც დად მატერიალურ და სტრუქტურულ ხიახლოვეს ინარჩუნებენ...“.**

1981 წელს გამოქვეყნდა ტ. გუდავასა და თ. გამყრელიძის შრომა „თანხმოვანთ კომპლექსები მეგრულში“, სადაც პირველად იქნა წარმოჩენილი მეგრული კონსონანტური სინტაგმატიკის წესები და მათი მოქმედების შედეგები ენობრივი იერარქიის ფონოლოგიურ და მორფოლოგიურ დონეზე.

1986 წელს ჩემს მიერ წარმოდგნილ შრომაში „ლაზურის ფონემატური სტრუქტურა“ — განხილული იყო ფონემათა ინვენტარი და მათი პარადიგმატური და სინტაგმატური მიმართებანი. სხვადასხვა სიდიდის ვკუალურ და კონსონანტურ სინტაგმათა გარდაქმნები და ფონოლოგიკის წესები, რაც საშუალებას გვაძლევს შევადაროთ მეგრულ და ლაზურ ფონემათა სინტაგმატიკის სტრუქტურულ კანონზომიერებათა შედეგები.

ნებისმიერი ენა ვითარდება ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენციების ზეგავლენით: დიფერენციისა და უნიფიციირების. უნიფიციირების პროცესს განიცდის როგორც ერთიანი საზოგადო ენა, რომელიც მოქმედების გარკვეულ სივრცეში და ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, ასევე მისგან უკვე დიფერენცირებული ენობრივი ერთეული, რომელიც უნიფიცირდება თავის თავში.

ივ. ჭავახიშვილის ვარაუდით, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ლაზ-მეგრულებს ჯერ კიდევ ჰქონდათ შენაჩიუნებული ტერიტორიული მთლიანობა. შემდეგ ერთ-ერთი ქართველ ტომთაგანი შეიჭრა შიგ შეუა გულში, რასაც მოჰყვა მეგრულებისა და ლაზების დაცილება და

ერთიანი ენობრივი სივრცის გათიშვა. ლაზურის შემდგომ დიფერენციაციას ხელი შეუწყო არა მარტო გათიშვამ, არამედ თურქ-ისმალთა გაბატონებამ წინა აზიაში. კომუნიკაცია მეგრულსა და ლაზურს შორის უკიდურესად გართულდა და მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან სრულად შეწყდა.

ლაზებმა შეინარჩუნეს ტერიტორიული და ეთნიკური მთლიანობა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ენა. მიუხედავად ისტორიული გზების სხვადასხვაობისა, ლაზურისა და მეგრულის ფონოლოგიური სტრუქტურის მოდელი იდენტურია: პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებანი, ძირეული მორფების სტრუქტურა და ფონოტაქტიკა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ლაზურმა ვოკალურმა სისტემამ განიცადა ტრანსფორმაცია.

ენა, რომლებდაც ლაპარაკობენ, განიცდის ენობრივი სისტემის უწყვეტ ტრანსფორმაციას დროში. ლაზურმაც განიცადა ცვლილებები და დღეს ეს ცვლილება აისახა ენობრივი იერარქიის ისეთი მყარ და გამძლე დონეზე, როგორიცაა ფონოლოგიური სისტემა. ფაქტია, რომ გამოიყოფა ახალი, მეორეული წარმოშობის ვოკალური სინტაგმები რეალურად არსებულ სტრუქტურებში, რაც უცხოა როგორც მეგრულისთვის, ისე ქართულისთვის.

„ყოველი ხალხი ხალხია, თუ აქვს ეროვნული კულტურა, ისე როგორც საკუთარი ენა“. მე-18 საუკუნის ცნობილი გერმანელი განმანათლებლის იოჰან გოტფრიდ ფონ ჰერდერის ამ გამონათქვამს თანამედროვე სოციალურ ანთროპოლოგიაში მომუშავე ზოგი ევროპელი მეცნიერი პოლიტიკური მიზნით იყენებს და აცხადებს: „ჩრდილო აღმოსავლეთ თურქეთში მცხოვრები ლაზები აშკარად გამოკვეთილ ცალკე ლინგვისტურ კატეგორიას მიეკუთვნებიან, ამის საფუძველზე ისინი შეიძლება ცალკე ეთნიკურ კატეგორიად ჩამოყალიბებულიყვნენ“. ამ მოსაზრების ავტორი უფრო შორს მიდის და ქართველებს უპირისპირებს მეგრულებსა და ლაზებს და სხვადასხვა ენთიკურ ჯგუფად წარმოაჩენს მათ. ტერიტორიული დიალექტი ენაა, რამდენადაც საკომუნიკაციო ფუნქციის მატარებელია სხვადასხვა სიდიდის სოციურში, მაგრამ ეთნიკური იდენტიფიკაციის საფუძვლად ეს არ გამოდგება.

ქართველთა ტომების ენობრივ არეალს კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით უნდა მიგუდგეთ, ვინაიდან ის მოითხოვს გეოგრაფიულ-პოლიტიკური და ეთნიკური ნომენკლატურის შესწავლას „დიდი კომნინების იმპერიაში“ (resp. ტრაპიზონის იმპერიაში), სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი არაბი, სპარსი, თურქი ქრონისტების აღწერილობით, „ლაზები, ჭანები და სხვა ქართველური ტომები არიან“. ასებული ენობრივი სიტუაციის არააღეკვატური ინტერპრეტაცია ხელს შეუშლის სწორად განისაზღვროს ქართველურ ენა-კილოთა განვითარების გზები და ინტერფერენციის პროცესის დინამიკა, რაც თავის მხრივ შეაფერებს ქართველურ ენა-კილოთა ისტორიული განვითარების შინაგანი კანონების მოქმედებათა სწორ სოციო-ლინგვისტურ კვალიფიკაციას.

საგულისხმოა, რომ XIII-XV საუკუნეების მუსლიმი ქრონისტები ტრაპიზონის იმპერიის მოსახლეობას ბერძნებს არ უწოდებენ და არც რომაელებს (al-zūm, zumī). სპარსულ და არაბულ ქრონისტებიში ტრაპიზონი ჭანთა ქვეყანაა, ხოლო ტრაპიზონის ბასილიევსები სპარსულ წყაროში მოხსენიებული არიან — malik jānīt „მეფე ჭანთა“. ამასვე უკავშირდება ჭანთა დიდი ფეოდალური საგვარეულოს პატრონიმი „ჭანიხიტები“, „ჭანიხიტები“.

თი ნათინ ღვინაძე

იხვ გულექართლის შესახებ

„ქუთაისური საუბრების“ IV სიმპოზიუმზე (1997 წლის 2-4 მაისი), რომლის ძირითადი თემა იყო ადამიანთა ურთიერთობები (ეთნოსი, ერი, ტომი, თემი, გვარი) — ლინგვისტური, ეთნოლოგიური, ფოლკლორული ასპექტებით, პლენარულ სხდომაზე (2.V) მქონდა მოხსენება „რას ნიშნავს გულექართლი“. ივი აქამდე არ არის გამოქვეყნებული. გავლილმა დრომ განაპირობა ამ საკითხზე კვლავ საუბრის საჭიროება.

ქეგლ-ის || ტომის წინა გამოცემაში (1951 წ., რედ. გ. წერეთელი) ჩემთვის საინტერესო რთული სიტყვა დამოწმებული იყო ერთადერთი ილუსტრაციით გ. ლეონიძის პოემიდან („მამა გულქართლი კაცია, სძლუს პურაძვირის ქაჯობა“). ამ ილუსტრაციის მიხედვით, ეპითეტი **გულქართლი** უპირისიპირდება **პურაძვირის ქაჯობას** და, ბუნებრივია, მის ძირითად მნიშვნელობად ნაჩვენებია **გულუხვითი**, **პურადი**. წერტილ-მძიმის შემდეგ კი დამატებულია: **გულკეთილი**, **გულმართალი**, **წრფელი**. ეს სიტყვა სხვა ლექსიკოლოგებთანაც ძირითადად **გულუხვის**, **პურადის**, **გამეტებლის** მნიშვნელობით არის განმარტებული (ა. შანიძე, ალ. ღლონწი, თ. რაზიკაშვილი, ალ. ნეიმანი...). სტეფანე მენთეშაშვილს „ქიზიურ ლექსიკონში“ (1943 წ.) იგი ილუსტრაციის გარეშე აქვს დამოწმებული ასეთი განმარტებით: **მართალი**, **წრფელი გულის**, **გულკეთილი** ადამიანი.

გასული საუკუნის 90-იანი წლებისთვის ლექსიკოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის მ. მესხიშვილის მიერ შედგენილ **ქეგლ-ის** დამატებითი ტომის მასალაში აღმოჩნდა **გულქართლის** გამოყენების რამდენიმე შემთხვევა სხვადასხვა ავტორთან (გ. ლეონიძე „ნატვრის ხე“, ლ. გოთუა, თ. ბიბილური, მ. კახიძე, ნ. წულეისკირი, ნ. ჯალალონია, ე. ქურდიანი...). საკმაოდ მრავალფეროვანი, საინტერესო ილუსტრაციების მიხედვით ნათელი გახდა ამ ეპითეტით **გულუხვითი**, **პურადი**, **გამეტებელი**, **გულკეთილი**, **გულმართალი**, **წრფელი** ადამიანის გარდა **გულმტკიცე**, **გულმამაცი** ადამიანის აღნიშვნის შესაძლებლობაც. აღმოჩნდა, რომ მან თანდათანობით გაიფართოვა მნიშვნელობაც, გამოყენების არეალიც და ქართულ სალიტერატურო ენაში დამკიდრდა.

ქეგლ-ის მეორე ტომის ახალ (2010 წ.) გამოცემაში **გულქართლი** დადასტურებულია (როგორც მოსალოდნელი იყო) მეტი ილუსტრაციით (გ. ლეონიძის გარდა გ. ხორგუაშვილისა და ე. ქურდიანის ილუსტრაციებით), ზმინისართის ფორმითაც, **გულქართლად** (= გულმართლად, წრფელად) მ. კახიძის ილუსტრაციით. ცალკე ერთეულადაა **გულქართლობა**, როგორც **გულუხვობა**, **გულკეთილობა**, **გულმართლობა** (თ. ბიბილურისა და მ. ელიოზიშვილის ილუსტრაციებით). ნათლად გამოჩნდა **გულქართლი** სიტყვის უფრო ხშირად გამოყენებისა და მისი მნიშვნელობის გაფართოებით მოხმარების ტენდენციაც.

აკად. არნ. ჩიქობავს დიდი ხნის წინ მიუქცევია ყურადღება ამ კომპოზიტის პირველი კომპონენტისათვის რთულ სიტყვებში მისი ხშირად ხმარებულობის გამო არა მარტო ქართულში, არამედ მთელ ქართველურ ენებში წმინდა ენობრივის გარდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც (1938 წ.). ქართულში ხომ **გულ** ფუძე (**ქეგლ-ის** მიხედვით) 150-ზე მეტი რთულ სიტყვასა და გამოთქმაში მონაწილეობს. ბ-ნი არნოლდი შენიშვნას: „ამ სიტყვებისა და გამოთქმების შინაარსის მიხედვით ცხადია, რომ **გულ**-ი წარმოდგენილია აზროვნებითი პროცესების ცენტრად, გრძნობების წყაროდ, ტემპერამენტ-ხასიათის განმსაზღვრელად და ორგანული შეგრძნებების ამთვისებლად. ამდენად მას ეკისრება ტვინის, გულის, კუჭისა და, ნაწილობრივ, პერიფერიული ნერვული სისტემის მაგივრობა გასწიოს — სიცოცხლის მატარებელი გულია! ჩანს ძველი ადამიანის ყურადღება ადრე მიიპყრო ამ ორგანომ, რომლის საქმიანობა ასე მნიშვნელოვანიც იყო და თვალსაჩინოც“ (გვ. 66).

გულ- სიტყვის განსაკუთრებული სემანტიკურ-ფსიქოლოგიური დატვირთულობის შესახებ აღნიშნული ჰქონდა შ. ნუცუბიძეს (1937 წ.); შემდგომში ეს თვალსაზრისი გაზიარებულია ფსიქოლოგ ა. ფრანგიშვილის მიერ (1945 წ.) და დიმ. უზანაძის განწყობის თეორიის მიხედვით უამრავი ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა: „პიროვნების ფსიქოლოგიური თვისებები, პიროვნების არსიც, მისი ინდივიდუალურობაც ქართულში **გულ** სიტყვის მნიშვნელობასთან კავშირში გამოითქმის“ (გვ. 475). **გულ-**ს უკავშირდება ემოციური განცდის **სიწრფელე**, **ნამდვილობა**, **სიღრმე**, **სანიერობა**..., ე. ი. პიროვნების მთელი შინაგანი სამყარო.

კომპოზიტის მეორე კომპონენტი **ქართლი** ცალკე ძველი ქართულის მიხედვით მოიაზრება „ფრიადი ქვეყნის“ მნიშვნელობით (გიორგი მერჩულე). ამასვე მოწმობენ გამოთქმები: **მოქცევად ქართლისად**, **ქართლის ცხოვრება**, **მატიანე ქართლისად**, **ქართლის ჭირი**... სპეციალურ ლიტერატურაში ეს საკითხი დამაჯერებლად არის შესწავლილი (ს. განაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქშვილი, დ. მუსხელიშვილი...). თანამედროვე ქართულის მიხედვით კი **ქართლი** ძირითადი მნიშვნელობით არის „1. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, მისი შუა ნაწილი და 2. ძვ. მთელი საქართველო“ (**ქეგლ**, VII ტ., სვ. 263).

ჩვენთვის საინტერესო კომპოზიტის მეორე ნაწილად ვერ ვივარა-უდებთ ამ სიტყვას ვერც ერთი ამ მნიშვნელობით. **გულქართლ**-ში **ქართლი** არ უნდა ნიშნავდეს არც საქართველოს ერთ-ერთ კუთხეს (როგორც უფიქრია თელო სახოკიას, 1979 წ., გვ. 120) და არც მთლიან საქართველოს, ვინაიდან ეს ეპითეტი პიროვნების ფსიქოლო-გიური თვისებების გამომხატველია და გეოგრაფიული სახელი ასეთი დანიშნულებით ვერ გამოდგებოდა. უფრო სარწმუნო და ფონეტიკუ-რადაც სავსებით შესაძლებელია ამ კომპოზიტში მეორე კომპონენტად ვივარაუდოთ წარმომავლობის სახელი: **ქართლი** ← **ქართვლი** ← **ქართველი** ← **ქართუელი**. ასეთ შესაძლებლობას დასაშვებად მიიჩნევს ს. ჯანაშია (1952 წ.). წარმომავლობის სახელის შეკუმშული ვა-რიანტი უნდა იყოს ილიასთან „**ქართვლის დედა**“. ამ ვარაუდის სა-სარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ (ა. ჭინჭარაულისა და ა. არაბულის ცნობით) ხევსურულში **გულქართლის** მნიშვნელობით იხ-მარება გამოთქმა **ქართლი კაცი** (= ხელგაშლილი, გულკეთილი, პუ-რადი, სტუმართმოყვარე (ა. ჭინჭარ., 2005).

ამდენად, **გულქართლი** საზღვრულ-მსაზღვრელის ნაერთია. უნდა მომდინარეობდეს ფორმიდან **გულქართველი**. ეს რთული სიტყვა ყოველთვის ადამიანის პიროვნული ღირსებების აღმნიშვნელია. მასში დახასიათებულია ქართველი პიროვნულ-ფსიქოლოგიური დადებითი თვისებებით: **გულუხვი, ბურადი, გულალალი, მოყვასისათვის გაჭირ-ვებისას ხელის გამწოდებელი, გულწრფელი, გულკეთილი...** ახლად გამოვლენილი შესიტყვებები: **გულქართლად მითხა, გულქართლი მხედარი, გულქართლობა გვმართებს** და მისთანები გვაფიქრებინებს, რომ ეპითეტი **გულქართლი** აღნიშნავს **გულლია, გულმედგარ, მა-მაც, გამბედავ, ერთგულ, ბირდაპირ** ადამიანსაც. ეს კომპოზიტი არ უნდა იყოს მე-19 საუკუნეზე ადრინდელი და მისი შექმნა განპირობე-ბული უნდა იყოს ამ პერიოდის ისტორიული ვითარებით, კერძოდ, ეროვნული და ეთნოკულტურული მდგომარეობით.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ეპითეტი **გულქართლი** სავსე-ბით შეესაბამება აკად. არნოლდ ჩიქობავას და ვარლამ თოფურიას — როგორც **პიროვნებებს, მოქალაქეებს, მეცნიერებს**. მათი კოლეგები-სა და მოწაფეების მოგონებები ამას უდავოდ ადასტურებს.

მედეო ღლონტი

სულის ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანი ქართულში

სულ-ის ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეს შეადგენს ქართული **სულ**-ი და მისგან წარმოებული 300-მდე ლექსიკური ერთეული, რომ-ლის 80% კომპოზიტებია.

კვლევა სამი საანალიზო მიმართულებით ხორციელდება.

1) ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი:

ა) **სულ**-ის ლექსიკური მარაგი შემდეგი მაგისტრალური სემან-ტიკური მიმართულებით გადანაწილდა:

I. „**ყველივე ზეციური, უხილავი**“ (ძვ. ქართ. **სული**, სამშვინველი; ანგელოზი; ქარი, ჰაერი“, **სული წმიდა**, „სამების ერთ-ერთი ჰიპოსტასი“ და სხვა);

II. „**სუნი, სულნელი / ყროლა**“ (ძვ. ქართ. **სული** „სუნი“, ძვ. ქართ. **სულოვა** „ყროლა“ და სხვა);

III. „**სუნთქვა**“ (ძვ. ქართ. **სულ-თქუმა, სულის-თქმა**, „სუნთქვა“, ძვ. ქართ. **სულის-კუეთა**, „ყკანასკნელი ამოსუნთქვა“, ძვ. ქართ. **სულშეუქცეველად, უსუნთქებლივი**, „ამოუსუნთქავად, შეუსვენებ-ლად“, **სასულე** „სასუნთქი (მილი)“ და სხვა);

IV. „**არსებობა, სიცოცხლე, ცოცხალი არსება**“ (ძვ. ქართ. **სუ-ლი** „ადამიანი; სიცოცხლე“; **სულიერი** „ცოცხალი(არსება); კაცი; სუ-ლის მქონე“; ძვ. ქართ. **სულდგმული** „ქმილება; სულიერი; ვისაც ან რასაც სული უდგას; მოცოცხლებული“ და სხვა);

V. „**სიკვდილი, სულის ამოსვლა**“ (ძვ. ქართ. **სულის/სულთა აღმოსლვა**, „სიკვდილი“, ძვ. ქართ. **სულის მიღება**, „მოკვლა“, ძვ. ქართ. **სულთა მკდელი** „მკვლელი“, **სულთმობრძავი**, „სიკვდილის პირას მყო-ფი“, ხევს. **სულმოსული** „სულის ამოსვლაში მყოფი“, კახ., ფშ. **უსულა-დო** „უდანოდ, უსისხლოდ მკვდარი (საქონელი, ფრინველი)“ და სხვა).

VI. „**საკულტო**“ (ხევს. **სულის პეპელა**, „საქოს მოვლენილი მი-ცვალებულთა სული“, მოხ. **სულდგმული** „ხატისთვის შესაწირი ხარი ან მოზვერი“ და სხვა);

VII. „ხმა / დუმილი“ (ძვ. ქართ. **სულლება**, „უხმოობა, სიჩუმე“, **სულგანაბული** „გაჩუმებული“, ხევს. **სულე!** „სუ, გაჩუმდი!“ და სხვა);

VIII. „წევგლა-ლოცვა, ფიცილი, ლანძღა, კნინობით-ალერსობითი“ (ჩემმა **სულმა** „ჩემმა სიცოცხლემ“, **შენმა** **სულმა** **იხაროს**; **სულყრული**, **სულაყეფბული**, **სულიკო**, **სულე** და სხვა);

IX. „თვისება-რაგარობა“ (ძვ. ქართ. **სულშეზავებული** „სულიწმიდით შეზავებული, ღვთაებრივი“, ძვ. ქართ. **სულთმოუარე** „მოყვარული“, ძვ. ქართ. **სულპუებული** „ცოცხალ-მკვდარი“, ძვ. ქართ. **სულშემოსული** „აგსულიანი“, **უსული** „ლამაზი, მოხდენილი, შნოლიანი“, **სულწაწყმედილი** „ავი, ბოროტი“ და სხვა);

X. „ფაუნა და ფლორა“ (ფშ. **სულლები** „ზღაპრული ფრინველი“, იმერ., რაჭ., ლეჩ. **უსულო** „ადამიანის პარაზიტი ჭია, სოლიტერი; ჭიანჭველა, ჭია“, **სულიანი** **მსხალი** „საზაფხულო მსხლის ჯიში“, და სხვა).

როგორც ვხედავთ, **სულ**-ის ათ მაგისტრალურ სემანტიკურ მიმართულებათაგან ცხრა „უხილავობის ან აბსტრაქტულობის“ სემანტიკით ერთიანდება, ხოლო მეათე ცალკე მდგომად რჩება.

ბ) განისაზღვრა **სულ**-ის ლექსიკური მარაგის სემანტიკური ველები.

გ) დადგინდა, რომ **სულ**-ის ლექსიკური მარაგის პოლისემიურობა შედარებით მაღალი იყო ძველ ქართულში. **სულ**-ის ათეულამდე სემანტიკური ველი დღემდე ლექსიკურ-სემანტიკური გადმონაშთის სახითაც შემორჩენილი (მაგ.: „ჰაერი“, „ქარი“ და სხვა).

სულ-ის ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში მაღალი პოლისემიურობით გამოირჩევა საჯუთრივ **სულ**-ი — 30-მდე სემანტიკური ველით, შედრ.: „სული“, „სულიწმიდა“, „სული ბოროტი“, „სამშვინველი“, „სუნთქვა“, „სიცოცხლე“, „ცხოვრება“, „ჰაერი“, „ქარი“, „სუნი“, „სურნელი, სურნელება“, „ცოცხალი არსება“, „გონგბა“, „ქმილება“, „ადამიანი“, „კაცი“, „გვამი“, „უსხეულო“, „სულიერი“, „სულადობრივი“, ერთი სული“, „ვინმე“, „პირი“, „თავი“, „თავისთავი“, „ხმა“, „დუმილი, მდუმარება“, „სინდისი“.

2) **სულ**-ის ეტიმოლოგიური ინფორმაცია და სემანტიკური განვითარების საფეხურები:

ქართ. **სულ** — „სუნის გამოცემა, სუნვა“; „სული, სამშვინველი, სუნი“; „ქარი“;

მეგრ.-ჭან., ლაზ. **შურ** — „სუნის გამოცემა, სუნვა“ < **შურ**-ი „სული,

სუნი“ (არნ. ჩიქობავა); „სული, სუნი“; „სული“; **შურუ-ა // ო-შურუ-** „სუნთქვა“;

სვან. **შურ-**, **ლი-შურ-იელ** „ამოოხვრა“, შდრ.: ს.-ქართვ. ***სუენ-** „დასვენება“ — ქართ. **სუენ-** „დასვენება“, ზან. **შვან-** „ამოოხვრა“, სვან. **შუემ- < *შუენ-** „დასვენება“ (მ. ჩუხუა).

X საუკუნეებდე „სუნის“ მნიშვნელობას მხოლოდ ქართ. **სული** შეიცავდა. ქართ. **სუნ**-ი მნიშვნელობით „სუნი“ პირველად შატბერდის კრებულშია დადასტურებული.

ქართ. **სუნ** — მიჩნეულია ქართ. **სულ**-ის ალტერნატად (მ. ქურდიანი), რომლის დროსაც უთითებენ ქართველურ ენებში არსებულ ალტერნაციაზე — ზმნური ნ-/სახელური **ლ-** (ა. არაბული).

ქართ. **სულ**-ის კანონზომიერი შესატყვისად მეგრ.-ჭან. **შურ**-ი. ვარაუდობენ, რომ მეგრ.-ჭან. **შურ**-ის შესატყვისა უნდა იყოს სვან. **შურ**-(***შულ**), შდრ. სვან. **ლი-შული-ი** „ქოშინი“ (ფენრიხი-სარჯველაძე).

აღდგენილია საერთოქართველური:

***სულ** „სული, სუნი“ (გ. კლიმოვი);

***სურ**-, რომლილანაც მომდინარეობს: ქართ. **სულ**-, **სუნ**-, ზან. **შურ**-, **შუნ**-, სვან. **ქუნ**-, **ქუინ** (%. ჭუმბურიძე);

***ბ1** „სული“ (მ. ქურდიანი).

3) მოხმობილია **სულ**-თან დაკავშირებული საღვთისმეტყველო მასალა ეკლესიის წმიდა მამათა თარგმანებაზე დაყრდნობით.

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი

ფრაზეოლოგიზმი, როგორც სიტყვის განმარტების ერთ-ერთი საშუალება სულხან-საბას „სიტყვის კონაში“

1. სალექსიკონო ერთეულების განმარტებისას სულხან-საბა, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებს ანალიზურ წარმოებას, მაგალითად: „უბორჯლა“ — „ნიშნის დადება“. იქ, სადაც მოსალოდნელი იყო მყარი ფრაზეოლოგიური შესიტყვება, საბა მას აღწერითი

წარმოებით ცვლის მაინც: „შეშინება“ — „შიშის მიცემა“ და არა „შიშის დაცემა“.

2. როცა საქმე გვაქვს პოლისემია-ომონიმიასთან, სულხან-საბა სალექსიკონი ერთეულის სწორედ ძირეულ მნიშვნელობას ანიჭებს უპირატესობას, და შესაბამისად მას ანალიზური ფორმით განმარტავს: „შურის-გება“ ნიშანავს „შურის მიცემას“ და არა „შურის ძებას“. ანალიზურ ფორმათა უპირატესობა ხშირ შემთხვევაში განაპირობებს ამგვარი წარმოების ხელოვნურობასაც, რაც აშკარად თვალში საცემია: „ელიორსა“ — „დირსი მიეცა“ და არა „დირსი გახდა“.

3. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მაინც გვხვდება მიცემა/დაცემა ზმნასთან დაკავშირებული ისეთი ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი, რომელთა სალექსიკონი ერთეულიც მარტივი ნასახელარი ზმნაა:

„ეფიცა“ ანუ „ფიცი მისცა“

„შეეშინა“ ანუ „შიში დაეცა“

როგორც წესი, ამ ტაპის შესიტყვებებში სახელად ნაწილად აქსტრაქტული სახელები გამოდიან:

„ეოცა“ — „ოცნებას მიეცა“

„დააბრალა“ — „ბრალი მას დასდგა“

აბსტრაქტული სახელის გვერდით შეგვხვდა კონკრეტული სახელიც: „შეფერგა“ ანუ „ფერი მიეცა“.

შემავალ ნაწილაკთა გავრცელების არე და მნიშვნელობა მრავალ-ფეროვანი და სხვადასხვაგვარია სვანურის დიალექტების მიხედვით.

სვანურის ნაწილაკთა ჯგუფები და წარმომავლობა არაერთგზის იქნა განხილული, თუმცა, როგორც ვ. თოფურია შენიშნავს, „ზოგის მნიშვნელობა ნათელი არაა: ღენ, ენგი, გომნი, მირ, ჭურ...“.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი გინ ნაწილაკის შესახებ, რომელიც საკმაოდ ხშირად დასტურდება სვანურ მეტყველებაში, კერძოდ, ლაშეურსა და ჩილურულში.

გინ ნაწილაკი შეიძლება მივაკუთვნოთ ემოციურ-გამომსახველობითი (ექსპრესიული) იერის გამომხატველ ნაწილაკთა ჯგუფს, ვინაიდან მეტ ექსპრესიულობას მატებს მთელ წინადადებას და სარკაზმით გახაზავს ზმნა-შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას.

გინ ნაწილაკის ადგილი წინადადებაში არ არის მყარი, შეიძლება წინ უსწრებდეს სიტყვას ან მოსდევდეს მას.

რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი უშუალოდ ზმნა-შემასმენლის მიერ გამოხატულ მოქმედებას ანიჭებს გარკვეულ ნიუანსს (კერძოდ, სარკაზმის, დაცინვას უსვამს ხას), თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს ხელს არ უშლის წინადადების ნებისმიერ წევრს დაერთოს:

უ'ენთიშე ლაგუანთე ლექტურდ წგრნიალ გინ (ლშხ.) „წითლები აირჩია გასვენებაში ჩასაცმელად“.

ბოფშემ გინ ხურდა ლახტის ქაღალთი თეთრი მაგიორ (ლშხ.) „ბავშვია ხურდა დაუბრუნა ქაღალდის ფულის მაგიერ“.

ხატულდა დედეს ლგმწრად გინ (ჩოლ.) „ეძახდა დედას გამწარებული“.

გინ ნაწილაკი შეიძლება წინ უსწრებდეს შემასმენელს, მოსდევდეს ან თიშავდეს ზმნა-შემასმენელსა და ზმნისწინს ერთმანეთისგან:

კაბარ გინ ოხყიდა ლეზობრნა მგქაფ (ლშხ.) „კაბები უყიდია საჭმელების მაგიერ“.

ლგრდა გინ შტაშტატარილ ლაგურიელთე (ჩოლ.) „მიდიოდა მარტოდმარტო საწანწალოდ“.

ჩუ გინ ოხტისა მართენ (ლშხ.) „ჩამოუწევია ტოტი“.

მოხსენებაში განხილული იქნება **გინ** ნაწილაკის ადგილი რთულ წინადადებაში და სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსები.

ნატო შაგრეშიანი

გინ ნაწილაკისათვის სვანურში

სვანური, ისევე როგორც სხვა ქართველური ენები, საკმაოდ მდიდარია ნაწილაკებითა და მათგან ნაწარმოები სიტყვებით. სვანურში ნაწილაკთა სიმრავლეს დიალექტური ნაირსახეობებიც განაპირობებს.

გამოიყოფა ნაწილაკთა გარკვეული ჯგუფები, ხოლო ამ ჯგუფებში

ეთერ შენგელია

მეგრული შური „სული; სუნი“ სიკვდილ-სიცოცხლისა და ცხონების სემანტიკის შემცველ ფრაზეოლოგიზმებსა და იდიომატურ გამოთქმებში

მეგრ. **შური** „სული; სუნი“ ფუძე ქმნის მრავალ სემანტიკურ ჯგუფს ფრაზეოლოგიზმებსა და იდიომატურ გამოთქმებში. მათგან გამოყოფთ მხოლოდ იმ ჯგუფებს, რომლებშიც მეგრ. **შური** „სულის“ მნიშვნელობის შემცველია. კერძოდ, **სიკვდილ-სიცოცხლისა და ცხონების სემანტიკის მქონეთ:**

სიკვდილისა და მასთან დაკავშირებული:

ა) **გარდაცვალების:**

შურიში გარება „სულის ამოხდომა“, ზედმიწ. „სულის გაყრა“,

შურიში გოტება „სულის განტევება“, „სიკვდილი“; „ძლიერი ნდომა“; „სუნის გამოცემა“.

შურიში გონწალუა „სულის გაფრთხობა (გარდაცვალება)“; „წაწყმედა“; ზედმიწ. „სულის ამყრალება“.

შურიში გოფარსალუა „სულის განტევება“; „სიკვდილი“.

შურიში გოფიჩხუა „სულის გაფრთხობა“.

შური(ი) გოლგინ ტუ „სული გააფრთხო“.

შურიში დალიება „სულის დალევა“.

შურიში დათხინაფა „სულის ამოხდა“, ზედმიწ. „სულის დათხოვნა“.

შურიში ეშალალა „გარდაცვალება“; „ზედმეტად, სულის ამოსვლამდე შეწუხება ადამიანისა“, ზედმიწ. „სულის ამოღება“.

შურიში ეშასორუა „სულის ამოძრობა“, „სიკვდილი“.

შურიში ეშათება „სიცოცხლის დალევა“, ზედმიწ. „სულის ამოცლა“.

შურიში (ეშა) ლაფა „სულის ამოხდომა“; „სულსწრაფობა“, ზედმიწ. „სულის ამოვარდნა“.

შურიში ეშაწირუა „სიცოცხლის დასასრული“, ზედმიწ. „სულის ამოწურვა“.

შურიში მებარება „სულის მიბარება, გარდაცვალება“.

შურიში ნთქალუა „სულის ღაფვა“; „კვდომა“.

შურიში ფაცხუა „სულის განტევება, სიკვდილი.“

შურიში(ი) ღურა „სულის კვდომა (გარდაცვალებისა და სულის წაწყმედის მნიშვნელობით)“.

შურიში(ი) ცონაფა „სულის წაყვანა (გაყვანა ამქვეყნიდან)“.

შურიში(ი) ცოთამა (შურსგ ცოთანსგ) „სულს ღაფაცს, კვდება“, ზედმიწ. „სულის (გა)გდება“.

ბ) მომაკვდავის: **შურიში მალაფუშურმალაფუ** „სულთამბრძოლი“; „სულსწრაფი“, „მომაკვდავი“.

გ) მომაკვდინებლის: **შურიშ ღურუ** „მომაკვდინებელი“.

სიცოცხლისა და მასთან დაკავშირებული:

შურიში ალატება „სულის შენარჩუნება, გადარჩენა“.

შურიში ბუმა „სიცოცხლის ნიშან-კვალი“; „სიჩუმე“, ზედმიწ. სულის (მო)თქმა“.

შურიში გოშალალა „ცოცხლად დარჩენა“; „გამორიცება დიდი განსაცდელისაგან“.

შურიში დამარგება „გადარჩენა“, ზედმიწ. „სულის დამაგრება“.

შურიში დგუმა „სიცოცხლე“, ზედმიწ.. „სულის დგმა“.

შურიში(ი) თხილუა „სულის დაცვა წაწყმედისაგან; საკუთარი სიცოცხლის გაფრთხილება“.

შური ინალატე „მხოლოდ სული უდგას, ფიზიკურად უძლურია“.

შურიში ინმადგგმალი „მაცოცხლებელი“, ზედმიწ. „სულის ჩამდგმელი“.

შურიში ინოტება „სიცოცხლის შენარჩუნება“, ზედმიწ. „სულის ჩატოვება“.

შური ინუდგგნი, მეტი ვარე „სულილი უდგას, ცოცხალია.“

შურიში მიშადგუმა „სულის ჩადგმა, გაცოცხლება“.

შურიში მოდგგმა „სიცოცხლე“, „მომჭობინება“, გასაჭირიდან თავის დაღწევა“.

შურიში(ი) მოკათაფა „სულის მობრუნება, მოსულიერება“.

შური ონდეთ გილულუ „დაუძლურებული, უსახსრო ძლივს/გაჭირვებით არსებობს, ზედმიწ. „სულს ძლივს დაატარებს“.

შური(ი) ტიბუ რე „სული თბილია, ტკბილია (სიცოცხლის მოსურნეა)“.

შურიში ქანქინი „სულის ოდნავი ძრაობა, რხევა“.

შურიში დალა „სულდგმულობა, სიცოცხლე“; „სუნთქვა“, ზედ-მიწ. „სულის ტარება“.

შურიში დინოდგუმუ „სულის ჩამდგმელი, მაცოცხლებელი.“

შურიდგგმუ „ცოცხალი“, ზედმიწ. „სულჩადგმული“.

ზედმიწ. „სულის გამოტანა“.

ცხონებისა და მასთან დაკავშირებული:

შურიში განათება „სულის ნათელში ყოფნა“.

შურიში კურთხუა „სულის კურთხევა“.

შურიში მოშინაფა/შინა „სულის ხსენება“.

შურიობუა ქორე „სულის ცხონება, სიცოცხლე (კი) არსებობს“.

შურიში ჩხონაფა „სულის ცხონება“.

შურიში მარსხებელი „სულის დამხსნელი“.

შურიში მაშინე „სულის მხსენებელი, მომხსენებელი, მომგონებელი“.

შურიში მაჩხონაფალი „სულის მაცხოვნებელი“.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი.

დების პრობლემა ქართულში, ქართული ენის პირველი მეცნიერული სინტაქსი და, ამავე დროს, პირველი სტრუქტურული სინტაქსი ენათ-მეცნიერების ისტორიაში. ეს იყო მთელი უნივერსიტეტისა და ქართული მეცნიერების დღესასწაული. თვალსაჩინო გახდა, რომ ქართულ მეცნიერებას დიდი ძალა შეემატა და ისიც, რომ ქართულ უნივერსიტეტს შეეძლო უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების აღზრდა.

სადისერტაციო ნაშრომის ოფიციალური ოპონენტები იყვნენ პროფესორები ა. შანიძე და გ. ახვლედიანი (არნ. ჩიქობავას მასწავლებლები). მათ მაღალი შეფასება მისცეს სადისერტაციო ნაშრომს, როგორც ეპოქალურ მოვლენას ენათმეცნიერებაში. მსჯელობაში მონაშილეობა მიიღეს ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა: შ. ნუცუბიძემ, დ. უზანაძემ, მ. გოგიძერიძემ, ვ. თოფურიამ... ყველა შეკითხვასა თუ შენიშვნას მოხდენილი, ბრწყინვალე პასუხები გასცა დისერტანტმა. შ. ნუცუბიძე აღტაცებას ვერ მაღავდა...

დისერტაციის დაცვა უჩვეულოდ დიდხანს — დაახლოებით რვა საათს — გაგრძელებულა. ივ. ჯავახიშვილი თავიდან ბოლომდე ესწრებოდა დაცვას და პირველმა მიულოცა არნ. ჩიქობავას დოქტორის ხარისხი, რომელიც სამეცნიერო საბჭომ მას ერთხმად მიანიჭა (ა. კიკიძე).

XLVI. გამოჩენილი ბიოქიმიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ს. დურმიშიძე, რომელიც არნ. ჩიქობავას პირველებისა და მისი ღვაწლის დიდი დამფასებელი იყო, 1987 წელს გამოცემულ მოგონებათა წიგნში „ზოგი რამ წარსულიდან“ (მეორე გამოცემა) აღნიშნავს: „აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა წლების განმავლობაში პრეზიდიუმის წევრი იყო. ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას გამოთქვამდა თავის საფუძლიან აზრს, ლოგიკურად გამართულსა და მუდამ საინტერესოს... არნოლდ ჩიქობავა ივანე ჯავახიშვილის სკოლის ეროვნული მოღვაწე იყო, რომელსაც კარგად მოხსენებოდა დედა ენის მნიშვნელობა ერის მეობის შენარჩუნებისათვის, ქართული სალიტერატურო ენის როლი ქართული ენის ისტორიული და აწინდელი ერთიანობისათვის“.

ბატონი არნოლდიც, თავის მხრივ, დიდ პატივს სცემდა აკადემიკოს სერგი დურმიშიძეს არა მარტო როგორც გამოჩენილ მეცნიერს, არამედ როგორც ჩინებულ მოქართულეს, რაც კარგად ჩანდა მის სა-

ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. XLV—L

XLV. 1918 წელს ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი, პირველი უნივერსიტეტი კავკასიის მიწა-წყალზე. პირველი გამოშევება უნივერსიტეტს 1922 წელს ჰქონდა. კურსდამთავრებულთა შორის იყო არნ. ჩიქობავა (მასთან ერთად — შემდგომში გამოჩენილი მეცნიერები: ს. ჯანაშია, ვ. თოფურია, კ. ბაქრაძე, შ. ამირანაშვილი...).

1929 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე პირველმა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან სადოქტორო დისერტაცია დაიცვა არნ. ჩიქობავამ. დისერტაციად წარმოდგენილი იყო 1928 წელს გამოცემული წიგნი „მარტივი წინადა-

ქარო გამოსვლებში, საგაზეთო წერილებსა თუ მოგონებებში. ერთხელ არნ. ჩიქობავა საგანგებოდ სწევებია მას აკადემიის პრეზიდიუმში (მაშინ ბ-ნი სერგი აკადემიკოს-მდივანი იყო და აკადემიის პრეზიდენტის არყოფნაში მას ცვლიდა) და ქართული ენისადმი ფაქტიზი დამოკიდებულებისა და წერის გამორჩეული, დახვეწილი სტილის გამო მაღლობა უთქვამს (ამასთან, მისთვის ჩვეული პირდაპირობით უსაყველურებია ჩატმულობის გამო, რადგან ზაფხულის დიდ სიცხეში პირაკი ჰქონია გახდილი და ჰალსტუხი მოხსნილი: თქვენგან ამას არ მოველოდი, არ შეიძლება აკადემიკოსი მოკლე სახელოებიანი და გულგალელილი პერანგით კაბინეტში იჯდესო — ს. დურმიშიძის მოგონებიდან).

ბ-ნ არნოლდს ძალიან მოსწონდა ს. დურმიშიძის მოგონებათა წიგნი, რომლის პირველი გამოცემა ბ-ნი სერგის თხოვნით შინ მივუტანე. წაიკითხა და სათანადო შეფასებაც მისცა: „სერგი დურმიშიძე გამოჩენილი მკვლევარია, კალამიც უჭრის. ასეთი საინტერესო წიგნისათვის მაღლობა ეთქმის... კარგი წიგნია, ნიჭიერად და კარგი ქართულით დაწერილი, მხატვრული ნაწარმოებივით იყითხება“.

XLVII. არნ. ჩიქობავა მეცნიერებისადმი უანგარო და თავდადებული სამსახურის მაგალითს იძლეოდა. ხშირად უთქვამს: ჭეშმარიტი მეცნიერი პირნათლად უნდა ემსახუროს მეცნიერებას და არა იმსახუროს მეცნიერებაშიო...

3. ინგოროვას ჭურის რვა ნომერში წლების განმავლობაში, აკადემიის პრეზიდიუმთან ერთად, რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულება იყო, მათ შორის — ენათმეცნიერების ინსტიტუტი. როცა ბ-ნი არნოლდი შემოვიდოდა შენობაში, ცველა (ახალგაზრდა, ხანდაზმული...) ცდილობდა დერეფანი სწრაფად დაეტოვებინა და სამუშაო მაგიდას დაბრუნებოდა...

ერთხელაც ინსტიტუტის ახალგაზრდა თანამშრომლები ინსტიტუტის დერეფანში ვიდექით და რაღაცაზე (არა მეცნიერულ საკითხზე) ცხარედ ვკამათობდით. მოულოდნელად ბ-ნი არნოლდი გამოჩნდა. დავიბენით და ოთახებში შესვლა ვერ მოვასწარით. მკაცრად გვითხრა: დერეფანში დგომა არ არის ინსტიტუტში მუშაობის ფორმა!

ბუნებრივია, ძალიან უხერხულად ვიგრძენით თავი...

XLVIII. არნ. ჩიქობავა აქტიური საზოგადო მოღვაწე იყო, რომელიც ყურადღებას აქცევდა ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეს. მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას (1941 წელს) დაიბეჭდა მისი ბროშურა „ფაშიზმი პროგრესის უარმყოფლობა“, რომელშიც გაანალიზებულია ფაშიზმის იდეოლოგიური საფუძვლები და წარმოქნილია ის დიდი საფრთხე, რასაც ის კაცობრიობას უქმნიდა. მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ფაშიზმის მიერ უარყოფილია თანამედროვე მსოფლიოს ორი ძირითადი მონაპოვარი — გონების ძალისა და აღამიანის უფლებათა აღიარება (იგულისხმება, როგორც ერთა შორის, ისე თვით ერთი ერის შიგნით თანასწორობა). ფაშიზმისათვის მისაღებია არა მთლიანად მეცნიერული აზრი, არამედ მხოლოდ ის, რაც ტექნიკის მიღწევებს უწყობს ხელს; მისთვის მიუღებელია ადამიანის უფლებათა თანასწორობა. რაკი „**იდეური პროგრესი მეცნიერული აზრისადმი რწმენითა და ადამიანის უფლებათა აღიარებით ხასიათდება**“, ფაშიზმი უნდა შეფასდეს როგორც რეაქცია, რეგრესი.

XLIX. არნ. ჩიქობავა 50-იან წლებში არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად სენაკიდან. ერთხელ სენაკში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ბ-ნი არნოლდი გამოვიდა სიტყვით, ბუნებრივია — ქართულად. შეხვედრაზე მყოფი რუსი ქალბატონი მიმართავს ბ-ნ არნოლდს: თქვენი გამოსვლა იყო ქართულად, რომელიც მე არ მესმის. კარგი იყო რუსულად გელაბარაკათ... ბ-ნმა არნოლდმა უპასუხა: აქ დამსწრე საზოგადოების დიდმა ნაწილმა იცის ქართული, ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ენა, ამავე დროს, ბევრი მათგანი არ ფლობს რუსულს... ხომ არ აქობებდა ქართული გესწავლათ. ეს იქნებოდა პატივისცემის გამოხატულება ჩვენი რესპუბლიკისა და ქართველი ხალხის მიმართ.

L. ქართული ენის სიწმინდის დაცვა არნ. ჩიქობავას მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი მხარე იყო. მეცნიერს მიაჩნდა, რომ ამ საქმეში აუცილებელია თითოეული აღამიანის, მთელი ქვეყნის მონაწილეობა. მნიშვნელოვანია ბეჭდვითი ორგანოს როლი...

1953 წელს სენაკის გაზეთი „ავანგარდი“ იუბილეს აღნიშნავდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაზეთის 7 ივნისის ნომერში

გამოქვეყნდა არნ. ჩიქობავას წერილი „რაიონული გაზეთი სალიტერატურო ენის სადარაჯოზე“. მეცნიერი დადგებითად აფასებს გაზეთის ენას: „გაზეთ „ავანგარდის“ ენა სხვა რაიონული გაზეთებისას ონადაც არ ჩამოუგარდება... ჩანს, რედაქცია სერიოზულია და ეკიდება ენის სიშინდის საკითხს. ეს ცხადად ეტყობა მასალას, რომელიც ადგილობრივ ცხოვრებას ეხება და რომლისთვისაც მხოლოდ რედაქციას ეკისრება პასუხისმგებლობა“.

ამასთან ერთად, არნ. ჩიქობავა მიუთითებს ზოგ ორთოგრაფიულ და სტილისტიკურ შეცდომაზე, რაც გაზეთის სხვადასხვა ნომერში აღმოჩნდა, უსურვებს „რედაქციას უკეთესად ემუშაოს, კერძოდ გაზეთის ენა გაეუმჯობესებინოს: სანიმუშო ქართულით ეწეროს“. მეცნიერი ურჩევს რაიონის მასშავლებლებს სისტემატურად მიაღევნონ თვალყური გაზეთის ენას და ყველა შენიშვნა ენის შესახებ რედაქციას მიაწოდონ...

ი ზ ა ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე

სვანური ენის დიალექტური დიფერენცირებისათვის

უმწერლობო სვანურ ენაზე მეტყველებს საქართველოს სამი ხეობის (ენგური, კოდორი, ცხენისწყალი) მოსახლეობა. მათ შორის ქართველ და უცხოელ ეთნოლინგვისტთა მიერ ფუნდამენტურადაა გამოკვლეული ზემო და ქვემოსვანური დიალექტები, ხოლო კოდორელ სვანთა მეტყველება დღემდე ფაქტიურად შეუსწავლელი იყო.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო პროექტის (ECLinG) ფინანსური მხარდაჭერით სამი წლის განმავლობაში საგანგებოდ შევისწავლეთ მდინარე კოდორის ზემო წელის (resp. დალის) მოსახლეობის მეტყველება **ინტერდისციალინარული თვალსაზრისით და გამოვცით 836 გვერდის მოცულობის აკადემიური ნაშრომი **„კოდორული ქონიკები“** გასულ წელს, რითაც ფაქტიურად გადავარჩინეთ იქაური სვანური დაღუპვას (ცნობი-**

ლია, რომ რუსეთ-საქართველოს უკანასკნელი სამხედრო-პოლიტიკური ბატალიების შემდგომ კოდორის ხეობა დაიცალა მოსახლეობისგან, რომელიც დღეს ლტოლვილის სტატუსით დაქამულია ცხოვრიბს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა ენობრივ გარემოცვაში).

დიგიტალიზებული ვიდეო-აუდიო აპარატურით ადგილზე მოპოვებული მასალების ლინგვოკულტუროლოგიურმა ანალიზმა გვიჩვენა შემდეგი შედეგები:

1. თითქმის საუკუნენახევრის წინ კოდორის ხეობაში ჩასახლდნენ მესტიის რეგიონის სვანები თურქეთში იძულებით გადასახლებულ მუჰაზირ აფხაზთა ნაცვლად. ეს ტერიტორია 2008 წლის 10 აგვისტომდე მოიცავდა 17 სოფელს, რომლებშიც მიმდინარეობდა ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა ურთიერთშეჯვარება. **ინტერდისციის პროცესი, ძირითადად, შეეხმ ფონეტიკა-ფონოლოგიას, მორფოლოგიასა და ლექსიკას.**
2. ამგვარ მეტყველებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა სახელმწიფო ენამ. გარდა სალიტერატურო ქართულისა, კოდორელთა მეტყველებაში რამდენადმე აისახა კონტაქტები აფხაზურ და რუსულ ენებთან. ასე რომ, სახეზეა **დიგლო-სია-ბილინგვიზმის მოვლენები**.
3. თავის შერიც, სვანურმა ფონეტიკამაც გაურთულა საქმე მეგრელ და აფხაზ რძლებსა თუ სიძეებს — სვანურად მეტყველებისას მათ ძალიან უჭირთ უმღაუტიანი და გრძელი ხმონების, აგრეთვე, ფარინგალური **ჸ** თანხმოვნის წარმოთქმა, რადგანაც ამგვარ ფონემებს მოკლებულია მეგრული და აფხაზური.
4. შეინიშნება გრამატიკულ მოვლენათა გაერთმნიშვნელიანების, რთული ვითარებიდან მარტივისაკენ გადასვლის, ბრუნება-უღლების არაერთი მორფემიდან თითო-ოროლას დამკიდრების (**უნიფორმაციის** ტენდენციები).
5. კოდორის ხეობის ზემო წელის მცხვრებთა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ას წელს გადაცილებულ მხცოვანთა მეტყველებამ, სადაც თავს იჩენს გენდერული

- პრობლემა — ქალთა მიერ გამოყენებულ ლექსიკასა თუ გრამატიკულ ფორმებში ჭარბობს **არქაიზმები**, რომელთაც განსაზღვრავს ინფორმატორთ სოციალური ყოფა.
6. **სენური იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი წევრია**, რომელიც ქართველურ ენათა შორის ყველაზე მეტი არქაიზმობით გამოიჩინა. **ივი თოს დიალექტს მოიცავს**, მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოწვლილვით შევისწავლით როგორც კოდორული, ისე ჩოლურული ინტერფერენცირებული მეტყველების სპეციფიკას, შესაძლოა ბალსზემოურ, ბალსქვემურ (ზემო სვანეთი), ლაშეურ და ლენტეხურ (ქვემო სვანეთი) დიალექტებს დაემატოს კიდევ ორი ლინგვისტური ერთეული კოდორული (ზემოსვანური) და ჩოლურული (ქვემოსვანური) მეტყველების სახით; **მანამადე ამ საკითხზე მსჯელობა ნაადრევია**, თუმცა, სამწუხაროდ, სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ გაკეთდა დაუსაბუთებელი, ზერელე განცხადებები ამ თვალსაზრისით უკანასკნელ ხანებში.
 7. სახელმწიფო თუ სალიტერატურო ენებისგან გასამიჯნავად სვანურის მსგავს უმწერლობო ერთეულებს შეიძლება ვუწოდოთ **რეგიონული ენები**, რათა ისინი ზოგი ეთნოლინგვისტის უკიდეგანო ფანტაზიით წარმოსახული დიალექტთა საოცარი კონგლომერატის წევრები არ გახდნენ.

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

ბრუნების პრაქტიკულური სისტემის ზოგი საკითხისათვის

კვლევის ამ ეტაპზე შევეხებით ზოგიერთი ბრუნვის მარკირების პრობლემას საერთოქართველურ ფუძე-ენაში:

1. საერთოქართველური ერგატივის ნიშნად შესაძლებელი ჩანს ერთდროულად სამი ფორმანტის რეკონსტრუქცია. ესენია: ა) ს.-ქართვ. ***-(ა)ბ**, რომელიც შემოგვრჩა ქართულში დაფიცების ფორმებში (დედილ-აბ...).

შეაიღ-აბ, ქალილ-აბ...), ზანურში (მეგრულში) ასევე გაქვავებულ შესიტყვებებში (ღორონთ-უმე „ღმერთმანი“, მარდ-უმე „მაღლმა“...), ხოლო მათი სვანური ეკვივალენტი -**(ებ)** სახეობით დღემდე აქტიურად ფუნქციონირებს სახელთა ბრუნებაში; ბ) ს.-ქართვ. ***-გ-ე**, რომელიც რუდიმენტის სახით გამოიყოფა მამა-**გი**, თოლი-**გი**... ტიპის ქართულ ფორმებში, რასაც ზანურში დღემდე მოქმედი ერგატივის **-ე** მარკერი შეესატყვისება (შდრ. მისი მულერი **გ** ალომორფი ღორონდ-**გ-ე//ი** „თუ ღმერთი გწამს“ ფორმაში); გ) ს.-ქართვ. ***-იუ**, შდრ. ძვ. ქართ. ღმრთ-**ივ**, ფრქ-**ივ**...

2. საერთოქართველური მიცემითიც სხვადასხვა მარკერებით იყო წარმოდგენილი: ა) ს.-ქართვ. ***-ან**, ბ) ს.-ქართვ. ***-(ა)ს**, გ) ს.-ქართვ. ***-(ა)უ**. ეს უკანასკნელი ნაშთის სახით (გაქვავებული ფორმით) შემორჩენილია ქართულ ზმნისართებში ოდნ-**ავ**, კულ-**ავ**, ფიცხლ-**ავ**...), რომლის შესატყვისად სვანურში მოქმედი ოდენთანხმოვნური **-უ** (**←*აუ?**) სუფიქსი დაჩნდება, შდრ.: ჟან-**უ** // ჟან-**ს** „ხარს“, ხამ-**უ** // ხამ-**ს** „ღორს“...

ღასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: ის სურათი, რაც სვანური ენის ბრუნებაში გამოიკვეთება, ანარეკლია საერთოქართველური რთული სისტემისა, რომელსაც ბრუნების რამდენიმე ტიპი ახასიათებდა. ამ თვალსაზრისით ძვირფას მასალას წარმოგვიდგენს ქართველურ ენათა ზმნისართის ისტორიულ-გენეზისური შესწავლა.

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ თ ნ ე ლ ი ძ ე

შუშუტ-სიტყვის ომონიმური ცალების ისტორიისათვის ქართული ენის დიალექტებში

1. ქართლურ დიალექტში **შუშუტია**, **შურშუტა**, **შუშრუტანა**, „მოსულელო, ჭკუათხელი ადამიანის“ მნიშვნელობით გვხვდება. დაუფიქრებელი ლაპარაკი იცოდა, ვინც შუშუტი იყო (არად.). არ მამეწონა ისამიანთ სიძე, შუშუტა რამა ჩანს (წილკ.); აგრეთვე ატ., ახალშ., დ. თონ., ზერ.). შე შურშუტო, შენა, ქმარი გაგილანდეს

და არაფერი თქვი? (მერ.). რა შუ შრუტანასეეფ ირჩები! (ზერ.).
(თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე).

ვფიქრობთ, რომ **შუშუტია** ← **შურშუტი:** **შურშუტი** კი ძველი
ქართულისეული **სურსუტის** „უღირსის, უწესოს, დასაცინის“ (ს → შ)
ფონეტიკური ცვლილებით მივიღეთ.

ნუ ეგრე გვინიეს მჯევალი შენი, ვითარცა დედაკაცი ერთი
ასულთაგანი სურსუტთამ (III მფ. 1, 16).

შდრ. თურქული **sarsak, sursak, sursuk** „მოუქნელი, უშნო“.

2. **სურსუტი** „მოუთმენელის, სულწასულის“ შინაარსით დას-
ტურდება იმერულში. ამ შემთხვევაში კი, ჩვენი აზრით, **სურ-**ფუძის
(სურს „სურვილი აქვს რისამე, სწადია, უნდა) რედუპლიკაციით,
რ-რ-რ-ტ უნდა მიგვეღო ზემოდასახელებული სიტყვა. შდრ. **სურბჟ-**
ტა სუნციცი, ჭამაში სულწასული (ლეჩხუმური, ალავიძე).

3. მთის დიალექტებში **შუშუტია** 1. ნესტოს, 2. მილის მნიშვნე-
ლობით იხმარება. **შუშუტი** ჭ., **შუშუტა** მოქ., ნესტო, **შუშუტა**
თ. ღრუიანი რამ, ლულიანი ხე ან ბალახი, ვთქვათ დუდგულა. **შუ-**
შუტა მთ. ვარიის სულის საქცევი, დუდგულისა (ა. შანიძე). ქართ-
ლურში კი **შუშუტო** ნახვრეტია სადღვებლისა, ჰაერის სამოძრაოდ.
სადღობელს ჩასახედავათა, სულისმოსაქცევათა ქონდა შუშუტო
(ბაზ.) (თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე). აქაც ფუძის
რედუპლიკაციასთან უნდა გვქონდეს საქმე *შუტშუტა→შუშუტა;
სპირანტების **ს→შ** მონაცვლეობა დამახასიათებელი პროცესია როგორც
ძველი ქართულისათვის ისე დიალექტებისათვის, მაგ.: სინჯავს →
შინჯავს, ქისტი → ქიშტი, ნესტო → ნეშტო, უსტვენს → უშტვენს
და სხვ. **შუტ-**წარმომავლობით კი იგივე უნდა იყოს რაც სიტყვებში
ნე-სტუ „არტერია, ვენა“, ნე-სტუ-ფერდი „ფილტვი“ გამოყოფილი სა-
ერთოქართველური *ს.ტუ-ძირი, რომლის შესატყვისი ჩანს, მეგრ.
შვიტ- — მი-შვიტ-ია „ცხვირი“, სვან. შტ- ნე-შტ-რ-პლ „ნესტოები“
(ჸ. ფერიხი, ზ. სარჯველაძე).

ი რ მ ა ხ ა რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

ინტერფერენციული მოვლენებისათვის მეგრულში

ინტერფერენციული მოვლენების შესაძლებელია სხვა-
დასხვა კუთხით. ერთ-ერთია თვით ერთი სამეტყველო კოდის შიგნით
ე. წ. გარდამავალი, ნარევი მეტყველების დაფიქსირება. ცნობილია,
რომ მეგრულის კილოებად დაყოფისას გამოიყოფა დასავლური (გა-
ლი, ზუგდიდი, წალენჯიხა), აღმოსავლური (სენაკი, აბაშა, მარტვილი)
და ცენტრალური არეალის მეტყველება. მეგრული მეტყველების „შე-
რეული“ ბუნების გამოსავლენად მნიშვნელოვანია ცენტრალური არე-
ალის მონაცემები, რადგან იგი მოქცეულია დანარჩენ ორს შორის.

მოხსენება ეხება ინტერფერენციული მოვლენების ანალიზს ხობის
რაიონის მასალის მიხედვით, რომელიც ჩაწერილ იქნა 2010 წლის
ზაფხულსა და შემოდგომაზე ლინგვისტური ექსპედიციის დროს. მა-
სალა მოიცავს საკუთრივ ხობის რაიონს და ამავე რაიონის 4 სო-
ფელს (ახალი ხიბულა, საჯიჯაო, ბია და ნოჩიხევი). ინფორმატორთა
ასაკი 42-87 წლების ფარგლებშია. მასალა უანრობრივად მრავალფე-
როვანია, ქრონომეტრაჟი — 6 საათი.

საანალიზო მასალის ფარგლებში ნარევი მეტყველების ფიქსაცია
ნიშნავს როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური არეალისთვის და-
მახასიათებელი ფორმების არსებობას. ამ უკანასკნელის მორგოლო-
გიური მონაცემების მიხედვითაა გაფორმებული

- სახელის მიცემითი ბრუნვა და ს.3 პირის ნიშანი ზმაში:
კო-ს „კაცს“, ხუ-ს „მხარს“, სიმინ-ს „სიმინდს“; მეურს
„მიდის“, რკიანს „კივის“; ორივე არეალის მონაცემები პა-
რალელურ ფორმებად დასტურდება
- ი და გ ხმოვნების გამოყენებისას: რჩუნდეს || რჩგნდეს || „ძარცვავდნენ“, ჩქი || ჩქე || ჩქე „ჩვენ“;
- დეზაფრკატიზაციისას: ჭკუჭი || ჭკუდი „ჭურჭელი“, ორცხონჯი ||
ორცხონდი „სავარცხელი“, ჭანჯი || ჭანდი „ბუზი“;
- რედუქციისას: მანდარინა || მანდარინა „მანდარინი“;
- სახელთა მრავლობითის გამოხატვისას: ღიდ-ეფ-ქ „დიდებ-

- მა“, ბალან-ენ-ქ „ბავშვებმა“, მეზობელ-ემ-ქ „მეზობლებმა“. • სპორადულად დასტურდება სახელის ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის თანხმოვანთვამყარი ი, რითაც ხობის რაიონის მეგრული ემიჭნება დასავლური არეალისთვის დამახასიათებელი სახელთა ბრუნების პარადიგმული გა-სწორების ტენდენციას.

ნინო ხახიაშვილი

სვლა ზმის ერთი მნიშვნელობისათვის

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **სვლა** არის „1. მოძრაობა რაიმე მიმართულებით; სიარული... 2. მიმღინარეობა, მსვლელობა (დროისა). უამთა სვლა. 3. მორიგი გადაადგილება (ფიგურისა — ჭადრაკში და მისთ.)... შდრ. მავალი, ნავალი, სავალი, უვალი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ს ვ ლ ა ზმნასთან დაკავშირებით გამოთქმულია მრავალი საინტერესო თვალსაზრისი; ს ვ ლ ა ზმნის ფუძესთან მიმართებით განიხილავდნენ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, როგორიცაა: წარმავალი, მიმავალი, მომავალი, სრული, აღსასრული, გუალე, ხვალე, კვალი და ა. შ.

რაც შეეხება ამ უკანასკნელს (კვალს), ქეთევან ლომთათიძე აღნიშნავდა: „...სარწმუნო უნდა იყოს, რომ ს ვ ლ ა ზმნის საწარმოებელი გალ- ამოსავალი ედოს საფუძვლად (კ- დართულ) კვალ სიტყვას, რომელიც „ნავალზე“ უნდა მიუთითებდეს... რომ სვლა ზმნის ფუძესთან ასეთი დაკავშირება სავსებით შესაძლებელია, ნათელი ხდება მეგრულის მონაცემებითაც. ი. ყიფშიძეს მეგრულში „გზის“ მნიშვნელობით მითითებული აქვს თლვა, რომელსაც იქვე სხვა ადგილას ასე განმარტავს: "надлежащий прохождению (путь, дорога)". ჭანურში კი სწორედ კვალის მნიშვნელობით იმავე გალ ამოსავლიდან აღნიშნულია „ნო-ველი“ (არნ. ჩიქობავა)“.

სავალი, ანუ გასავლელი — გზა. ქრისტიანული სწავლებით, ადამიანის ცხოვრება ეს არის მზადება ამქვეყნიური, „წუთისოფლი-დან“ მარადიულობაში გადასვლისათვის, „გარდაცვალებისათვის“, ეს არის გზა „შინისაკენ“.

სწორედ ამ სწავლების დადასტურებაა ქველ ქართულ ტექ-სტებში (ფსალმუნებსა და ბიბლიის საკითხავებში) დამოწმებული მა-გალითები: „ზრუნვათაგან და სიმდიდრისა და გემოთაგან ამის სოფ-ლისათა ვ ლ ე ნ ე დ და შეაშთვიან...“ ლუკა 8, 14; „ს ვ ლ ა თ ა - ე ბ რ მისთა მიაგოს მათ (უფალმან)“ 0, ოვსე 12,2; „არღა სიყუა-რულით ჰ ე უ ა ლ“ ჰრომ. 14, 15....

როგორც ცნობილია, ბიბლიის ტექსტებში ს ვ ლ ა ძირითად მნიშვნელობასთან ერთად („მოძრაობა-სიარული“), ბერძნულისა და ებრაულის გავლენით (სეპტუაგინტაში და მერე ახალ აღთქმაშიც) აღნიშნავს „ცხოვრებას“, „საქციელს“, „ყოფა-ქცევას“... სწორედ ამის ნიმუშებია ზემოთმოყვანილი ილუსტრაციები.

საგულისხმოა, რომ ეს მსოფლმხედველობა ასახულია ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც: „ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება, რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება... იმა-საც მოკლედ უ ვ ლ ი ა, ვინც გრძლად, ეგონა, ი ა რ ა“... აგრეთვე ისეთ გამონათქვამებში, როგორიცაა: ცხოვრების გზა, წუთისოფლის მგზავრი... და ა. შ.